საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№41 (84)
10 – 16 ნოემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

4 „იმპერიათა მესაფლავე“ შეერთებული შტატების მოლოდინში

8 ანტიმონოპოლიური მოძრაობა ფარმაცევტული კომპანიების წინააღმდეგ

9 სოციალური ფონი ზამთარში კიდევ უფრო დამძიმდება

10 რა საერთო აქვთ პერის ჰილტონს და ლევან ბექაურს

11 ქალაქის ცენტრში შეირაღებულ თავდასხმაზე შსს კვლავ დუმს

12 საბიუჯეტო ორგანიზაციები ხარჯებს მალავენ

13 თეუსე, ბატონო მინისტრო, თეუსე!

## გლეხისთვის ტყავის გაძრობის ნაციონალური თავისებურებანი

6



ყველა ფერმერს:
საქონლის პირუტყვის გამოკვლევებისთვის გაზაფხულიდან გადასახადი დაგეკისრებათ!

## ჯიმი, აილე გიტარა!



15

## ექიმ ლილუს ომი

ასობით ჩვენს «შინნახად კომანდოსს» სამედიცინო შემოწმების დროს «ქლამიდიუსი» აღმოაჩნდა



16

## ბოროტების ტექნოლოგია ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ

30

2007 წელს 2,1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, წლეულს კი 300 მილიონი დოლარიც არ შემოსულა

7

# შემოდგომის 17 გაელვება

2

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამონათქვამები



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

აუცილებელია, რომ ქართველებმა აფხაზებისა და ოსების მიმართ მეტი სითბო და სიყვარული გამოამჟღავნონ. სწორედ ეს გახდება საფუძველი იმისა, რომ ერი გამთლიანდეს და გაძლიერდეს.

*„რუსთავი 2“*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

პოლიტიკური პარტიები მე-12 კლასელების მეშვეობით აწყობენ მიტინგებს თემაზე “არ გვინდა სწავლა და გამოცდების ჩაბარება”. თუ არ გინდა გამოცდის ჩაბარება, დაიჭირე ხელში წერაქვი და ნიჩაბი! ეს ნამდვილად არ არის დასაძრახი, თუკი შენი შრომით არჩენ ხალხს. თუ არც ამის კეთება გინდა, ესეც შენი არჩევანია, მაგრამ ვაი იმ მშობლებს და ვაი იმ პარტიებს, ვინც თავის შვილებს მოუწოდებს, შაშკინს აქციები მოუწყოს! შაშკინს რა ეტყობა სუსტი ნებისყოფის და სუსტი ნერვების, რომ ოროსნებს რევოლუცია მოაწყობინოს საქართველოში?!

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

**ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს ექსპრეზიდენტი:**
რატომ გვაინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს ამერიკაში — რესპუბლიკელი თუ დემოკრატი? ამას რა მნიშვნელობა აქვს. საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, მხარდამჭერს შენს ხალხში უნდა ეძებდე და არა ამერიკაში. როგორი ურთიერთობაც არ უნდა ჰქონდეთ ამერიკის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს ხელისუფლების ბედს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, საქართველოს მოსახლეობა.

*„ასავალ-დასავალი“*



**იაგო კაჭკაჭიშვილი,**
**სოციოლოგი:**

ბიზნესის დაწყებისა და გალეგალურების სიიოლე არავითარ შემთხვევაში არ არის მისი შენარჩუნების არათუ გარანტი, არამედ საკმარისი წინაპირობაც კი. ამას ხელს უშლის, მაგალითად, საბანკო კრედიტების მაღალი ტარიფები. თუმცა ყველაზე დამაბრკოლებელი ის არის, რომ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა არ არის პოლიტიკური ინტერესებისა და გავლენებისგან დაცლილი.

*„კვირის პალიტრა“*



**ვერა ქობალია,**
**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი:**

თავდაპირველად პრემიერ-მინისტრთან ვიყავი გასაუბრებაზე. მკითხა, როგორ ჩამოიყვან ინვესტორებსო. პასუხი არ მქონდა მოფიქრებული. სპონტანურად ვლაპარაკობდი, ისე, როგორც მე მიმაჩნია სწორად და არა ისე, როგორც ეკონომიკის სახელმძღვანელოში წერია. აღმოჩნდა, რომ ჩემი პასუხები მოეწონათ.

*„კვირის პალიტრა“*



**დათო მაღრაძე,**
**მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი:**

არჩევნები იმისთვის არის მოგონილი, რომ მოსახლეობამ არჩევანი გამოხატოს და შედეგი მიიღოს — ხელისუფლება აირჩიოს, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, დღეს პირიქით ხდება — ხელისუფლება ირჩევს ხალხს. ჩვენ, ქართველი ხალხი, არ მოვწონვართ და ერთმანეთში ლაპარაკობენ, მოდი, ზოგი დავიჭიროთ, ზოგი გავაწამოთ, ზოგი გავაქციოთ და ჩამოვასახლოთ სხვა ხალხი, რომელიც ჩვენთვის უფრო მისაღები იქნება, რადგან ვერ მივაღწიეთ, რომ ქართველი ხალხი ჩვენი უმსგავსო ქცევით აღტაცებული იყოს, ხალხი შევცვალოთო.

*„კვირის პალიტრა“*



**ლადო პაპავა,**
**ექსპერტი:**

როცა კეთდება განცხადება, რომ ქვეყანა კრიზისში არ არისო, თუ არ არის, მაშინ რატომ ვიღებთ ახალ საგარეო სესხებს?!

*„კვირის ქრონიკა“*

# შემოდგომის 17 გაელვება



**გასულ კვირას სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯაშუშური სკანდალის აგორება სცადა. სახელისუფლო არხებმა აჩვენეს ხმოვანი და ფერადი ფილმი „ჯემალი“, უკაცრავად, „ენვერი“, რომელიც რუსული მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) ჯაშუშური ქსელის გამოვლენაზე მოგვითხრობდა. ეფექტი არც ისე ხმაურიანი გამოდგა. მოსკოვი, 2006 წლისგან განსხვავებით, მოკლე და მკვახე ოფიციალური კომენტარით შემოიფარგლა. დასავლურ მედიას ამ სკანდალის გაშუქებით თავი არ მოუკლავს (მათ საერთოდ არ სცალიათ, რადგან იქ, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისის მორიგი ტალღა გორდება). რაც შეეხება ქართულ საზოგადოებას, ის მსგავსი ფორმისა და შინაარსის ფილმებით, ცოტა არ იყოს, გადაიღალა და ყურადღებას დიდად არ აქცევს. მისი დიდი ნაწილის პოზიცია, ალბათ, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: თუ ჯაშუშები იყვნენ და დასაჭერები იყვნენ, დაიჭირეთ, ამას ამდენი ტელესერიალი და გალა-კონცერტი არ სჭირდება.**

### გამარჯვება თუ მარცხი?

**რასაკვირველია, ვიდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანს ამ საქმესთან დაკავშირებით, საბოლოო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა არ გვექნება, თუმცა რიგ დეტალებზე დაკვირვება ნამდვილად ღირს. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები და პროპაგანდა ხშირად და ემოციურად იმეორებდა ფორმულას „რუსული დაზვერვის მარცხი“.**

საინტერესოა, საერთოდ რას ნიშნავს **„მარცხი“** და **„გამარჯვება“** მსგავს საქმეებში?

ჯაშუშის წარმატება და წარუმატებლობა ფასდება არა იმის მიხედვით, გამოავლინეს თუ არა ის საბოლოოდ, არამედ იმით, თუ რა ზარალის მიყენება მოასწრო მან მოწინააღმდეგისთვის. დაზვერვის ისტორიიდან რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება:

**ის, რომ ამერიკელებმა ცოლ-ქმარი როზენბერგები დაიჭირეს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბერიას უწყება მაშინ დამარცხდა, რადგან როზენბერგებმა მოსკოვისთვის ატომურ ბომბთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გადაცემა მოასწრეს;**

ის, რომ ბრიტანელები ბოლოს და ბოლოს გაერკვნენ იმაში, თუ რას საქმიანობდა კიმ ფილბი და „კემბრიჯის ხუთეული“, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ გაიმარჯვეს, რადგან მთელი II მსოფლიო ომის (და შემდგომი ხიფათიანი წლების) განმავლობაში, **ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად სრულიად საიდუმლო ინფორმაცია „MI-5“-დან და „MI-6“-დან მოსკოვში ღვარად მიედინებოდა.** მისი უდიდებულესობის გვირგვინის უხილავი დამცველები დღემდე იხსენებენ ამ ამბავს, როგორც კრახს და კოშმარს; რა გამარჯვება, რის ტრიუმფი?

თუმცა ამ გრანდიოზულ ეპიზოდებს თავი დავანებოთ, ისევ ჩვენი კოლმეურნეობის მოკრძალებულ მასშტაბებს დავუბრუნდეთ, საფუძვლად ოფიციალური ვერსია ავიღოთ და ვნახოთ, ვის რა სავარაუდო ზარალი მიადგა „ჯემალის“, უკაცრავად, ისევ შემეშალა, „ენვერის“ და შესაბამისი ჯგუფის საქმიანობით.

საქმის გამოძიება 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ალბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **აღნიშნული ჯგუფი მუშაობდა აგვისტოს ომის წინარე პერიოდში და უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს; ასეთ სიტუაციაში თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს „დაზარალებული“, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული მხარეა.**

ჯაშუშურ საქმიანობაში, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სამხედრო მფრინავები იყვნენ ჩართულნი. თითოეული მფრინავის მომზადებას ასი ათასობით დოლარი და რამდენიმე წელი სჭირდება. ახლა საქართველოს ახალი მფრინავების მომზადებისთვის ამ რესურსის დახარჯვა მოუწევს. ამასთანავე, **ერთბაშად რამდენიმე სამხედრო მფრინავის დაკავება საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, სავარაუდოდ, სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმა გახდა.** საინტერესოა, ვინ დაზარალდა ყოველივე ამის შედეგად?

ისე, ზესახელმწიფოების სპეცსამსახურების არსენალში არის ერთი ტრიუკი, რომელსაც ერთმანეთს იშვიათად აკადრებენ, თუმცა მესამე სამყაროს ქვეყნებში ასე თუ ისე მუშაობს. სხვადასხვა შემთხვევითი ადამიანებისგან, უსარგებლო და გარკვეული თვალსაზრისით, საეჭვო აგენტებისგან იქმნება ცრუ ქსელი, ერთგვარი ქსელი-ფანტომი; მას რაღაც ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებით აკავებენ, რაც გაცხოველებული ჯაშუშური მუშაობის ილუზიას ქმნის. ამასთანავე, ამ ქსელში იზიდავენ (ერთგვარად, ხლართავენ მასში) სხვადასხვა პერსპექტიულ ადამიანებს, მაგალითად, ნიჭიერ სამხედროებს, პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს, რომელთა კარიერის განადგურება ჯამში სამიზნე ქვეყანას დაასუსტებს. შემდეგ სამიზნე ქვეყნის კონტრდაზვერვას აწვდიან სიგნალს ამ ქსელის საქმიანობის თაო- ►

## მოკლედ



### დიდი ბურობა დაიწყო

**ჩვენი ოპოზიცია, სავარაუდოდ, ჯერ საქმის კურსში არაა, ხელისუფლება კი საგულდაგულოდ დუმს, მაგრამ, როგორც რუსული მედიასაშუალებები იუწყებიან, საქართველოში სამხრეთ აფრიკელი ფერმერების გადმოსახლების პროცესი უკვე დაიწყო.** „საქართველომ სამხრეთ აფრიკელ ფერმერებს ქვეყანაში მიწის ნაკვეთები თითქმის უსასყიდლოდ შესთავაზა. ქართული მხარე ამის მოტივად სოფლის მეურნეობის საქმეში სამხრეთ აფრიკელების გამოცდილებასა და ცოდნას ასახელებს,“ — იუწყება „The Independent“-ზე დაყრდნობით „როსბალტი“. მისივე ინფორმაციით, „თეთრი სამხრეთაფრიკელი ფერმერების აზრით, საქართველოში ახალი ცხოვრების დაწყება მათ სამშობლოში არსებულ პრობლემებს მოუგვარებთ“. ერთ-ერთი საქართველოში უკვე ჩამოსახლებული თუ ჩამოსახლების რიგში მდგარი ბური ფერმერი პიეტ კემპი აცხადებს: „ჩვენ 10-20 ფერმერით დავიწყებთ, მაგრამ რეალურად საქართველოში წარმატებული ცხოვრების აწყობა ათასზე მეტ ადამიანს შეუძლია“. ასე რომ, დიდი ბურობა იწყება.



### რუსეთი შეხვედრას მოითხოვს

**რუსეთის პირველი დიპლომატის, სერგეი ლავროვის განცხადებაზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებთან შეხვედრა მოითხოვა.** „არსებობს შესაბამისი საკონსულო პროცედურები და ჩვენ საკონსულო წვდომას მოვითხოვთ, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ დაკავებულები ნამდვილად ჩვენი მოქალაქეები არიან“, — განაცხადა ლავროვმა, რომელმაც ქართული მხარის მიერ რუსი ჯაშუშების დაკავების ფაქტს კიდევ ერთხელ უწოდა „პროვოკაცია“. შეგახსენებთ, რომ რუსეთისთვის ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოში დაკავებული 15 პირიდან ორი საპროცესო გარიგების შედეგად გაათ?ვისუფლეს, დანარჩენები კი პატიმრობაში რჩებიან. დაკავებულთაგან ოთხი რუსეთის მოქალაქეა. ოფიციალურმა თბილისმა ლავროვის მოთხოვნასთან დაკავშირებით კომენტარი სამომავლოდ გადადო.

◀ბაზე, თანაც ისე, რომ ის დარწმუნებული იყოს, რომ ყოველივე თავად აღმოაჩინა. **კონტრდაზვერვა გაშმაგებით ებმება ბრძოლაში ფანტომურ ძალებთან, ხარჯავს დროსა და რესურსებს, ამასობაში კი მზვერავების უვნებელი, ნამდვილი ძალები ჩუმად და ეფექტურად მოქმედებს.**

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მსგავსი რამ გათამაშდა, თუმცა კონტრდაზვერვამ, ალბათ, მხედველობაში ეს ვერსიაც უნდა მიიღოს, რადგან გამოვლენილი ჯგუფის საქმიანობის სფერო და მათი პოტენციური შესაძლებლობები ბადებს კითხვას: **რამდენად ღირებული შეიძლებოდა ყოფილიყო მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია რუსეთისთვის?** საჰაერო ძალებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, ალბათ, არ ღირს, რადგან მათთან გამკლავებას (საწყენად კი ჟღერს, მაგრამ ფაქტია) ერთი რუსული ესკადრილიაც შეძლებს. დეტალური ინფორმაცია მათ შესახებ მოსკოვისთვის კრიტიკული არ არის, თანაც მისი შეგროვება მას, სავარაუდოდ, სხვა გზებითაც შეუძლია, იქნება ეს ტექნიკური საშუალებების გამოყენება თუ რომელიმე შეუმჩნეველი მექანიკოსის თუ მძღოლის გადაბირება, რომელმაც, ალბათ, შეიძლება უფრო ეფექტურად იმუშაოს, ვიდრე მფრინავების ჯგუფმა; ისინი ხომ ასე თუ ისე ყურადღების ცენტრში არიან.

საერთოდ, მფრინავებთან დაკავშირებით უცნაურია კიდევ ერთი გარემოება, გადაბირებულ მფრინავს „ოქროს ფასი" აქვს. **წარმოიდგინეთ, რა შეიძლება ჩაიდინოს მან ომის დროს. მას შეუძლია საფრენი აპარატიც კი გაიტაცოს, სხვა ქვეყანაში** (იგივე რუსეთში) **გადაფრინდეს და თავშესაფარი მოითხოვოს** (ასეთ ფაქტებს დიდი ხმაური მოჰყვება ხოლმე), **მას ბევრი სხვა მასშტაბური და შედეგიანი აქციის განხორციელება შეუძლია. ასეთ ფიგურებს მოწინააღმდეგის დაზვერვა, როგორც წესი, საგანგებოდ „ინახავს" და იცავს, ვიდრე სერიოზული ოპერაციის დრო არ დადგება,** ხოლო მათი გამოყენება რუტინული ინფორმაციის მოგროვებისთვის იგივეა, რაც ლურსმნების დაჭედება მიკროსკოპით, ამისთვის ხომ ჩაქუჩი არსებობს. **რაც შეეხება შეიარაღების შესყიდვებსა და დასავლეთთან სამხედრო თანამშრომლობას, ამ კუთხით, ბევრი რამ ღია წყაროებშია ხელმისაწვდომი, ხოლო რაც საიდუმლოა, იმას დაკავებული პირები** (თუ ჯეიმს ბონდის მსგავსი სუპერ-ჯაშუშები არ იყვნენ), **თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ალბათ, ვერ მისწვდებოდნენ, თუმცა გამორიცხული ნამდვილად არაფერია.**

ამ საქმის მეორე, პოლიტიკური, და გარკვეულწილად ფსიქოლოგიური ასპექტი კი ამ დეტალებზე გაცილებით საინტერესო ჩანს.

## სამხედრო მზვერავის დღე

**მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ჯაშუშების დაკავების შესახებ 5 ნოემბრამდე გაცილებით ადრე გავრცელდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ ძირითადი ინფორმაციის გამოქვეყნება სწორედ ამ დღეს არჩია, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სწორედ ამ დღეს რუსეთში „სამხედრო მზვერავის დღე" აღინიშნება. ეს აშკარად დემონსტრაციული ნაბიჯი და გამოწვევა იყო.**

**მძლავრი სახელმწიფოები კი მსგავსი ნაბიჯებისგან თავს იკავებენ, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მათ გონიერი ადამიანები მართავენ.** მაშინაც კი, როდესაც ისინი რომელიმე ქვეყანას (თუნდაც, იგივე რუსეთს) მტრობენ და მისი განადგურებისთვის ყველაფერს აკეთებენ, ასე არასდროს მოიქცევიან იმიტომ, რომ ასეთი ნაბიჯით თავის ნამდვილ დამოკიდებულებას, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და გათვლებს გაშიფრავენ.

**შექმნილი სიტუაციიდან სააკაშვილის ხელისუფლებას ორი მიმართულებით წასვლა**



# «5 ნოემბრის გამოწვევა» ერთგვარი დეტონატორის როლს ასრულებს, თითქოსდა ვიღაცას სურს, რომ რუსეთმა საქართველოს ძლიერი საპასუხო დარტყმა მიაყენოს. საინტერესოა, ვის?

**შეეძლო: კონფრონტაციისკენ ან განმუხტვისკენ, მან მწვავე კონფრონტაცია არჩია. ჯდება თუ არა ეს იმ მიდგომაში, რომლითაც აშშ და ევროკავშირის ქვეყნები რუსეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ** (და საქართველოსაც ურჩევენ ასე მოქცევას)**? რასაკვირველია, არა.**

პარალელების გავლება იმ ისტორიასთან, რომელიც ახლახან შტატებში მოხდა, სადაც რუსი ჯაშუშების ჯგუფი გამოავლინეს, არ გამოგვადგება. ჯერ ერთი, შტატები საქართველოზე განუზომლად ძლიერი სახელმწიფოა, თანაც მისი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ გაუკეთებია კონფრონტაციული განცხადებები, მსგავსი იმისა, რომელიც გასულ კვირას სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს. **იმ დროს ობამასა და მედვედევს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და აშშ-ის პრეზიდენტმა ბევრი ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც ამერიკული საზოგადოების მიერ შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც აშკარა დათმობა რუსეთისთვის.**

ამ კონტექსტში კი „რუსი ჯაშუშების საქმე", რომელთა შორის განსაკუთრებით მომხიბვლობით ანა ჩაპმენი გამოირჩეოდა (გემოვნება სუბიექტური რამ არის, თუმცა ქრისტინ ქილერამდე, რომელმაც თავის დროზე, შესაძლოა საბჭოთა დაზვერვის დავალებით, ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ჯონ პროფიუმო აცდუნა, ანა ჩაპმანს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი), ჰგავდა საზოგადოებრივი აზრისთვის, კერძოდ „ქორების" სეგმენტისთვის გადაგდებულ ძვალს. შედეგად კი **ყველა კმაყოფილი დარჩა — თეთრმა სახლმა და კრემლმა მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწიეს, ხოლო „ქორებმა" სალაპარაკო თემა მიიღეს. შემდეგ კი აღნიშნული ჯგუფის წევრები სავსებით რაციონალურად გაცვალეს რუსეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც აშშ-ის და ბრიტანეთის ჯაშუშები იყვნენ.**

როგორც წესი, მსგავსი რამ ხმაურის გარეშე ხდება, თუმცა კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ობამას ადმინისტრაციას, როგორც უკვე ვთქვით, სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ ის მტკიცედ დგას აშშ-ის ინტერესების სადარაჯოზე და კრემლი ამას, სავარაუდოდ, გაგებით მოეკიდა. საერთოდ, ყოველივე ეს ზესახელმწიფოებისთვის ჩვეულებრივი საქმეა, ყოველდღიური რუტინა და ისტერიკები ამ საქმეში მიღებული არ არის, ისინი რაციონალური მიდგომებით ხელმძღვანელობენ. **რაში მდგომარეობდა სააკაშვილის ხელისუფლების გათვლა, როდესაც ამბის გახმაურება რუსეთის „სამხედრო მზვერავის დღისთვის" გადადო, გაუგებარია. რა ქნა საბოლოოდ სააკაშვილმა? რუს მზვერავებს დღესასწაული ჩაუმწარა? პირადად პუტინს აწყენინა? და მერე რა? რა სარგებელი მოუტანა ქვეყანას ამ დემონსტრაციულმა ჟესტმა და რატომ არ წავედით იმ რაციონალური გზით, რომლითაც სხვა ქვეყნების ხელისუფლებები მიდიან?**

**არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეს ლისაბონის მოახლოებული სამიტის წინ „რუსეთს ნიღაბს ჩამოხსნის"** (მერამდენედ), **სათვალავში ჩასაგდები, ალბათ, არ არის. დასავლეთის** (უპირველესად აშშ-ის) **ქვეყნების ხელისუფლებისთვის, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთგაგების მიღწევა** (ფსონები ძალზე დიდია) **და ამ ისტორიას, სავარაუდოდ, ყურადღებას არ მიაქცევენ.**

## გაი ფოქსის ფიტული

თუ რუსეთის სპეცსამსახურები და პირადად ვლადიმერ პუტინი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობენ, ისინი განხილული აქციის პასუხად გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამენ; ვინაიდან შეურაცხყოფის მცდელობა საჯარო იყო, ისინი რეაგირებას აუცილებლად მოახდენენ, თუმცა არავინ იცის, როდის და როგორ. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება (ეს მთელმა მსოფლიომ იცის), რომ მათი რეაგირება, როგორც წესი, ძლიერ შთამბეჭდავია (ისევე, როგორც მათი ამერიკელი კოლეგების). ამ შემთხვევაში, **„5 ნოემბრის გამოწვევა" ერთგვარი დეტონატორის როლს ასრულებს, თითქოსდა ვიღაცას სურს, რომ რუსეთმა საქართველოს ძლიერი საპასუხო დარტყმა მიაყენოს. საინტერესოა, ვის?**

ისე, 5 ნოემბერი არა მხოლოდ რუსი სამხედრო მზვერავების, არამედ „გაი ფოქსის დღეც" არის, რომელიც ბრიტანეთში ფართოდ აღინიშნება. **ამ დღეს, 1605-ში, ხსენებულმა ფოქსმა თანამზრახველებთან ერთად ლონდონში პარლამენტის შენობის აფეთქება სცადა. ამ სიმბოლურ ჭრილში ჩვენებური „5 ნოემბრის გამოწვევა" ჩირაღდანია, რომელიც ბიკფორდის ზონართან მიიტანეს, რათა ჰაერში მთელი „გადატვირთვა" და დღევანდელი მსოფლიო წესრიგი აწიონ. გაი ფოქსი და მისი თანამზრახველები დაიჭირეს და სასტიკად დასაჯეს, ამან ინგლისელებზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ 1605 წლიდან მოყოლებული ამ დღეს აღნიშნავენ და გაი ფოქსის ფიტულს წვავენ.** იმედია, ის, ვინც ცდილობს, გაი ფოქსის მეთოდები გლობალურ პოლიტიკაზე გადაიტანოს, კარგად აცნობიერებს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას.

გარეგნულად კრემლს არანაირი ემოციური რეაქცია არ გამოუხატავს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ დრომდე არ ჩატარებულა კონსულტაციები ამერიკელ კოლეგებთან (უხეშად რომ ვთქვათ, თემაზე „თქვენ მიხედავთ თუ ჩვენ, თუ — ორივე ერთად") და შესაბამისმა სამსახურებმა სათანადო დავალებები არ მიიღეს. სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დავჯდეთ, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და გავიხსენოთ, რა როლი შეასრულა ჯაშუშებთან დაკავშირებულმა პირველმა სკანდალმა იმ კრიზისის ესკალაციაში, რომელმაც 2008 წლის კატასტროფამდე მიგვიყვანა.

**რასაკვირველია, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში კონტრდაზვერვა უნდა მუშაობდეს, ჯაშუშებს უნდა იჭერდნენ, თუმცა საბოლოოდ ყოველივე ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს, რისკების მინიმიზაციასა და ბონუსების მიღებას უნდა ემსახურებოდეს; მოძრაობა ამ მიმართულებით კი ამ მოვლენების მიღმა არ ჩანს.**

როგორც უკვე ვთქვით, ჯაშუშის წარმატება ან წარუმატებლობა იმის მიხედვით ფასდება, თუ რა ზარალი მიაყენა მან სამიზნე ქვეყანას. **საქართველო ბოლო წლებში ისე დაზარალდა, თითქოს მის ხელისუფლებაში ჯაშუშების მთელმა დივიზიამ წაიმუშავა.**

ალბათ, კონტრდაზვერვამ ამ მიმართულებითაც უნდა იფიქროს და დაადგინოს, ხომ არ შეიპარა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჯეიმს ბონდი ან სიდნეი რეილი (მატა ჰარიზე ყურადღებას ნუ გავამახვილებთ, რადგან ხუმრობა ამ თემაზე ძალიან შორს წაგვიყვანს).

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებები



**ირაკლი მელაშვილი, „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი:**

რევოლუციური გზის დასასრული ისევ არჩევნები არ არის? მიშა წავა, დანიშნავს არჩევნებს, არ მიიღებს მონაწილეობას და გახდება პრემიერ-მინისტრი. თუ საქართველოში არ იქნება, მაშინ სხვა ქვეყნიდან წარმართავს პროცესებს. ამ საარჩევნო გარემოს პირობებში ის მოიგებს არჩევნებს. ვანო მერაბიშვილი ჩაატარებს არჩევნებს, სხვა რეიტინგული ფიგურა მათ მაინც არ ჰყავთ და მიშა სააკაშვილი გახდება პრემიერ-მინისტრი.

*„კვირის ქრონიკა"*



**ჟაბა ჟიშკარიანი, მოძრაობა „7 ნოემბრის" ლიდერი:**

ერთადერთი აჯანყების გზაღა რჩება და თითოეულ ჩვენგანს ამის უფლება აქვს, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხს შეურაცხყოფს და ლახავს თითოეული ჩვენგანის ღირსებას.

*„კვირის ქრონიკა"*



**ეკა ბესელია, „სახალხო კრების" საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი:**

ოქრუაშვილს წავუყენე ერთადერთი პირობა და ვუთხარი: მაქვს პრინციპები და ფასეულობები, რასაც ვერასოდეს ვუღალატებ, ამიტომ არასოდეს დამაყენო არჩევანის წინაშე, რადგან ეს იქნება ის ერთადერთი შემთხვევა, როცა წავალ-მეთქი და პარტიიდან ზუსტად მაშინ წამოვედი, როცა ჩემს პრინციპებს დაემუქრა საფრთხე. კრების შიგნით შეიძლება იყოს განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ ყველა ვთანხმდებით, რომ ეს არის ბრძოლა, რომელშიც უკან არავინ დაიხევს.

*„ვერსია"*



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ოპოზიციაში ხელისუფლების „მსახური" უფრო მეტია, ვიდრე უმაქნისი უმრავლესობის წარმომადგენელი პარლამენტში. ბევრი „ოპოზიციონერი", პირიქით, აძლიერებს „ნაციონალებს". საერთოდ, ამ ხელისუფლებამ ქვეყანაში დემოკრატიის ფასადის შესაქმნელად გაურკვეველი წარსულის მქონე ადამიანებისგან ხელოვნურად შექმნა „პოლიტიკოსები".

*„ჯორჯიან თაიმსი"*



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

საქართველოს თურქეთთან უვიზო მიმოსვლა აქვს, თურქული ბიზნესი მშვენივრად გრძნობს თავს საქართველოში და, რაც მთავარია, მთელი აჭარა თურქეთმა დაიპყრო, თანაც ყოველგვარი ტანკისა და თოფის გარეშე! ამდენად, გასაგებია, რატომ აღარ მიიჩნევს თურქეთი საქართველოს საშიშ ქვეყნად!

*„ასავალ-დასავალი"*



**სოზარ სუბარი, „ქართული პარტიის" დამფუძნებელი:**

დიახ, სააკაშვილი ის ადამიანია, რომელიც აუცილებლად წაიყვანდა ხალხს სისხლისღვრაზე, ოღონდ კი ხელისუფლება აეღო ხელში, ოპოზიცია კი არის პასუხისმგებლიანი, რომელმაც ეს არ გააკეთა იმიტომ, რომ ერთი ადამიანის დაღვრილი სისხლიც კი გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ამ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ერთად აღებული.

*„ახალი თაობა"*



**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**

ჩვენ საფრანგეთი ანდა რომელიმე ცივილიზებული ქვეყანა ჯერ არ ვართ. სოციალურ პროტესტს სჭირდება შესაბამისი მაკონსოლიდირებელი ელემენტი პროფკავშირების სახით. ჩვენთან პროფკავშირები, ფაქტობრივად, არ არსებობს, რომელიც მოახდენდა ამ საპროტესტო მუხტის კონსოლიდაციას.

*„ახალი თაობა"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გაფრაზებულნი



**სანდრო ბრეგაძე,**
**პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ გენერალური მდივანი:**

როდესაც ბაქრაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, მითითება მისცეს და უთხრეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა არავითარ შემთხვევაში არ იფიქროს პრემიერმინისტრობაზეო. იგივე გაუმეორეს ნიკა გილაურსაც ამერიკაში ყოფნისას. თუკი სააკაშვილი მაინც მოისურვებს პრემიერმინისტრობას, მე ვფიქრობ, რომ აქ სცენარი ორი მიმართულებით განვითარდება — სააკაშვილს ამერიკა აიძულებს და დაანიშნინებს ვადამდელ არჩევნებს ან კიდევ, მოუწყობს ახალ რევოლუციას.

*„ალია“*



**პაატა კოღუაშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

ქარელსა და გორში ხილის ბაღები მასობრივად მიტოვებულია. თუ უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 50% იყო მიტოვებული, წელს მათი რაოდენობა 60%-ს აჭარბებს. დედოფლისწყაროელი კოლეგებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ, თუ შარშან ხორბლის მოსავალმა 80.000 ტონა შეადგინა, წელს 30.000 ტონაზე მეტი ხორბალი არ მოსულა.

*„საერთო გაზეთი“*



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

არავის აქვს უფლება, კიდევ ერთხელ უშედეგოდ დასრულდეს მასობრივი გამოსვლები და ხალხი ისეთ დეპრესიაში ჩავარდეს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გაგრძელდება. მიხეილ სააკაშვილსაც ეს უნდა, რადგან უფრო შეძლებს ამ ქვეყნის მონარქი თუ ფადიშაჰი გახდეს. ამიტომ ბრძოლა უნდა მომწიფდეს, უნდა შემზადდეს ისე, რომ ამ რეჟიმის ლიკვიდაცია მოხერხდეს. ჩვენ უფლება აღარ გვაქვს, ხალხი ქუჩაში გამოვიყვანოთ, უაზრო ბაქიბუქითა და დაპირებებით დავაბნიოთ.

*„ყველა სიახლე“*



**დავით წიქარიშვილი,**
**განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის, „ერთობის“ იურიდიული სამსახურის უფროსი:**

ჩვენი პრეზიდენტისთვის სამყარო დღესაც „ძველი ბიჭებისა“ და ხუთოსნებისგან შედგება (ისე, ხუთოსანი „ძველი ბიჭი“ რატომ არ უნახავს ამ კაცს, არ ვიცი!). ჩემი აზრით, ეს ყოველივე ქართველებისა და ქართული განათლების სისტემის წინააღმდეგ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ცდილობენ, ჩვენს სკოლას ისეთი დარტყმა მიაყენონ, რომ ის წელში ველარასოდეს გასწორდეს!

*„ყველა სიახლე“*

# «იმპერიათა მესაფლავე» შეერთებული შტატების მოლოდინში

**1 ნოემბერს CNN-ზე გავიდა სიუჟეტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ წინა დღეს რუსებს ამერიკელებთან ერთად, სამხედრო შვეულმფრენების გამოყენებით, პირველი ერთობლივი სამხედრო სპეცოპერაცია ჩაუტარებიათ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე. შედეგი მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა — გაანადგურეს 932 კილოგრამი ჰეროინი და 156 კილოგრამი ოპიუმი, ასევე დანადგარები, რომლებიც ნარკოტიკების დასამზადებლად გამოიყენება. შავ ბაზარზე ყველაფერი ეს 250 მილიონი ამერიკული დოლარი ღირს. საინტერესოა, რომ რუსეთი ანალოგიური ოპერაციის ჩატარებას, უკვე სამი წელია, ითხოვდა, მაგრამ ამერიკელები შიშობდნენ, რომ ეს გააბოროტებდა ავღანელ ფერმერებს, რომელთაც სხვა შემოსავლის წყარო არ აქვთ და თალიბების მხარეს გადაიყვანდა მათ.**

## თუ პრეზიდენტმა ობამამ 2011 წელს ავღანეთიდან ჯარები გაიყვანა, თალიბებს ქართველები შევრჩებით საომრად

ჯორჯ ფრიდმანი, სადაზვერვო კვლევითი ცენტრის — Starfor-ის გენერალური დირექტორი 9 თებერვალს წერდა, რომ ავღანელებმა ამერიკელებს პაკისტანიდან გადაუჭრეს გზა, საიდანაც ხდებოდა ამერიკელი ჯარისკაცების პროვიანტითა და ტყვია-წამლით მომარაგება. ამიტომ ამერიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ახალი მარშრუტი, რომელიც რუსეთიდან ცენტრალურ აზიაზე გადის. ამით კი, ფრიდმანის აზრით, **ამერიკამ რუსეთის მოთხოვნა გაითვალისწინა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მიჩნეული ყოფილიყო რუსეთის გავლენის სფეროდ.**

თუმცა აქვე დასძენს, რომ თურქმენეთი და ყაზახეთი (ახლა უკვე ყირგიზეთიც – რ.კ.) **რუსეთის ნებართვის გარეშე მაინც ვერ გაბედავდნენ ამერიკელებისთვის ნებართვის მიცემას.**

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ფრიდმანი. ამერიკელებს, მისი აზრით, ავღანეთში ჯარისკაცები კი არ სჭირდებათ, არამედ საიდუმლო აგენტები (თვითმფრინავებთან ერთად), რომლებიც ალ ქაიდას გეგმებს გაშიფრავენ. მაგრამ ეს აზრი ცოტა მოძველებული მეჩვენება, რადგან ბოლო ხანებში დადგინდა, რომ **ალ ქაიდამ 11 სექტემბრის ტერაქტი დაგეგმა არა ავღანეთში, არამედ გერმანულ ქალაქ ჰამბურგში! ასევე, ლონდონის ცნობილი ტერაქტიც ბრიტანეთში დაბადებულმა ეთნიკურმა პაკიტანელებმა იქვე დაგეგმეს. ამერიკის ომი ავღანეთში უაზრო ხდება, ვინაიდან იქ ვერავითარ „დემოკრატიას“ ვერავინ დაამყარებს, ხოლო თალიბანი არის ის ერთადერთი ძალა, რომელსაც იქ წესრიგის დამყარება შეუძლია.** მაგალითად, ვიდრე ავღანეთს თალიბები მართავდნენ, იქ ოპიუმის პლანტაციები განადგურებული იყო და მხოლოდ ამ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში აღადგინეს ისინი და ქვეყანაც გადაიქცა მსოფლიოში ნარკოტიკების ერთ-ერთ მთავარ მწარმოებლად!

ფრიდმანის აზრით, ევროპელები ვერ მისცემენ თავიანთ თავს ნებას, რომ გააღიზიანონ რუსეთი და ძნელი წარმოსადგენია, რომ ავღანეთში შემავალი მარშრუტების გამო გერმანელები წაეჩხუბებიან რუსებს, ასევე პაკისტანიც არა სანდო პარტნიორია ამერიკისთვის. მაგრამ ობამას ადმინისტრაცია კვლავ ბუშის გზას აგრძელებს.

საინტერესოა, რომ **ფრიდმანის აზრს იზიარებს ზბიგნევ ბჟეზინსკიც და 15 იანვრის ინტერვიუში ობამას პოლიტიკას აკრიტიკებს.** მისი აზრით, **„ამერიკისთვის მთავარი გეოპოლიტიკური პრიზი არის ევრაზია, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 75% ცხოვრობს და მოდის მსოფლიოს ენერგომატარებლების სამი მეოთხედი“.** ამიტომ, ბჟეზინსკის აზრით, ამ კონტინენტზე ამერიკამ უნდა შეინარჩუნოს არბიტრის სტატუსი (?! — რ.კ.).

გაუგებარია, რანაირად უნდა იყოს ამერიკა არბიტრი, როდესაც მას ავღანეთში უზარმაზარი არმია ჰყავს. ბჟეზინსკის მიაჩნია, რომ ამერიკის რეაქცია 11 სექტემბრის ტერაქტებზე არასწორი იყო და მას სხვანაირად უნდა ემოქმედა. ის ევრაზიის კონტინენტს „გლობალურ ბალკანებს“ უწოდებს, რაც, ცოტა არ იყოს, მოძველებული აზრია. მაგრამ ფაქტია, რომ **ობამას თითქოს ჯარების გამოყვანა უნდა, მაგრამ სულ უფრო მეტ ჯარისკაცებს აგზავნის და კატეგორიულად ითხოვს თავისი პარტნიორებისგან სულ უფრო მეტი კონტიგენტის გაგზავნას, რაც ევროპაში ძალიან არაპოპულარული იდეაა.**

ბჟეზინსკი ფიქრობს, რომ ამერიკელებმა სწრაფად უნდა გაანადგურონ ალ ქაიდა და შემდეგ სასწრაფოდ დატოვონ ავღანეთი. **„დემოკრატიის მშენებლობაზე“ უკვე აღარავინ ლაპარაკობს. როგორც ჩანს, გაერკვნენ, რომ ავღანეთი და დემოკრატია შეუთავსებელია.** თუნდაც კარზაის მეორე საპრეზიდენტო არჩევნები სრულიად გაყალბებული იყო, მაგრამ დასავლეთმა ამაზე ხმა არ ამოიღო და პრაქტიკულად თვალები დახუჭა.

თუმცა ბჟერზინსკი მაინც არ ღალატობს თავის რეაქციულ მენტალიტეტს და ამბობს: **„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ვერც ერთმა ქვეყანამ ან კოალიციამ ვერ გამოგვდევნოს ევრაზიიდან და არ წაგვართვან ან თუნდაც დასწიონ ჩვენი, როგორც არბიტრის გადამწყვეტი როლი“.** უბრალოდ, არ აკონკრეტებს, თუ რატომ უნდა იყოს ამერიკა არბიტრი იმ კონტინენტზე, სადაც არიან ისეთი გიგანტები, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი.

ბჟეზინსკი ვარაუდობს, რომ ალ ქაიდას ავღანური ბაზის განადგურების შემდეგ, ისინი პაკისტანში ან იემენში გადავლენ, თუმცა გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ **ეს ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად სწორედ ამერიკამ შექმნა, გაწვრთნა და „სტინგერებით“ შეაიარაღა.** ამიტომ სიტუაციაში გასარკვევად საჭიროა, გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის გამოცდილება ამ მიწაზე წარმოებულ ომში.

ჟურნალ „Foreign Affairs“-ის შარშანდელი დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ სტატიას „შეეძლო თუ არა საბჭოთა კავშირს, გაემარჯვა ავღანეთის ომში?“. ეს რიტორიკული კითხვა იმიტომ არის დასმული, რომ ამერიკელებმა გაითვალისწინონ ის შეცდომები, რაც მაშინ იქნა დაშვებული. ▶

## მოკლედ



### ოპოზიციამ ილუზიებიც დაკარგა

**„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერს, დავით უსუფაშვილს გულწრფელად სჯერა, „ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას არ აქვს ილუზია, რომ ხელისუფლება ერთ მშვენიერ დღეს გონს მოეგება“, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უმრავლესობაში თავად არ იგულისხმება.** „საერთო ძალისხმევით მნიშვნელოვან ცვლილებებს მივაღწევთ და ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გავაუმჯობესებთ“, — ისე დაჟინებით ირწმუნება უსუფაშვილი, აშკარად ხელისუფლების გონზე მოსვლის იმედი აქვს. „ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოებაც აქტიურად ჩაერთო და ყველა მხრიდან არსებობს იმის მზაობა, რომ მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში გადავიდეს და რეალურად, ქვეყანაში საარჩევნო პროცესის კუთხით ცვლილებები მოხდეს“, — განაცხადა უსუფაშვილმა.



### ძირს საპენსიო ფონდი!

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყოფილ მინისტრ კახა ბენდუქიძეს საქართველოში საპენსიო ფონდის არარსებობა სწორად მიაჩნია და საერთოდაც, მისი აზრით, საპენსიო ფონდი ფიქციაა.** „საპენსიო ფონდის დეფიციტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარებას საჭიროებს. ამიტომ ფონდი ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ისტორიულად აღინიშნება მოსახლეობის ზრდა. მაშინ საპენსიო გადარიცხვების შემოსავალმა, შესაძლოა, უზრუნველყოს პენსიების გადახდა. სხვა შემთხვევაში ეს სისტემა არ იმუშავებს“, — განაცხადა ექს-მინისტრმა და დაამატა, რომ საპენსიო ფონდის სისტემა თავის მოტყუებას ეფუძნება. ერთადერთი ჯანმრთელი სისტემაა, როცა ადამიანები თვითონ აგროვებენ ფულს ხანდაზმულებისთვის.



### ყველაზე მაგრები მსოფლიოში

**საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბულდოზერი, ასფალტი და ბათუმი არ იჭმევა. გაგიკვირდებათ და ასე გამოეხმაურა ის მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგს და გვახარა, რომ ეს „საბოლოო ჯამში“ რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობას წაადგება.** „მართალია, 5 წლის განმავლობაში იყო შეცდომებიც, ტრაგედიებიც, აღმავლობაც, მაგრამ საბოლოო ჯამში საქართველო №1 რეფორმატორი ქვეყანაა მსოფლიოში... ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, რადგან ცალკე აღებული რეიტინგები, ასფალტები, ბულდოზერებისა და ტრაქტორების მუხლუხოები არ იჭმევა; არ იჭმევა ასევე არც ბათუმი, არც სიღნაღი, არც თბილისი; საბოლოო ჯამში იჭმევა მხოლოდ ის, რაც ადამიანებს ოჯახში მიაქვთ“, — მიხვდა პრეზიდენტი.



### იწყება თუ არა მოლაპარაკება?

**„ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიოს, იქნება თუ არა რეალური მოლაპარაკებები და ვიმსჯელებთ თუ არა ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე“.** ლოდინით „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა დაიღალა და განაცხადა, ერთადერთი საჯარო რეაქცია, რაც ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის შეთავაზებას მოჰყვა, პარლამენტის თავმჯდომარის — დავით ბაქრაძის ირიბად დაფიქსირებული სურვილია, რომ დაწყებულიყო ქვეყანაში დიალოგის პროცესი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებთან დაკავშირებით, თუმცა შარტავა მიიჩნევს, რომ ეს მოლაპარაკების პროცესის დაწყებას სულაც არ ნიშნავს. თუ ოდესმე მოლაპარაკებები მაინც დაიწყება, მასში საზოგადოების ჩართვა პროგრესი იქნება.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# კარზაი ამერიკელებს სთხოვს, კიდევ თხუთმეტი წელი დარჩნენ ქვეყანაში. მაგრამ ობამა განწყობილია, რომ, რაც შეიძლება მალე გავიდეს ავღანეთიდან

◀ პირველი და მთავარი შეცდომა, რაც საბჭოელებმა დაუშვეს და ამერიკას აღარ გაუმეორებია, ჩემის აზრით, არის ისლამის შეურაცხყოფა: **როდესაც საბჭოთა ჯარი იქ შევიდა, პირველად მათ წინააღმდეგ არავითარი აგრესია არ ყოფილა, ვინაიდან მათ გაანადგურეს ამინის სისხლიანი რეჟიმი. მაგრამ კომუნისტური მენტალიტეტიდან გამომდინარე, საბჭოთა ჯარებს უბრძანეს, ავღანელი ქალები „გაეთავისუფლებინათ დრომოჭმული იდეოლოგიისაგან“, რაც ჩადრთან ბრძოლაში გამოიხატებოდა. და ქაბულის ქუჩებში კოცონები აგიზგიზდა, სადაც საბჭოთა ჯარისკაცები ჩადრებს წვავდნენ. ამ, ერთი შეხედვით უბრალო, აქტმა, მასიური პროტესტი გამოიწვია, ქალები ქუჩაში ვეღარ გამოდიოდნენ, ხოლო მამაკაცებმა, მათ შორის პატარა ბიჭებმაც, კალაშნიკოვები აიღეს ხელში.**

რასაკვირველია, იდეოლოგიურად განწყობილი საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, ამერიკა ავღანეთში არ შესულა რეჟიმის შესაცვლელად, როგორც ამას დღეს ამტკიცებენ(?). მაგრამ ამაში ამერიკელ პოლიტოლოგებს ვერ დავეთანხმები — ბუში და ნეოკონები სრულიად იდეოლოგიზირებული იყვნენ და „დემოკრატიის ტრიუმფის“ იმედი ჰქონდათ. დღეს კი ავღანეთის პრეზიდენტი უკვე თალიბებთან აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებებს — ალბათ, კარგად ახსოვს საბჭოელების მიერ დასმული პრეზიდენტის, ნაჯიბულას ბედი.

**ამერიკელები ავღანელ სამოქალაქო საზოგადოებას არ უპირისპირდებიან, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირს მთელ ავღანეთთან ჰქონდა ომი და ეს მოუგებელი ვარიანტი იყო. თუმცა ამერიკელები სულ უფრო ვარდებიან პესიმიზმში, ხედავენ რა, რომ ისინიც აგებენ ომს, როგორც მანამდე ჯერ ინგლისელებმა (3-ჯერ), ხოლო შემდეგ საბჭოელებმა წააგეს.**

როდესაც 1989 წელს საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს, დასავლეთში ეგონათ, რომ ნაჯიბულას რეჟიმი უცებ დაემხობოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და თითქმის სამი წელიწადი ავღანეთს კომუნისტები მართავდნენ. მაგრამ **მთავარი, რაც ნაჯიბულამ იცოდა და საბჭოელებს არ ესმოდათ, იყო ის, რომ არავითარი ავღანური ერი არ არსებობს, ავღანეთი – ეს არის ადგილობრივი კლანების კრებული** და ამ კლანების მეთაურებთან და ადგილობრივ ფეოდალებთან პატივისცემით უნდა ყოფილიყვნენ. **ამერიკელები ამას მიხვდნენ და ამჟამად საუკეთესო ურთიერთობა აქვთ თუნდაც კარზაის ძმასთან, რომელიც ყანდაგარის ნარკობარონია.**

შევხედოთ ავღანეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს – იქ გაერომ დააფიქსირა ერთ მილიონზე მეტი გაყალბებული ბიულეტენი, მაგრამ პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის არაფრით არ უნდოდა ამის აღიარება და მეორე ტურის დანიშვნა. იგი ამტკიცებდა, რომ 54% მიიღო. მხოლოდ გაეროს დამკვირვებლებსა და ამერიკელ გენერლებს შორის ღია დაპირისპირების შემდეგ, რაც მასმედიაში აისახა, კარზაი დასთანხმდა ნოემბერში მეორე ტურის გამართვას. თუმცა **გაუგებარია, სასტიკ სიცივეში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლები როგორ შეაღწევდნენ ავღანეთის მაღალ მთიანეთში, ანუ ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე. თანაც ცნობილია, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიის 70%-ს თალიბები აკონტროლებენ.** ხოლო კარზაის მთავარმა მოწინააღმდეგემ, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა აბდულამ უარი თქვა მეორე ტურში მონაწილეობაზე და მოითხოვდა არჩევნების შედეგების საერთოდ გაუქმება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომა და ახალი არჩევნები. მაგრამ, როგორც ბრიტანული პრესა წერდა ამ დღეებში, **რა მნიშვნელობა აქვს ამ ვითომ არჩევნების შედეგებს, თუ ჰამიდ კარზაი სინამდვილეში მხოლოდ დედაქალაქის დე ფაქტო მერია და ეროვნული თანხმობის ხელისუფლების შექმნა არ ძალუძს?**

თავის დროზე ნაჯიბულამ ნება დართო ადგილობრივ ლიდერებს, თავიანთი შეიარაღებული მილიციები ჰყოლოდათ და ქვეყნის არმიაშიც ჩართულიყვნენ. არადა, ესენი ყოფილი მოჯაჰედები იყვნენ. ყველაზე ცნობილი იყო უზბეკური შეიარაღებული დაჯგუფება ცნობილი საველე მეთაურისა და ანტიკომუნისტის — აბდულა რაშიდ დუსტუმის მეთაურობით, რომელიც ფორმალურად შედიოდა ავღანეთის არმიაში დივიზიის სახით, თუმცა მხოლოდ გენერალ დუსტუმს ემორჩილებოდა.

მაშინ ნაჯიბულამ გააუქმა ყველა კომუნისტური და მარქსისტული რეფორმები, მაგრამ მოსკოვიდან კვლავ იღებდა დიდ ფულსა და იარაღს. მხოლოდ როცა ელცინმა ეს შეწყვიტა, შესაძლებელი გახდა მისი რეჟიმის დამხობა, ვინაიდან თავის უძლეველობა დაიჯერა და კლანების ლიდერებს დაუპირისპირდა.

ამას კი მოჰყვა დუსტუმის ღალატი და სხვა ამბოხებულებთან გაერთიანება. მაგრამ **მთავარი მაინც ის იყო, რომ ნაჯიბულა პაკისტანს დაუპირისპირდა და, ამერიკის დაზვერვის ცნობით, ქაბულში ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს, თუ პაკისტანის მხარდაჭერა არ ექნა.** და მართლაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკამ შეწყვიტა მოჯაჰედების დაფინანსება, მაგრამ პაკისტანს არ შეუწყვეტია და მალე ის რეჟიმიც დაამხეს (ნაჯიბულა რამდენიმე წელი გაეროს სანქციით იმალებოდა, მაგრამ 1996 წელს დაიჭირეს და ჩამოახრჩვეს).

ასე რომ, **გაუგებარია, იპოვიან კი ამერიკელები ახალ ლიდერს, ვინაიდან კარზაის იმედზე ისინი უკვე აღარ არიან, მაგრამ არც არავინ არ ჩანს.**

ეთნიკურად ის უნდა იყოს პუშტუნი, ვინაიდან ავღანეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ ეს ეთნოსია და, ცხადია, ვერც ტაჯიკსა და ვერც უზბეკს ლიდერობის პრეტენზია ვერ ექნება, მაშინ ეს შეკოწიწებული ქვეყანა სამ-ოთხ ნაწილად დაიშლებოდა. **კარზაი ამტკიცებს, რომ მას ხუთი წელი სჭირდება ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად, თუმცა ამერიკელებს სთხოვს, კიდევ თხუთმეტი წელი დარჩნენ ქვეყანაში. მაგრამ ობამა განწყობილია, რომ, რაც შეიძლება მალე გავიდეს ავღანეთიდან,** ყოველ შემთხვევაში ასეთი პირობა აქვს მიცემული ამერიკელი ხალხისთვის. ამავე დროს, კარზაის თავისი ახალი მთავრობა ჯერ არ დაუმტკიცებია და, როგორც ჩანს, მინისტრები „არ სჭირდება“.

„Washington Post“-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, ამერიკელთა 51%-ს მიაჩნია, რომ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანით ტერორიზმის საფრთხე შემცირდება. ეს ომი, უკვე 109 თვეა, გრძელდება და ამერიკისთვის რეკორდულად ხანგრძლივია, მაშინ, როდესაც ვიეტნამის ომი 103 თვე გრძელდებოდა. **ავღანეთში ამერიკული ჯარების სარდალი, გენერალი მაკ-კრისტალი ამტკიცებდა, რომ მისთვის დამატებითი 40 ათასი ჯარისკაცის მიცემით ალ ქაიდასა და თალიბებს ბოლოს მოუღებდა, მაგრამ მან ობამას პოლიტიკა გააკრიტიკა და მოხსნეს.**

ავღანეთს ტყუილად როდი დაარქვეს „იმპერიათა მესაფლავე“. იქ **ამერიკის დამარცხება გარდაუვალია, ისევე, როგორც მანამდე კისერი მოიტეხეს ჯერ ინგლისელებმა და შემდეგ საბჭოელებმა.** ამერიკის მთავარი შეცდომა, ექსპერტების აზრით, არის ის, რომ ალ ქაიდასთან ერთად თალიბებსაც დაუპირისპირდა, მაშინ, როდესაც ალ ქაიდა პაკისტანის მიუვალ პროვინცია ვაზირისტანში გადავიდა. ხოლო, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თუ ვაზირისტანის ბაზას გაანადგურებენ, რაც სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ სათუოა, სხვაგან გადაბარგდება და ამერიკას ახალი თავსატეხი გაუჩნდება — მსოფლიოში ხომ მრავალი არშემდგარი სახელმწიფოა! ამიტომ საჭიროა რეალობისთვის თვალის გასწორება და მოუგებელ ომში მონაწილეობის შეწყვეტა.

**ბევრს მიაჩნია, რომ ომის გაგრძელება კიდევ უფრო განავითარებს ჯიჰადიზმს სხვა ქვეყნების მუსლიმანთა შორის. მაგალითად, თალიბებს შორის დაფიქსირდნენ ჩრდილოკავკასიელები. არადა, ესენი ერთ დღეს სახლში, კავკასიაში, დაბრუნდებიან და, ვინაიდან მათ ომი ისწავლეს, კვლავ იმავეს გააგრძელებენ.** სულ უფრო ვრცელდება აზრი, რომ ამერიკელები გაცილებით უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ თავიანთ საკუთარ სახლებში და ბევრსაც მოიგებდნენ, მუსლიმანი ბავშვებისთვის სკოლები რომ ეშენებინათ, იმის მაგივრად, რომ ბომბები დაეყარათ მათთვის თავზე მოუგებელი ომის დროს!

**ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ავღანეთი. ამჟამად ამერიკა რუსეთს სთხოვს არა მარტო თავის ტერიტორიაზე ამერიკული კონვოების გატარებას, არამედ უფრო აქტიურ მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში. ისინი იმით აპელირებენ, რომ საბჭოელებს ავღანეთის ომში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდათ.** ობამა ხშირად აცხადებს, რომ მას რუსეთის მონაწილეობა უნდა ამ ომში. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში რას მოიმოქმედებდა რეგიონის სუპერსახელმწიფო – ჩინეთი? რუსეთი ჯერჯერობით მხოლოდ ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ გამართულ ოპერაციებში მონაწილეობას თანხმდება, მაგრამ ამით ისინი თალიბებს კვლავ თავის წინააღმდეგ განაწყობენ. როგორც აღვნიშნე, ისინი თავის დროზე ამერიკელებმა შეაიარაღეს სწორედ საბჭოელებთან საბრძოლველად. ასე რომ, **თუ ობამამ თავისი სიტყვა შეასრულა და 2011 წელს ავღანეთიდან ჯარები გაიყვანა, შეიძლება თალიბებს კვლავ რუსები და ქართველები შერჩნენ საომრად. რასაკვირველია, თუ იმ დროს სააკაშვილი კვლავ პრეზიდენტი იქნა.**

ჩვენთვის კი მაინც მთავარია, თუ რა უნდა საქართველოს ამ უაზრო ომში. გასაგებია, ეს სააკაშვილის პირადი სურვილია, რათა ამერიკელებთან თავი მოიწონოს და მმართველობა გაიხანგრძლივოს. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და, **თუკი ამერიკელი ამომრჩევლები ღიად აფიქსირებენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ამ ომისადმი, ჩვენ მაინც რაღა გვემართება? როდემდე უნდა ვაგზავნოთ მოსაკლავად ჩვენი საუკეთესო სამხედრო კონტიგენტი სხვის ომში, რომელშიც პოტენციურ დამარცხებულთან ერთად ვართ?**

**რამაზ კლიმიაშვილი**

## გაფრაზებულნი



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ კიდევ უფრო გაგვიჭირდება, ჩვენი ცხოვრების პირობები დღითი დღე გაუარესდება და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ სააკაშვილი იქნება ხელისუფლებაში. მისი გეგმა ასეთია: ხალხის გაღატაკება იმ დონემდე, რომ ამას მოჰყვეს ჩვენი სულიერი დაცემა და განადგურება.

*„ასავალ-დასავალი“*



**გოგი ქავთარაძე,**
**„სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი:**

ხალხი უფრო აგრესიულადაა განწყობილი, ვიდრე ჩვენ. ისინი კონკრეტიკას ითხოვენ. ჩვენ რაღაც გეგმის ნაწილს ვახმოვანებთ, რაღაცას — ვერა. ამაზე გვპასუხობენ — გეგმა და ბევრი ლაპარაკი არ გაგვაგონოთ, ვიკრიბებით და დანარჩენი ჩვენ ვიცითო! ხალხს სახლში წასვლა არ სურს!

*„ასავალ-დასავალი“*



**თემურ მურღულია,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი:**

შეიძლება ადამიანი თვეობით სახლში არ ცხოვრობდეს, დენს არ იხდიდეს და შესაბამისად, წყალსაც არ მოიხმარდეს, მაგრამ მას სულადობით მაინც მოუვა წყლის გადასახადი და, თუ არ გადაიხდის, დენსაც გაუთიშავენ, გაზსაც და სახლიდანაც გააგდებენ. ჯარიმებზე გადასვლის შემთხვევაში, თუ ის ჯარიმას ვერ გადაიხდის, კონფისკაცია ემუქრება, მაშინ, როდესაც ადამიანი საერთოდ არაფერს ხარჯავს. როდესაც შენ ფიქსირებულ გადასახადს იხდი და გიერთიანებენ სხვა გადასახადთან, გაიძულებენ, რომ მაინც გადაიხადო, ხარჯავ თუ არა. ეს უკვე არაკონსტიტუციურია.

*„კვირის ქრონიკა“*



**ლალი აფციაური,**
**ადვოკატი:**

მიშას იდეა მოსვლია, ერეკლე მეფის ძეგლი გადაიტანოს თელავიდან, ძალიან თვალშისაცემ ადგილასაა, ტურისტები რომ ჩამოვლენ, უნდათ არ უნდათ, გაიგებენ, ვისია ძეგლიო...

*„კვირის ქრონიკა“*



**თემურ ქორიძე,**
**ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი:**

მე ერთხელ უკვე გამოვცადე ხელისუფლებაში ყოფნის სიმძიმე და სასწაული უნდა მოხდეს, რომ კიდევ ერთხელ მოვინდომო გახელისუფლება! ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენმა პოლიტიკოსებმა ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ: თუ ქვეყნის გადასარჩენად ხელისუფლებაში მოსვლა სურთ, მაშინ მზად უნდა იყვნენ თავგანწირვისთვის! გვიჩვენეთ, ბატონებო, თავგანწირვით მაგალითი!

*„ასავალ-დასავალი“*



**ზურაბ ქაფიანიძე,**
**მსახიობი:**

სისხლისღვრას მოვერიდეთო, დღესაც ამაყობენ სამასი ათასი ღირსეული ქართველის სახლში ჭიქა ღვინის დასალევად გამშვებები. ვაი, რომ იმ ერთი ჭიქა ღვინოთი მოგვიანებით აგვისტოში დაღუპულთა სულების ხსოვნის თქმა მოგვიხდა. საკითხავია, როდის უფრო მეტი სისხლი დაიღვრებოდა — იმ ინაუგურაციისას თუ აგვისტოში? არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ თან კოდორი დავკარგეთ, ცხინვალზე აღარაფერს ვამბობ, არც აქეთ გადმოწეულ საზღვარზე...

*„ასავალ-დასავალი“*



**შოთა გამყრელიძე,**
**აკადემიკოსი:**

თითოეული თანამდებობის პირიც და რიგითი მოქალაქეც ქვეყანასა და ხალხს უნდა ემსახუროს, ეს ჩვენი ვალია, თორემ საკუთარ თავს ღორიც ემსახურება!

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გლეხებს მიწის გაყიდვას აიძულებენ!

## ცოტა ხანში სოფელში სუფთა ჰაერის «უკანონო ხარჯვისთვისაც» გადასახადს დააწესებენ

**„უკანასკნელი ახალი ამბები სოფლის მეურნეობის შესახებ“ ან „ბოლო დროს განვითარებული სოფლისთვის მტკივნეული თემები“ — რაც გინდათ, ის უწოდეთ, მაგრამ ამბავი, რომელიც უნდა მოგითხროთ, არც თუ დიდი ხნის წინათ, 2010 წლის მაისში დაიწყო; მაშინ, როდესაც ხელისუფლება არჩევნების მოსაგებად ემზადებოდა და მის „სიკეთესა“ და „ენატკბილობას“ საზღვარი არ ჰქონდა; მაშინ, როცა გაჭირვებისგან წელში გატეხილმა გლეხებმა, ზოგმა საწვავზე გაყიდა საკუთარი ხმა, ზოგმა — ფქვილზე და ზოგმაც — მცირეოდენ თანხაზე.**



დაპირებები, რომელთაც ხელისუფლება იძლეოდა, იმედის მომცემი ჩანდა და სოფლის მცხოვრებლებმაც კიდევ ერთხელ გადაყლაპეს ანკესზე წამოგებული სატყუარა! მოკალათდა თუ არა „ნაცმოძრაობა“ მოხერხებულად სავარძელში, მაშინვე გამოაჩინა კარგად შეფუთული კლანჭები. **არჩევნებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ გლეხებისა და სოფლის მეურნეობის საუბედუროდ და ვერა ქობალიას სამინისტროს სასარგებლოდ ახალი კანონი შევიდა ძალაში** (აბა, გლეხები რას მივლენ ვერასთან!) — **გაზაფხულზე შეიძლება გლეხებმა საძოვრებზე ნაზამთრალი ძროხები ვეღარ გაიყვანონ, რადგან საძოვრები ეკონომიკის სამინისტროს საკუთრება გახდება; შემდეგ კი გაიყიდება ან იჯარით გაიცემა.** საძოვრების მფლობელი გლეხებს პირუტყვის გამოკვებისთვის ფულს გადაახდევინებს, ანუ მთავრობა ამ გადაწყვეტილებით ორ კურდღელს დაიჭერს: ქობალიას სამინისტრო საპრივატიზაციო გეგმას შეასრულებს, ბიუჯეტს კი გადასახადების სახით დამატებითი შემოსავალი გაუჩნდება.

ამან შეაშფოთა, შეაწუხა, გაანერვიულა გლეხები, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა.

ამ ამბიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ მთავრობამ კიდევ აღმოაჩინა ერთი გარემოება, რითაც გლეხების ხარჯზე ბიუჯეტის შევსება იყო შესაძლებელი. დაუმუშავებელი მიწის მფლობელებს მიწის გადასახადი დაეკისრებათო.

**თუ გლეხს იმის შესაძლებლობა არ აქვს, რომ მიწა დაამუშაოს, გადასახადი რით უნდა გადაიხადოს? მაგრამ აქ მთავარი გადასახადი არაა, ხელისუფლებამ და ამ კანონის ავტორებმა კარგად იციან, რომ გაჭირვებული გლეხი ვერანაირ გადასახადს ვერ გადაიხდის და იძულებული იქნება, მიწა გაყიდოს.**

ჰოდა, ეს უნდათ სწორედ ამათ. **სად წაიყვანონ, აბა, სპილოებზე ამხედრებული საქართველოსკენ გეზაღებული ბურები?**

მესამე კანონპროექტზეც მოგახსენებთ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი. **მალე ტყის მიწის მფლობელებს ქონების გადასახადი დაეკისრებათ.**

„ტყის მიწად ითვლება მიწა, რომელიც სოფლის მეურნეობის დამხმარე საქმიანობაში გამოიყენება. აქ ყოფილი საკოლ-

## გლეხებს საძოვარზე პირუტყვის გამოკვებისთვის გაზაფხულიდან გადასახადი დაეკისრებათ

მეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეებიც იგულისხმება“, — ნათქვამია კანონპროექტში. ანუ გლეხმა რომ პირუტყვი საძოვარზე ტყეში გაუშვას, გადასახადი უნდა გადაიხადოს? **ცოტა ხანში, საქონელი მდინარის წყალს რომ დალევს, ამის გადასახადსაც დააწესებენ.**

ამათგან არც ისაა გასაკვირი, სოფელის მოსახლეობას სუფთა ჰაერის „უკანონო ხარჯვისთვისაც“ რომ დაუწესონ გადასახდი.

ქართული სოფლის მეურნეობა ნელ-ნელა ბარდება ისტორიას. გლეხებიც სწორედ ამიტომ გამორბიან თავქუდმოგლეჯილები სოფლიდან, კაპიკია მათი შრომის ფასი. კაციშვილი მათი პატრონი არაა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხომ არაფრის მაქნისია ბედოვლათი მინისტრიანად. **სოფლის მეურნეობის მინისტრი არ უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც თვალით არ უნახავს ბარი, თოხი; სოფლის მეურნეობა „პაეზდკებში“ სიარული რომ ჰგონია და ფერმა მარტო facebook-ში რომ აქვს ნანახი!**

მაგრამ საქართველოში სოფლის მეურნეობა რომ განვითარდეს, მაშინ ხომ პარაზიტი მუქთახორები ვეღარ გააკეთებენ ფულს საცოდავი მოსახლეობის ხარჯზე, ვეღარ მოწამლავენ ქართველ ერს ბინძური ტოქსიკური პროდუქტებით. ჰოდა, აი ამიტომაც არ ავითარებენ სოფლის მეურნეობას.

**სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვაზე უფრო ადვილია, შემოიტანო ეგვიპტიდან ლობიო, თურქეთიდან — ხახვი. მერე რა, თუ ეს, ფაქტობრივად, ქართული სოფლის სიკვდილს უდრის?!** ვიღაც გაზულუქებული კი ზის კაბინეტში და ასტრონომიული ხელფასი აქვს.

ამას წინათ შვედეთზე ვუყურე გადაცემას, თითო ძროხის ყოლაში გლეხს ფულს უხდიან, ლანდშაფტს ალამაზებსო.

**ამ ხელისუფლებას რომ ჰკითხო, გაზარმაცდა ქართველი გლეხიო. კი არ გაზარმაცდა, უაზრო და უშედეგო შრომამ გაწყვიტა წელში.**

საინტერესოა, შევარდნაძის დროს რატომ იყო უფრო მეტი მოხნული მიწა, ვიდრე ახლა, სააკაშვილის პრეზიდენტობისას. შევარდნაძის დროს უფრო უხვმოსავლიანი იყო ქართული მიწა და შვიდ წელიწადში გაფუჭდა? თუ იმიტომ, რომ ამდენი უაზრო გადასახადით მაინც არ ხდიდნენ გლეხებს სულს?!

ნუგზარ ტყემალაძე, საჩხერის რაიონის სოფელ მოძვის მკვიდრი:

— ეს ხელისუფლება ყოველ თვეში ახალ-ახალ კანონებს იგონებს, რაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ გლეხებს კიდევ უარეს დღეში გვაგდებს. დაუმუშავებელ მიწაზე გადასახადს დააწესებენო. მიწა კი მაქვს 5000 ჰექტარი, მაგრამ ვერ ვამუშავებ. იმიტომ კი არა, რომ მეზარება, იმიტომ, რომ რამდენიმე წელიწადი ვამუშავებდი, წელში ვწყდებოდით მთელი ოჯახი, მაგრამ მარტო შიშველი ხელები მეურნეობისთვის აღარაა საკმარისი. დახვნა უნდა ამ მიწას, სასუქი უნდა, მოვლა-პატრონობა. ამ ყველაფერში იმდენი ფული დავხარჯე, მოსავალმა ხარჯიც ვერ დამიფარა და დავანებე თავი. **უნდა გაყიდოო, გვეუბნება ჩვენი მთავრობა. რატომ უნდა გავყიდო? ჩემს შვილსა და შვილიშვილს ერთ მიწას ვუტოვებ, მეტის შესაძლებლობა არ მაქვს, და ისიც გავუყიდო? მამაპაპისეული მიწაც აღარ ჰქონდეთ?!** იქნებ, შეიცვალოს დრო და რამეში გამოადგეთ. არ მომწონს ეს ახალი კანონი. გადასახადი რომ დააწესონ, ვერ გადავიხდი. არც გავყიდი, ჩემი მიწაა და, როგორც მინდა, ისე მოვიხმარ.

**მერაბ ბასილაური, სოფელ ბალებისხევის მკვიდრი:**

— ტყით სარგებლობაზე ფული უნდა გადაიხადოთო, თქვენგან გავიგე ახლა პირველად. მაინც რა იგულისხმება ამ კანონში?

**ტყეში რომ შევიდე და ფიჩხი გამოვიტანო, ეს ტყით სარგებლობაა? საქონელი ტყეში მყავს გაშვებული და ამას ამიკრძალავენ? გლეხს ტყე წაართვა, სად გაგონილა? შეიძლება ყველაფერზე გადასახადი იყოს?**

ქალაქელებს სოფელში ცხოვრება იოლი ჰგონიათ. აბა, ერთი ჩამოვიდეს რომელიმე მაგ კანონის ავტორი, ერთი თვე იშრომოს, როგორც ჩვენ ვშრომობთ და მერე ვნახოთ, კიდევ თუ მოუვა თავში აზრად გლეხებისთვის გადასახადის დაწესება. ტყით თუ ვეღარ ვისარგებლეთ, დავლუპულვართ და ეგაა. დილით 7 საათზე ვდგებით, მთელ დღეს შრომაში ვატარებთ და მაინც გაჭირვებულად ვცხოვრობთ. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ ცხოვრებას და ქალაქში გაიქცა. თავი თუ ვირჩინეთ და სოფელი შევინახეთ, კიდევ გადასახდს გვიწესებენ?! მაგრამ, მგონი, საერთოდაც აღარ უნდათ, რომ საქართველოში სოფელი არსებობდეს!

# ქართველ პატიმრებს გაუსაძლის პირობებში ყოფნას სიკვდილი ურჩევნიათ

**ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიაზე აქვს პრეტენზია, ადამიანის უფლებები, პირველ რიგში, უნდა იყოს დაცული. ქვეყნის ხელისუფლებისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა ციხეებში მდგომარეობის გამოსწორება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ხელს აძლევს ასეთი რეჟიმის არსებობა ციხე-კოლონიებში. შევარდნაძის ხელისუფლების შემდეგ პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ახალი ციხეების აშენებას. სწორედ ამ ახალაშენებულ ციხეებშია უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. ეს ის ციხეებია, რომლებიც სააკაშვილმა დიდი ზარზეიმით გახსნა მაშინ, როდესაც სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ ბოლომდე დამთავრებული არ იყო.**



პატიმართა ახლობლებისა და ადვოკატების ინფორმაციით, ციხეებში პატიმარს შეიძლება სულ უბრალო მიზეზით სცემონ. მაგალითად, რატომ აქვს თუნდაც თავი ჩალუნული ან რატომ გამოვიდა საკნიდან ბოლოს და ა. შ. და შემდგომ უმიზეზოდ სვამენ ადამიანებს კარცერში. ეს ფაქტები, პრაქტიკულად, არავისთვის არ არის უცხო. ფაქტია, რომ **პატიმრები სერიოზულად არიან შეშინებულნი და ჩვენც თავს ვიკავებთ მათი დასახელებისგან. არც ერთ პატიმარს და მის ახლობელს არ უნდა ვინაობის გამხელა, იმის შიშით, რომ უარეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, ეს არის სისტემური ხასიათის დარღვევები და ხელისუფლებას სჭირდება ციხეებში ასეთი რეჟიმის არსებობა.** მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კრიტიკის საფუძველი ხდება, ხელისუფლება არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**რამდენიმე დღის წინათ ქსნის ტუბზონიდან ე.წ. „რეზბალნიცაში“ გადაყვანილმა ექვსმა პატიმარმა: კოტე სალემიანმა, რეზო ხარძიანმა, ზაზა შიუკაშვილმა, ლერი ბირგვლიანმა, გიგა ლომთათიძემ** და **ბადრი პატარაიამ** გაუსაძლისი პირობების გამო შიმშილობა დაიწყეს. **ექიმების აზრით, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის შიმშილობა, ფაქტობრივად, სიკვდილს ნიშნავს. პატიმრები კი ამბობენ, რომ ნელ-ნელა წამებით სიკვდილს შიმშილით ნაადრევი სიკვდილი ურჩევნიათ.**

პატიმართა უფლებების დარღვევებზე ადვოკატ **ლალი აფციაურს** გავესაუბრეთ.

▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აზიური ინვესტიციები — საეჭვო წარმომავლობის ფულის გათეთრების საშუალება

**საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტ მერაბ ჯანიაშვილის განცხადებით, საქართველოში აზიური ინვესტიციის განხორციელებით ქვეყანაში საეჭვო კაპიტალის შემოდინების შანსი იზრდება. ჩინეთსა და ინდოეთში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ვიზიტისას გაკეთდა განცხადებები, რომ ეს ქვეყნები საქართველოში სერიოზული კაპიტალდაბანდებით არიან დაინტერესებულნი.**



**როგორც მერაბ ჯანიაშვილი აცხადებს, საქართველოსთვის პრობლემაა ევროპული და ამერიკული ინვესტიციების მოზიდვა, ამიტომ მთავრობა იძულებულია, ინვესტორები აზიაში მოიძიოს.**

„როცა ევროპული ინვესტიცია შემოდის, მასთან ერთად ევროპული გამოცდილება და მაღალი დონეც შემოდის. ჩინური და ინდური ინვესტიციის შემოსვლა კი, საეჭვოა, რომ ასეთი შედეგის მომტანი იყოს. საქართველოს საინვესტიციო პორტფელში საეჭვო წარმომავლობის კაპიტალი დიდ ადგილს იკავებს. აზიური ინვესტიციის მოზიდვით იმის საფრთხეც იზრდება, რომ ქვეყანაში დამატებით ე. წ. შავი კაპიტალი შემოვიდეს“, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

ეკონომიკურმა კრიზისმა და ამ მიზეზით გამოწვეულმა ნეგატიურმა პროცესებმა საქართველოში ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა. ქართული ბიზნესისთვის ხელისშემშლელი იყო ბიუროკრატიული მექანიზმიც, სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევა და სხვა, რამაც სერიოზული პრობლემები შექმნა. სპეციალისტების ვარაუდით, მდგომარეობის გამოსწორება მომდევნო 2011 წლისთვისაც ნაკლებად მოსალოდნელია. თუმცა არის მთელი რიგი ფაქტორები, რამაც ბიზნესის განვითარებაზე შეიძლება გარკვეული პოზიტიური გავლენა იქონიოს.

ექსპერტთა ნაწილი ნაკლებად ელის რადიკალურ პოზიტიურ ცვლილებებს, მაგრამ მაინც ინარჩუნებს დადებით განწყობას და, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, მომდევნო 2011 წლიდან სერიოზულ ცვლილებებს ელოდება.

**„ინვესტიციების მოზიდვა გაგრძელდება, მაგრამ ეს არ იქნება ცივილიზებული კაპიტალი, რომელიც ითხოვს ნორმალურ გარემოს. ასეთი რამ აქ არ არის. დღესდღეობით იქმნება მხოლოდ საეჭვო კაპიტალი, არაბული და რუსული, ერთიც და მეორეც ძალიან მაღალი პოლიტიკური რისკის მქონეა“,** — აღნიშნავს ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი.

## 2007 წელს საქართველოში 2,1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, წლეულს, პირველ ნახევარში კი 300 მილიონი დოლარის ინვესტიციაც არ შემოსულა

რეგიონის მასშტაბით ყველაზე მცირე ინვესტიციას საქართველოში აბანდებენ. აზერბაიჯანი: **იანვარ-აგვისტო — 1 მლრდ 378 მლნ დოლარი, სომხეთი: წლის პირველი ნახევარი — 327,5 მილიონი დოლარი და საქართველო: 2010 წლის პირველი ნახევარი — 273 მილიონი დოლარი.** ეს რეგიონის სამივე ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობაა. ამ ციფრებიდან აშკარად ჩანს, რომ **რეგიონში ლიდერის პოზიცია ისევ აზერბაიჯანს უჭირავს და ისეთი უმსხვილესი ქვეყნები, როგორიც დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატებია, ფულს იქ აბანდებენ, ჩვენგან კი, როგორც ექსპერტები აცხადებენ, შემოტანილი კაპიტალიც გააქვთ. საქართველოს კვლავ აუტსაიდერის პოზიცია უკავია.**

მართალია, მთავრობაში ისევ ირწმუნებიან, რომ საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა და აქ ფულის დაბანდება მომგებიანია, თუმცა სულ სხვა რამეზე მეტყველებს განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოსა და სომხეთის შესაბამისი სამსახურების მიერ დადებული ციფრები. ამ მონაცემებს შორის სხვაობა მართლაც თვალშისაცემია, მაგრამ ჩვენს მთავრობას ამის დაჯერება რატომღაც არ სურს.

სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში განმარტავენ, რომ 2010 წლის მეორე კვარტალში ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ჰოლანდიაა, რომელმაც ამ პერიოდში 76,6 მილიონი დოლარის (40%) პირდაპირი ინვესტიცია განახორციელა. ჰოლანდიის შემდეგ, ინვესტიციების მოცულობის კუთხით მეორე ადგილზე აშშ (21%), ხოლო მესამე ადგილზე ვირჯინიის კუნძულებია (16%), მეოთხე ადგილი კი იაპონიას (18,3 მილიონი აშშ დოლარი) უჭირავს.

ისეთი ქვეყნები, რომლებიც ფულს აზერბაიჯანში დებენ, ჩვენთან, უბრალოდ, შემოსვლასაც არ გეგმავენ. უფრო მეტიც, მათ საქართველოდან ის ფულიც კი გაიტანეს, რაც ჰქონდათ. **ჩვენთან კი ინვესტიციები ისეთი „ეგზოტიკური“ ქვეყნებიდან შემოდის, როგორიცაა მარშალის კუნძულები, პანამა, სეიშელი და კიდევ სხვა ქვეყნები, რომლებიც ბოლომდე გაშიფრულები არ არიან და პროცენტულადაც საკმაოდ დიდი წილი აქვთ. ასეთი ქვეყნები აზერბაიჯანის ინვესტიციებში არ ჩანს, ისინი უფრო სოლიდური, დიდი ქვეყნებიდან იღებენ კაპიტალს.**

## პრემიერ-მინისტრ გილაურის აზიური ტურნეს შემდეგ ცნობილი ხდება, რომ ჩინელები თბილისთან ახლოს საბითუმო ქალაქის მშენებლობას დაახლოებით 3 თვეში დაიწყებენ



„ქვეყანაში საინვესტიციო რისკები კვლავ ძალიან მაღალი რჩება, ფული რეალურად არ შემოდის. ამჟამად რა კაპიტალდაბანდებებიც ხორციელდება, საეჭვო ელფერი დაჰკრავს, პოლიტიკური სუნით შეზავებული. თავისუფალი ფული არ შემოედინება და ეს ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებას“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

შეგახსენებთ, რომ 2007 წელს საქართველოში 2,1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, წლეულს კი, პირველ ნახევარში 300 მილიონი დოლარის ინვესტიციაც არ შემოსულა.

თბილისის ყველაზე მასშტაბურ — ლილოს სავაჭრო ცენტრს კონკურენტი გამოუჩნდება. **საქართველოს პრემიერის აზიური ტურნეს შემდეგ ცნობილი ხდება, რომ ჩინელები თბილისთან ახლოს, საბითუმო ქალაქის მშენებლობას დაახლოებით 3 თვეში დაიწყებენ.** ცნობილი გახდა, ასევე, ეგვიპტური ინვესტიციის განხორციელების შესახებაც, საუბარია 1,3 მილიარდზე. როდესაც გავიგე, უკვე მივხვდი, რაზეც იყო საუბარი. ინფორმაცია კომპანია ფრეშზე: წლიური ბრუნვა გაყიდვებიდან: 88 მილიონი დოლარი. ინვესტირებული კაპიტალის რაოდენობა: 40 მილიონი დოლარი. დასაქმებული ხალხის რაოდენობა ეგვიპტეში: 2500 კაცი.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მერაბ ჯანიაშვილი გაკვირვებული კითხულობს:

**1) როგორ შეიძლება, კომპანიამ განახორციელოს 1,3 მილიარდის ინვესტიცია, მაშინ, როდესაც მისი ბრუნვა გაყიდვებიდან არის 88 მილიონი?**

**2) როგორ შეიძლება, კომპანიამ დაასაქმოს 12.000 კაცი საქართველოში, როდესაც ეგვიპტეში ქარხნებში ჰყავს დასაქმებული მხოლოდ 2500 კაცი?**

**— ბატონო მერაბ, რა იძლევა იმის საბაბს, რომ შავი კაპიტალის შემოსვლა აზიური ქვეყნებიდან შავ კაპიტალთან უნდა იყოს გაიგივებული?**

— ზუსტად იმის თქმა შეუძლებელია, რომ მაინცდამაინც შავი ფული შემოვა აზიური ინვესტიციებიდან, მაგრამ შესაძლებლობა რომ იზრდება, ფაქტია. ყველა ნორმალური ქვეყანა ორიენტირებულია დასავლურ ინვესტიციებზე, რადგან იქიდან უფრო ჯანსაღი ინვესტიციები შემოდის, რაც ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. სწორედ აზიური ქვეყნები, რომლებსაც ინვესტიციების ჩადება უნდათ საქართველოში, ხშირ შემთხვევაში ათეთრებენ ამ ფულს და მერე მშვიდად გადიან. ამის გამოცდილება აქვს საქართველოს.

**— საქართველოს ხელისუფლება მიღწევად თვლის გილაურის ვიზიტებს აზიური ინვესტიციების მოსაზიდად.**

— დაპირებები ბევრი გვსმენია ხელისუფლების მხრიდან. თუნდაც ის, რომ **ქუთაისში თურმე 2-მილიარდიანი ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა ეგვიპტურ კომპანიას, მაგრამ რეალურად 10 მილიონის ინვესტიციაც ვერ განახორციელა დღემდე.** მოლოდინი ბევრი ყოფილა, მაგრამ არ შესრულებულა. როგორც წესი, ხელისუფლებას გადაჭარბებული მოლოდინი აქვს ხოლმე ინვესტიციებთან დაკავშირებით. ყველაზე მთავარ პრობლემად ის მიმაჩნია, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში არსებობს ორგანოები, რომლებიც ინვესტიციების მოზიდვაზე მუშაობს. მაგალითად, ამერიკაში ბევრი გარიგება დაუბლოკავს ასეთ სააგენტოებს, როცა იყო შანსი, რომ რაღაც სტრატეგიულ ობიექტში რუსული ფული შესულიყო. აქ კი ყველას მიჰყიდიან ყველაფერს, რისი ყიდვაც მოუნდებათ.

**— რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას აზიურმა ინვესტიციებმა?**

— როდესაც ქვეყანაში შემოდის ჯანსაღი ინვესტიცია, ისაა ორიენტირებული განვითარებაზე და გრძელვადიანი პერსპექტივა გააჩნია, რომლიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს ქვეყანამ. როცა შავი ინვესტიცია შემოდის, ორიენტირებულია იმაზე, რომ ფული გააკეთოს აქ და ქვეყნიდან გავიდეს. ქვეყნის ეკონომიკაზე შავი ფულის მქონე ინვესტიცია დადებით გავლენას არ მოახდენს. შეიძლება ამ შავმა ფულმა კი არ გაზარდოს დასაქმება, არამედ შეამციროს. ამას ჩვენი ქვეყნის მაგალითიც მოწმობს. **2003 წლიდან კი გაიზარდა საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა, მაგრამ უმუშევრობაც გაიზარდა, რეალურად ინვესტიციებმა დასაქმების ზრდა არ უზრუნველყო, რაც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი უპირველესი შედეგი უნდა ყოფილიყო.**

გვერდები მოამზადეს
თეო ტაბატაძემ და ლილი მიროტაძემ

---

**— ქალბატონო ლალი, ცნობილი გახდა, რომ ქსნის ტუბზონიდან „რეზბალნიცაში“ გადაყვანილმა ექვსმა პატიმარმა გაუსაძლისი პირობების გამო შიმშილობა დაიწყო...**

— პატიმრები რომ ცუდ პირობებში არიან, ეს ახალი ამბავი არაა. რაღა კომენტარი გავაკეთო. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ისე ხშირად ვხდები, აღარც მიკვირს. თუ საავადმყოფოშიც ცუდი პირობებია, მაშინ სადღა უნდა იყვნენ კარგ პირობებში პატიმრები?! საპატიმროებში რა სიტუაციაა, ყველამ კარგად ვიცით. ესაა ჯოჯოხეთი.

**— ახლობლები პატიმრების ვინაობასაც არ ამხელენ, ეშინიათ, რომ მათ იმაზე უარესი არ დამართონ, რაც სჭირთ...**

— ყველა ციხეში მასეა. განსაკუთრებით ქსნიდან მოდის ინფორმაციები არაადამიანური ყოფის შესახებ, მაგრამ ყველა ციხეში ერთნაირი მდგომარეობაა. მეტი უარესი რა უნდა გაუკეთონ პატიმრებს. სწორედ ამან გაუჩინა დაუსჯელობის სინდრომი ამ ხელისუფლებას. ყველა რომ მხილებისგან თავს იკავებს, იმიტომაა ასეთი მძიმე სიტუაცია. პატიმრების ახლობლები ამას ვერ ხვდებიან. **ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა მხილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა თუ მიდის ამაზე. ყველა იმას ამბობს, გვეშინიაო. მაგრამ იმაზე უარესი რაღა უნდა დაემართოთ პატიმრებს, რაც ახლა სჭირთ! პირიქით, ამაზე ბევრი უნდა ითქვას, რომ იცოდეს საზოგადოებამ, რეაურად რაც ხდება.** საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა იყვნენ საქმის კურსში, უპირველესად ის ორგანიზაციები, რომლებმაც ფული ჩადეს პენიტენციალური სისტემის რეფორმაში. ხელისუფლება 24-საათიან რეჟიმში გაიძახის, რომ ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი რომ კარგად არ არის, ამის შესახებ თუ არ ილაპარაკებს არავინ, ეს მდგომარეობა დაუსრულებლად გაგრძელდება.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქალთა ახალი საპატიმრო, 10 ათას ქალზე იქნება გათვალსიწინებული. რეალურად ამდენი ქალი პატიმარი საქართველოში არაა. მაშ, რატომ „ზრუნავს“ ხელისუფლება ასე ქალებზე?**

— ახალი საპატიმრო რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა. არ ვიცი, რამდენ პატიმარზეა გათვლილი. არა მგონია, ამდენი იყოს, თუმცა რა გვიკვირს დღევანდელი ხელისუფლების ხელში. ორჯერ ათიათასი ქალი კი ჰყავს საქართველოს? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ამ ბოლო დროს როგორ ხდება დაკავებები, ამ რიცხვის გადაფარვა ძალიან მარტივად შეიძლება.

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გამოხმაურებანი



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

მიმაჩნია, რომ ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკაში ჩართვა იყო დიდი შეცდომა. ხელისუფლებას ძალიან უნდოდა მისი პოლიტიკურ პროცესებში ჩათრევა, უწყობდა პროვოკაციებს, რადგან ნეიტრალური პატარკაციშვილი მათთვის სრულიად მიუწვდომელი იყო, პოლიტიკაში კი მისთვის ანგარიშის გასწორება ადვილი იქნებოდა. ბადრი პატარკაციშვილი რომ არ მომკვდარიყო, ხელისუფლება გაცილებით ფრთხილად იქნებოდა. ხელისუფლებისთვის მისი ტრაგიკული დასასრული დიდი შვება იყო, ისევე, როგორც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება.

*„ყველა სიახლე“*



**იური ვაზაგაშვილი, ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი სიცოცხლე“-ს წევრი:**

ჩემს ზურას 45 ტყვია ჰქონდა წელს ზემოთ და დედას საკუთარი ხელით გადააწერინეს ტექსტი, სადაც ეწერა: ექსპერტიზის დასკვნით, თავის არეში ნატყვიარებს ვერ ვთვლით, ვინაიდან გვამთან ერთად არ არის წარმოდგენილი თავის ნაწილები. დედას აწერინებდნენ ამას, დე-დას! შეიძლება კიდევ ამაზე რაიმეს თქმა? ყველანი ერთმანეთზე უარესი სადისტები არიან. ვალერი ლაცუზბაია, ალეკო მგელაძე, გრიგოლ კვინიკაძე და კიდევ 10 გამომძიებელი, ათივე გარეწარი მკვლელობაში იღებდა მონაწილეობას. მათი სახელები უნდა იცოდეს საზოგადოებამ.

*„საერთო გაზეთი“*



**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი, კულტუროლოგი:**

ჩვენთან პარტიები არ არსებობს. არც „ნაციონალური მოძრაობაა“ პარტია. უბრალოდ, ის თავად წარმოადგენს სახელისუფლო ვერტიკალს. როგორც კი აღარ იქნება ხელისუფლებაში, ისევე გაქრება, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ გაქრა. ჩვენთან ადამიანები ერთიანდებიან და ირქმევენ პარტიებს. სინამდვილეში კი პარტიები არ არსებობს, რადგან არ არსებობს იდეოლოგიები. არც მემარჯვენე თუ მემარცხენე იდეოლოგიები არსებობს. ვიღაც ამბობს, რომ მემარჯვენეა. ვიღაც თავს მემარცხენეს უწოდებს, მაგრამ, როცა ცდილობენ, იყვნენ მემარჯვენე და მემარცხენე, არ გამოსდით.

*„ვერსია“*



**ზურაბ ნოღაიდელი, პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

თუ სწორად დავგეგმავთ ჩვენს მოქმედებას, ვითარება შეიძლება სწრაფად შეიცვალოს და გარკვეული თვალსაზრისით, რევოლუციურიც იყოს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ არეულობასა და ძალადობას ავიცილებთ თავიდან. ხალხი გაცილებით უარყოფითად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო, მაგრამ ამ ეტაპზე ხელისუფლების შეცვლის სუნი ჰაერში არ დგას.

*„ყველა სიახლე“*



**კახა მიქაია, „ქართული პარტიის“ წევრი:**

ახალაიების კლანი ცდილობს, სამეგრელოს რეგიონი მარწუხებში მოაქციოს და ტერორს კიდევ უფრო ამძაფრებს. ბევრმა არ იცის, რომ ახალაიების ბიძა, რომელიც მეზობელ ქვეყანაში იხდიდა სასჯელს, ახლახან ციხიდან გამოუშვეს, რისთვისაც დიდი ფული გადაიხადეს. ახალაიების ბიძა ნორიოს პოლიგონზე სპეცრაზმს წვრთნის რადიკალური ოპოზიციის წინააღმდეგ.

*„ყველა სიახლე“*



**ბიძინა გეგიძე, მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წევრი:**

საზოგადოების ნაწილმა შიშის სინდრომი დაძლია, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ გახდა ყარამანი, მათ შორის, სამწუხაროდ, არაერთი ჩემი ნაცნობიც... როგორ შეიძლება სიმართლეს ვერ ამხელდე და თავს თავისუფალ ბიზნესმენად მიიჩნევდე? როცა საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები პროტესტს ერიდებიან, ესეც ხომ შიშია?

*„ყველა სიახლე“*

# ანტიმონოპოლიური მოძრაობა ფარმაცევტული კომპანიების წინააღმდეგ

**დიდი ხანია, საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური აღარ არსებობს, შესაბამისად, მონოპოლიები ბიზნესსექტორში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ფასებმაც კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია. სწორედ ფასების ხელოვნური ზრდა და მძიმე სოციალური ფონი გახდა საქართველოში ახალი მოძრაობის შექმნის საფუძველი. ანტიმონოპოლიური მოძრაობა, რომელიც ახლახან დაფუძნდა, მოქმედებას იწყებს და იმედი აქვს, რომ მათი მუშაობა ბიზნესმენებს პროდუქტზე ფასების დაწევას, ხოლო ხელისუფლებას ბიზნესმენების მიმართ ფინანსური მოთხოვნების შემცირებას აიძულებს.**




**ნანა კაკაბაძე, ანტიმონოპოლიური მოძრაობის წევრი:**

— ანტიმონოპოლიური მოძრაობა წმინდა სოციალური ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამის უკან დიდი პოლიტიკა დგას. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე, მაგრამ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ სოციალური უფლებები გამხდარიყო პრიორიტეტი, რადგან **დღევანდელმა ხელისუფლებამ ქვეყანაში შექმნა ისეთი სოციალური ფონი, რომ ყველა უფლებადამცველი ვალდებულია, ერთ-ერთ პრიორიტეტად გახადოს სოციალური უფლებებიც.**

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, ბიზნესსექტორი მაინც მთლიანად მონოპოლიზებულია; არამარტო ბიზნესსექტორი, — დანარჩენიც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვეხებით მხოლოდ ბიზნესსექტორს, რომელიც მთლიანად ხელისუფლების ხელშია. **მხოლოდ ხელისუფალთ აქვთ ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა, ქვეყანაში აწარმოონ ბიზნესი და ეს მონოპოლია საშუალებას აძლევს მათ, უსასრულოდ გაზარდონ ფასები,** ხოლო მოსახლეობას, იგივე სოციალური ფონი და ეკონომიური მდგომარეობა ართმევს საშუალებას, შეიძინოს მისთვის აუცილებელი პირველადი მოხმარების, თუნდაც მედიკამენტების სახით, პროდუქტი.

ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ გამოსავალზე. ახლა მიმდინარეობს გარემოს შესწავლა და კვლევა, თუ რა არის ყველაზე პრობლემური დღეს საქართველოს მოსახლეობისთვის. ყველამ კარგად იცით, რომ ეს არის მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება. ეს სფეროც არის აბსოლუტურად მონოპოლიზებული სახელისუფლო ჩინოვნიკების მიერ. ჩვეულებრივ მოქალაქეს არ აქვს საშუალება, აწარმოოს ეს ბიზნესი, წამლების ფასი 700-800 პროცენტითაა გაზრდილი; ზოგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, — 100 და 200 პროცენტითაც. ყოველივე ეს დღევანდელმა შესწავლამ აღმოაჩინა და შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის უპრეცედენტო, ასეთი მოგებების არსებობას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ ძლიერი მონოპოლისტები, რომლებიც დღეს თუნდაც საააფთიაქო სისტემაში არიან, არჩევნების დროს აფინანსებენ ხელისუფლებას და, ბუნებრივია, ეს თანხები უნდა ამოიღონ. ამიტომ ამ პოლიტიკის მსხვერპლნი მოქალაქეები ხდებიან.

**— გამოდის, ფასები იზრდება იმისთვის, რომ ბიზნესმენებმა შემდეგ ხელისუფლებას გადაუხადონ ფული?**

— ხელისუფლება აძლევს ე. წ. ბიზნესმენებს იმის საშუალებას, რომ უსასრულოდ გაზარდონ ფასები, რადგან ანტიმონოპოლიური სამსახური აღარ არსებობს, და შეუქმნას მონოპოლიის შესაძლებლობა ამ ფირმებს იმის გამო, რომ შემდგომ ხარკი უხადონ ხელისუფლებას არჩევნების თუ სხვა საჭიროების დროს, ანუ შეიტანონ „ობშიაკში“ თავიანთი წილი.

**— გარდა მედიკამენტებისა, კიდევ რომელი სფეროები არის თქვენი ინტერესის საგანი?**

— კვების პროდუქტები, რძის პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცპროდუქტები. ყველაფერზე არის სახელისუფლო მონოპოლია. ამიტომ ჩვენ მოვიფიქრეთ აქციები, რომლის შედეგადაც მოხდება ამ ბიზნესების შევიწროება. **რიგრიგობით გამოვუცხადებთ ბოიკოტს ყველა ამ სახელისუფლო ბიზნესის უკან მდგარ ადამიანებს, ობიექტებს. ვიწყებთ საააფთიაქო ქსელით.** ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საააფთიაქო ქსელი იძულებული გახდება, დაწიოს ფასები ან რაღაც ახალი, შეღავათიანი შეთავაზება გაუკეთოს მოსახლეობას; საზოგადოება კი თავისთავად გადაინაცვლებს იქ, სადაც შეღავათიანი, უფრო დაბალი ფასები იქნება. ამის შემდგომ სხვა საააფთიაქო ქსელიც იძულებული გახდება, დაწიოს ფასები და ა.შ. ერთ საააფთიაქო ქსელს დაემატება ერთი კვების ობიექტი რძის პროდუქტების, ხორცპროდუქტების და ა.შ. თითო-თითო ობიექტს გამოუცხადდება პროტესტი.

## ბოიკოტი — ხელისუფლების მკვებავ ბიზნესს!

**— მახსოვს, ერთხელ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ძვირი ყოფილა ხორცი ქვეყანაშიო და ხორცის ფასმაც დაიწია. ასევე, მისი განცხადების შემდეგ გარკვეულ მედიკამენტებზეც დაწიეს ფასი, ანუ რეალურად შესაძლებელია, რომ დაბალი ფასი ჰქონდეს პროდუქტსა თუ მედიკამენტს...**

— ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ფასების დაწევის ტენდენცია დაიწყო, ეს იყო პრეზიდენტის პიარი. ვითომ პრეზიდენტმა ამის თაობაზე არაფერი იცის და გაიგებს თუ არა, მაშინვე ახდენს რეაგირებას. ასეთი პიარია. მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა, მოსახლეობას შეღავათი არ ჰქონია.

**— თუ არის ცნობილი, რომელი ბიზნესის უკან ვინ დგას?**

— ახლა მიმდინარეობს ამ სივრცის შესწავლა, თუმცა ბევრი მათგანი ცნობილია. ჩვენ ამაზეც გავაკეთებთ აქცენტებს, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც ხარისხზე და ფასზე გაკეთდება.

**— ლიდერი ფარმაცევტული კომპანიები არიან „პსპ“ და „ავერსი“. ფიქრობთ, რომ თქვენი აქციებით ეს კომპანიები დაზარალდებიან?**

— არა. ჩვენს ინტერესებშია, თუ რას მოიგებს საზოგადოება, კომპანიები კი არ დაზარალდებიან, უბრალოდ, ხელისუფლება ვეღარ მოსთხოვს მათ იმდენ ფულს, რამდენსაც ახლა ახდევინებს ხარკის სახით. **როცა ხელისუფლება დაინახავს, რომ მასზე არის საზოგადოების წნეხი, თანაც უფრო ძლიერი, თუ მანამდე ართმევდა 100 ლარს, ასეთი წნეხის შემთხვევაში, მოთხოვს, ვთქვათ, 1 ლარს. თუ სერიოზული კამპანია წარიმართა, ყველაფერი შეიძლება დავიდეს რეალურ ფასამდე და ხელისუფლებას აღარ ექნება იმის საშუალება, შავი ფინანსებით აწარმოოს პიარკამპანია.**



## ნანა კაკაბაძე: რიგრიგობით გამოვუცხადებთ ბოიკოტს ყველა სახელისუფლო ბიზნესის უკან მდგარ ადამიანებს, ობიექტებს. ვიწყებთ საააფთიაქო ქსელით

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოციალური ფონი ზამთარში კიდევ უფრო დამძიმდება

**სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი მსოფლიოში ხორბლის გაძვირების ფონზე საქართველოში ფქვილზე ფასის შემცირებას ელოდება. „ჩვენ ვმუშაობთ ამ მიმართულებით და უახლოეს პერიოდში ფასები დაიკლებს," — აცხადებს კვეზერელი. თუმცა მინისტრი არ აკონკრეტებს, რამდენით შემცირდება ფქვილის ფასი ან რის ხარჯზე მოხდება გაიაფება, მაშინ, როდესაც მსოფლიოში ხორბლის დეფიციტია. წისქვილკომბინატების მფლობელთა ნაწილს პროგნოზის გაკეთება უჭირს; ამბობენ, რომ ყველაფერი ხორბლის ფასზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში ერთი ტომარა ფქვილი თითქმის 10 ლარით გაძვირდა, რამაც ქვეყანაში პურზე ფასის 10-15 თეთრით გაზრდა გამოიწვია.**



## მშიერი ადამიანების გაჩერებას მინისტრი კვეზერელი ჯადოსნური ჯოხის აქნევით ცდილობს

მინისტრი იმაზეც საუბრობს, რომ ხორცის ფასი მიმდინარე კვირაში რამდენიმე ლარით დაიწევს. მისი თქმით, ფასები გარკვეულმა სპეკულაციურმა ჯგუფებმა ხელოვნურად გაზარდეს, ხორცის ფასზე ხელოვნური დანამატი 20%-დან 25%-მდეა და არის შესაძლებლობა, რომ ფასები ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს.

**„ხორცის მინიმალური ფასი შეადგენდა 2,50-დან 3,50-მდე ლარს, თუმცა ის მომხმარებლამდე რამდენიმე შუამავლის მეშვეობით აღწევდა, რაც ფასს ხელოვნურად ზრდიდა,"** – ამბობს კვეზერელი და განმარტავს, რომ საქონლის დაკვლა სპეციალურ სასაკლაოებზე ხდება და ყოველგვარი შუამავლის გარეშე მაღაზიებს მიეწოდება, რაც ამიერიდან ხორცზე დაბალი ფასის წინაპირობა გახდება. **ცნობისთვის: სწორედ სასაკლაოების გახსნამ და ხორცზე მონოპოლიამ გამოიწვია ფასის მომატება. სუპერმარკეტებს აღარ რჩებათ ალტერნატივა, რომ გლეხებისგან შეიძინონ ხორცი და მათ, არჩევანის გარეშე, სასაკლაოს ხელმძღვანელების მიერ დადგენილი ფასის გადახდა უწევთ.**

ამერიკაში ხორცის ფასმა რომ აიწიოს, იქაური სოფლის მეურნეობის მინისტრი „არაკეთილსინდისიერ მეწარმეებს" დააბრალებს თუ რეალურ მიზეზებზე ისაუბრებს? ან კიდევ უარესი: ხორცის ფასის შემცირებაზე პასუხისმგებლობას აიღებს? (პრინციპში, ფასები მომენტალურად დაიწევს, თუ მონოპოლია არ იქნება).

ალბათ, ამ განცხადებების შემდეგ რამდენიმე მეხორცეს დაიჭერენ ზედნადების არასწორად შევსების გამო და აიძულებენ, ფასი დაწიონ. ამას მოჰყვება გარკვეული პერიოდით ფასის დაკლება, მაგრამ საინტერესოა, სახელმწიფო ამის შენარჩუნებას როგორ აპირებს. ამას დავუმატოთ ამ სფეროში დასაქმებული სეგმენტის შეშინება და ახალ წელს ისედაც მაღალი სადღესასწაულო (გნებავთ, აჟიოტაჟური) ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.

**სამი-ოთხი თვეა, საქართველოში საკვებ პროდუქტებზე ფასმა, შეიძლება ითქვას, ისტორიულ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია, ეს ეხება თითქმის ყველა სახის პროდუქტს — დაწყებული პურიდან და დამთავრებული ხიზილალით.**

პარალელურად ძვირდება საწვავიც, რაც ჯაჭვური რეაქციით იწვევს ისედაც ძვირი ფასების კიდევ უფრო ზრდას.

რატომღაც ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით დუმს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ ამას ამჩნევს რიგითი მოქალაქის ჯიბე, რომელშიც ბევრი არაფერია ან, არც თუ იშვიათ შემთხვევაში, ცარიელია.

ტენდენცია და, შესაბამისად, პერსპექტივაც ნამდვილად არასახარბიელოა: **ფასების ზრდის დინამიკას თუ გავითვალისწინებთ, სოციალური ფონი ზამთრის განმავლობაში კიდევ უფრო დამძიმდება და პიკსაც მალე მიაღწევს.**

ხელისუფლებას არ აქვს მატერიალური რესურსი, ხელფასები და პენსიები რომ გაზარდოს, პრინციპში, ეს მის პრიორიტეტებში არც შედის, ბიუჯეტის დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებში მიდის.

არ შემოდის ინვესტიციები (ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, გადის კიდეც). ამ ფონზე, ალბათ, წინ ძალიან მძიმე თვეები გველის. **ხალხი ქუჩაში გამოვა არა დემოკრატიისთვის, არამედ პურისთვის. მშიერი ბრბოს შეჩერება კი იარაღითაც შეუძლებელია.**

სხვათაშორის, პრეზიდენტმა სულ რაღაც ერთი თვის წინათ, ქობულეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ როცა საუბრობდა მთავრობის სხდომაზე, აღნიშნა, ფასების ზრდა გამოწვეულია ინვესტიციების ჭარბი შემოდინებითო.

სინამდვილეში კი „ასი საწარმოს" პროექტის ფარგლებში მხოლოდ 7-8 საწარმო გაიხსნა. პროექტის გადადების მიზეზად ფინანსური კრიზისი სახელდება. ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, **სოფლის მეურნეობის სექტორში 2009 წელს 100 საწარმოს გახსნის პროექტი ვერ განხორციელდა.** მანამდე კი მთავრობაში აცხადებდნენ, რომ წელს ყველა რეგიონში რამდენიმე გადამამუშავებელი საწარმო მაინც უნდა გახსნილიყო, თუმცა ამ ეტაპზე ყველაფერი ბუნდოვანია. მრეწველთა ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, იმისთვის, რომ საწარმოები გაიხსნას, ბიზნესმენებს საბრუნავი თანხა უნდა ჰქონდეთ. მისი თქმით, **თურქ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ, 6%-იანი კრედიტი აიღონ, ქართველებისთვის კი 26%-იანი კრედიტიც მიუწვდომელია.**

„სოციალურ ტკივილს" მალე იგრძნობს, ალბათ, ჩვენი საზოგადოება. დაისმება ლოგიკური და ლეგიტიმური შეკითხვები: **რატომ მოიმატა კატასტროფულად ფასებმა ძირითად საკვებ პროდუქტებზე? რატომ მოიმატა ფასებმა წამლებზე? რატომ მოიმატა ფასმა საწვავზე? რატომ ველარ ხერხდება „იმედის", „რუსთავი 2"-ისა და პირველი არხის საინფორმაციო პროგრამების გარჩევა ერთმანეთისგან? რატომ აღარ ახარებთ ადამიანებს ახალი შადრევნის ან ახალი ძეგლის გახსნა? რატომ იჭერენ და თანხის გადახდის შემდეგ რატომ უშვებენ ხალხს? რატომ უსმენენ ტელეფონზე? რატომ არის ყოველთვის მართალი ხელისუფლება? რატომ გარბიან საქართველოდან? რატომ გამდიდრდა ერთი მუჭა ადამიანების ჯგუფი სულ რაღაც 4-5 წელიწადში? რატომ ხორციელდება საგადასახადო რეკეტი? რატომ არის ქართული სასამართლო ასე უსამართლო და რატომ გადაიქცა პროკურატურის ნოტარიუსად?..**

სამაგიეროდ, ადმინისტრირებაა დრაკონული, კოდექსი — ორაზროვანი და ჯარიმები — კატასტროფული. ჩვენი ჯადოქარი სოფლის მეურნეობის მინისტრი კი გამოდის და ამბობს, ხორბალი და ხორცი გაიაფდებაო. საინტერესოა, რა გზებით აპირებს ხელისუფლება ამის გაკეთებას. ეკონომიკის ექსპერტებიც კი დააბნია მინისტრის ამ ინიციატივამ.

**ნოდარ ხადური, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" საბჭოს წევრი:**

— იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში დღითიდღე ძვირდება ხორბალი, **წარმოდგენა არ მაქვს, რას ეფუძნება მინისტრის ეს განცხადება. საქართველო ხორბლით უკრაინიდან, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მარაგდება. იქ კი ხორბალი არ გაიაფებულა.** არის ერთი გზა — თუ სახელმწიფო შეისყიდის ხორბალს და მას ნაკლებ ფასში მიჰყიდის პურკომბინატებს, მაგრამ, არა მგონია, რომ ეს გააკეთოს. ასევე, ვერ ვხდები, როგორ შეიძლება გაიაფდეს ხორცი. ვერ გეტყვით, რა ჩაიფიქრა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— არ ვიცი, რატომაა მაინცდამაინც სოფლის მეურნეობის მინისტრის საქმე, გაიაფდეს თუ გაძვირდეს რომელიმე პროდუქტი. მისი მოვალეობაა, არ იყოს ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი, არაჯანსაღი სიტუაცია. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ზუსტად ასეთი სიტუაცია შექმნილიყო. ახლა რანაირად აპირებს ამის დარეგულირებას, არ ვიცი. თითს დაუქნევს ვინმეს, თუ რა? საერთოდ, **ეს სოფლის მეურნეობის მინისტრი ძალიან არასერიოზულ ადამიანად მიმაჩნია და არ ვფიქრობ, რომ მასზე საერთოდ კომენტარის გაკეთება ღირს. ის, უბრალოდ, არ იმსახურებს, რომ მის განცხადებებს ვინმემ ყურადღება მიაქციოს და, საერთოდ, აზრი გამოთქვას მასზე.**

**ლილი მიროტაძე**

## გაფრიზებულნი



**რომან კუსიანი, „დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს ყოფილი წევრი:**

თავის დროზე, ბურჯანაძე-დემოკრატების გუნდმა, ფაქტობრივად, კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ასე მივაბარეთ დღევანდელ „ნაცმოძრაობას" ეს ძალა. ვფიქრობ, იმ ეტაპზე, სწორი ნაბიჯი გადავდგით. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, ასპროცენტიანი მხარდაჭერით მოსული გუნდის მხრიდან მოსალოდნელ პირდაპირ რეპრესიებს.

*„ვერსია"*



**ინგა გრიგოლია, თბილისის საკრებულოს წევრი:**

არ მჯერა ხელისუფლების ნათქვამის, გამჭვირვალე უნდა გახდეს ქართული მედია და გამოცხადდეს, ვინ არის ამა თუ იმ ტელევიზიის მფლობელიო. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებმა აიძულეს, გაამხილონ მედიამფლობელების ვინაობა და მედიის გამჭვირვალობის საკითხი წამოსწიონ. მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიჯერებ, თუ ტელეკომპანია „იმედს" დაუბრუნებენ კანონიერ მფლობელს.

*„ყველა სიახლე"*



**ირმა ინაშვილი, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელი:**

მაქვს ინფორმაცია, რომ ამერიკელების პროექტია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. ეს იქნება ხელისუფლების მორიგი თამაში, რადგან ე. წ. ქუჩის ოპოზიციური პარტიები რაღაცის შეცვლის იმედით პარლამენტში შევლენ, თუმცა რეალურად ვერაფერს ვერ შეცვლიან, სანამ ხელისუფლების სათავეში სააკაშვილი და მერაბიშვილი არიან.

*„საერთო გაზეთი"*



**ზაზა ხატიაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი:**

მე მოვითხოვ გარკვეული პირების პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას, რომ აეკრძალოთ, ვთქვათ, ბელგიაში შესვლა, აი, როგორც ლუკაშენკოსთან მიმართებაში იყო. ესენი არიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კალმახელიძე და ა.შ. ყველა მათგანზე ვაპირებ, რომ საჩივარი შევიტანო.

*„ალია"*



**ნიკა ლალიაშვილი, პარლამენტის წევრი:**

ეჭვის შემთხვევაში შესაძლებელია პიროვნების სრული კონტროლი, იქნება ეს სატელეფონო საუბრები თუ ინტერნეტში პირადი მიმოწერა. სპეცსამსახურებს უფლება მიენიჭათ, ამოიღონ კომპიუტერის პროცესორიდან ყველა ინფორმაცია და ასევე გააკონტროლონ ტრაფიკი.

*„ყველა სიახლე"*



**გურამ ფირცხალავა, მსახიობი:**

ხალხს ჰიტლერიც აპატიმრებდა, მაგრამ ეუბნებოდა: ჩემი წინააღმდეგი ხარ და ამიტომო. ამათაც მიიღონ კანონი და ხმამაღლა თქვან: თუ ჩემ საწინააღმდეგო რამეს იტყვი, დაგიჭერ. გვეცოდინება მაინც, რისთვის გვაპატიმრებენ.

*„ყველა სიახლე"*



**ბაია ამაშუკელი, მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისთვის" დამფუძნებელი:**

ჩქარობენ „ნაციონალები" დავალების შესრულებას — ჩვენს განადგურებას; „ოქროს მილიონზე" საქართველოს მცხოვრებლების დაყვანას. ამისთვის ბევრი მექანიზმი აქვთ: გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ასეთივე გენურ საფუძველზე დამზადებული მედიკამენტები, ერაყსა და ავღანეთში „მამელუქებად" გაგზავნილი ჩვენი შვილები... ვისაც ჯარში ვერ მოახვედრებენ, ვაზაგაშვილების, რობაქიძეების, გამცემლიძეების, გირგვლიანების მსგავსად, უბრალოდ, დახოცავენ.

*„საერთო გაზეთი"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა საერთო აქვთ პერის ჰილტონს და ლევან ბეჟაშვილს,

## მალე სიღნაღში კონტროლის პალატის თავმჯდომარის სასტუმრო ამოქმედდება

**საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ლევან ბეჟაშვილს, მისი დეკლარაციის მიხედვით, აქვს ბინა ნუცუბიძეზე, რომლის ფართობიც 95 კვადრატული მეტრია. ასევე, დეკლარაციაში უთითებს ვარკეთილის მეორე მიკრორაიონში მდებარე 608 კვ.მ მიწის ნაკვეთს, ხოლო 600 კვ.მ-ს — მცხეთაში, 132 კვ.მ-ს — გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბახმაროში. კონტროლის პალატის თავმჯდომარის დეკლარაციაში არაა შეტანილი, მაგრამ სიღნაღში, კულტურისა და დასვენების პარკში მშენებარე მრავალსართულიანი სასტუმრო ბეჟაშვილებს რომ ეკუთვნით, ამას ადგილობრივები არც მალავენ.**

სიღნაღში სასტუმროს აშენებისა და ამ ბიზნესის წარმოების სურვილი და იდეა ბეჟაშვილს, ალბათ, მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პრეზიდენტის ინიციატივით ამ ქალაქის რეაბილიტაცია დაიწყო და ერთ-ერთ ტურისტულ ქალაქად გადაიქცა. მაშინ ბეჟაშვილი კახეთის გუბერნატორი გახლდათ. **ის ტერიტორია კი, სადაც ბეჟაშვილებმა სასტუმრო წამოჭიმეს, ბიზნესმენ გიორგი ჩირინაშვილს ეკუთვნოდა, თუმცა მხარის გუბერნატორ ბეჟაშვილს არ გასჭირვებია მისი ხელში ჩაგდება.**

კახეთის გუბერნატორობის დროს, მიუხედავად მისი ხანმოკლე მოღვაწეობისა, ბეჟაშვილის მიმართ უამრავი პრეტენზია ისმოდა. მასთან პრეტენზიები ჰქონდათ როგორც მედიასაშუალებებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. **ბეჟაშვილმა გუბერნატორად დანიშვნისთანავე საკადრო წმენდა განახორციელა და ადმინისტრაცია თავისი „ძმაკაცებით" დააკომპლექტა.** სიღნაღი მისი ინტერესის სფეროში მაშინვე მოექცა და სიღნაღის გამგებლის სავარძელი თავის მეგობარს, ზაზა ზედელაშვილს გადაულოცა. ხმაურიანი საკადრო ცვლილებები, თავის მხრივ, ზედელაშვილმაც გაატარა და თანაც განაცხადა, სიღნაღის გამგეობა არაპროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული და ამიტომაც ჩავატარე მასობრივი წმენდაო.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბეჟაშვილი მაშინ სოციალურ კორუფციაშიც კი დაადანაშაულეს. ბეჟაშვილმა ლაგოდეხის გამგებლადაც საკუთარი მეგობრის, პარლამენტარ დავით კაპანაძის სიმამრი, გიორგი გოზალიშვილი დანიშნა. **ბეჟაშვილის მიმართ პრეტენზიები არამარტო ამით შემოიფარგლებოდა. ადგილობრივი გაზეთი, „პროგრესი" ბეჟაშვილს ბიზნესმენების დატერორებაშიც ადანაშაულებდა. მათი ინფორმაციით, გუბერნატორი ბეჟაშვილი და მისი მოადგილე გიორგი ბოტკოველი, რომელიც ბეჟაშვილს ახლა კონტროლის პალატაშიც თან ახლავს, იმ ბიზნესმენებს აშანტაჟებდნენ და აშინებდნენ, რომლებიც გაზეთში რეკლამებს ათავსებდნენ.**

ლევან ბეჟაშვილამდე, რევოლუციის შემდეგ, კონტროლის პალატას ორი ხელმძღვანელი ჰყავდა. კონტროლის პალატის შემოწმების მასალები საიტზე ქვეყნდებოდა და მოთხოვნის შემთხვევაში ამ ინფორმაციის მიღებაზე პრობლემებს არ ქმნიდნენ. **ბეჟაშვილმა კი დანიშვნისთანავე ამ უწყებაში საჯარო ინფორმაციის მიღება შეზღუდა, არათუ — საიტზე გამოქვეყნება; კონტროლის პალატის შემოწმების მასალებს თვალსაც კი ვერ გადაავლებ,** გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს უწყება პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს და მისი დასკვნის მიხედვით რომელიმე არასასურველი ჩინოვნიკის დაკავება იგეგმება.



**საჯარო ინფორმაციის გაცემის მხრივ, ბეჟაშვილთან პრეტენზიები გუბერნატორობის დროსაც ჰქონდათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მას საჯარო ინფორმაციის დაბლოკვაში ადანაშაულებდნენ.** მოკლედ, როგორც კახელები ამბობენ, ბეჟაშვილის შეცვლა მათთვის ფრიად სასიამოვნო ფაქტი იყო.

**გუბერნატორი, რომელსაც ადგილობრივების პრობლემები არ აინტერესებდა და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული, კახელებმა მოიცილეს, თუმცა იგი კვლავ რჩება სიღნაღელების თავის ტკივილად, ვინაიდან ბეჟაშვილს იქ ინტერესები კვლავ აქვს.** როგორც ამბობენ, კონტროლის პალატის თავმჯდომარე ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამშენებლო კომპანიებს თავის სასტუმროსთვის გარკვეული სამუშაოების შესრულებას ავალდებულებს. სასტუმროს მშენებლობას ლევან ბეჟაშვილის მამა, ჯუმბერ ბეჟაშვილი კურირებს. შესრულებულ სამუშაოებს ხშირად ამოწმებს თავად კონტროლის პალატის თავმჯდომარეც. ტერიტორია, სადაც მალე ბეჟაშვილის სასტუმრო ამოქმედდება, როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესმენ გიორგი ჩირინაშვილს ეკუთვნოდა. **ჩირინაშვილი ამ საკითხზე არ თუ ვერ საუბრობს და დუმილს ამჯობინებს. მას სხვა ბიზნესებიც აქვს. ასე რომ, ალბათ, საქმისთვის უკეთესი იქნება, თუ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს არ გააღიზიანებს, რომელმაც საკუთარი ბიზნესი სწორედ ჩირინაშვილის ხარჯზე მოიწყო,** პარკში საკუთარი ტერიტორია დაათმობინა და იქ სასტუმროს მშენებლობა წამოიწყო. ამ საკითხზე არ საუბრობს თავად ლევან ბეჟაშვილიც.

**„საქართველო და მსოფლიო" ადვოკატ თენგიზ ბეჟაშვილს დაუკავშირდა.**

— ადამიანს რომ კერძო საკუთრება ჰქონდეს, ამაში რატომ ხედავენ ისინი პრობლემას, არ მესმის. კერძო საკუთრების უფლება ყველას აქვს — საჯარო მოხელესაც და კონტროლის პალატის ხელმძღვანელსაც. ჩემი ნათესავები არიან და არ მინდა ამაზე ლაპარაკი. აქ არის ეტიკეტის ნორმები, რომელსაც, უბრალოდ, არ დავარღვევ. სხვადასხვა გზაზე ვართ, მაგრამ მაინც გვაქვს ნათესაური ურთიერთობა.

**— გასაგებია, რომ საუბარი არ გსურთ, მაგრამ ასეთი ინფორმაციები რაიონში უფრო ადვილად ვრცელდება; არ იმალება, რომ ბეჟაშვილის მამა კურირებს ამ სასტუმროს მშენებლობას. იმასაც ამბობენ, ეს ტერიტორია ჩირინაშვილს წაართვესო ბეჟაშვილებმა.**

— წართმევას ამას ვერ დავარქმევთ. მე, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი, მინდოდა, გაკეთებულიყო ავიაბილეთების სალარო, იქ იყო ძველი საბილიარდო, ეკლესიაც აშენდა ახლოს. ცოტა ხანს ჩირინაშვილი ფლობდა იმ ტერიტორიას. ეს რომ ლევანის სასტუმროა, არც მეგონა, თუ ამას მალავდნენ.

**— სადაა ეს სასტუმრო?**

— ყოფილი საბილიარდოს შენობაა სიღნაღის კულტურისა და დასვენების პარკში.

**— რა ეტაპზეა მისი მშენებლობა?**

— ექსპლუატაციაში რომ არ არის გადაცემული, ვიცი; შიგნით რა ხდება, არ ვიცი. მაღალი, ძალიან კარგი შენობაა.

**ჰილტონების ცნობილი მემკვიდრის — სკანდალური პერის ჰილტონისგან განსხვავებით, კახეთის ექსგუბერნატორი და ახლა უკვე კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ხმაურიანი პერსონა არ არის. სამაგიეროდ, მასაც გაუჩნდა ამბიცია, მთლად ჰილტონების დონეზე თუ არა, ბეჟაშვილების საკადრისი მემკვიდრეობა მაინც დაუტოვოს შთამომავლობას და, რაკი ტურიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, მანაც სასტუმრო ბიზნესის აწყობა გადაწყვიტა.**

**სად ჰილტონი და სად ბეჟაშვილი, მაგრამ არც სიღნაღია ისეთი მასშტაბის ქალაქი, ჰილტონებმა თავიანთი ბიზნესის გაფართოება აქ დააპირონ. წმინდა ადგილი კი, როგორც ცნობილია, ცარიელი არ რჩება. ჰოდა, ისარგებლა ბეჟაშვილმა და შეავსო ის ადგილი, რომელიც ცარიელი არ ყოფილა, მეპატრონე ჰყავდა, მაგრამ დღევანდელი ნაცხელისუფლების წარმომადგენლებისთვის რა მნიშვნელობა აქვს კერძო საკუთრებას, თუკი პირადად მათ არ ეკუთვნის? ამიტომაც ისაკუთრებენ ყველაფერს და ვითომ რატომ იქნებოდა გამონაკლისი ლევან ბეჟაშვილი?**

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ჯარის ავტორიტეტი დასაცავია

**„საქართველოს ლეგიონის" ხელმძღვანელი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი ქართულ ჯარში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით თავდაცვის ამჟამინდელ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან დაუყოვნებლივ შეხვედრას მოითხოვს.** ყარყარაშვილი იმის გამო აღშფოთდა, რომ 4 ნოემბერს ვაზიანში დისლოცირებულ მე-4 ბრიგადაში მომხდარი ინციდენტი ქართული ჯარისადმი ნდობასა და მის ავტორიტეტს უქმნის საფრთხეს. საუბარია, ბატალიონის ალფა-ასეულის ჯარისკაცების სასტიკად ცემაზე, რის გამოც რამდენიმე ჯარისკაცი მძიმე მდგომარეობაშია და რასაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროც ადასტურებს. საქმეზე გამოძიება უკვე დაწყებულია. უწყება დაზარალებულების მდგომარეობისა და მათი ვინაობის შესახებ ინფორმაციას ამ დრომდე არ ახმაურებს.




### პრეზიდენტმა კონსტიტუციას ხელი მოაწერა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი რედაქციის საკონსტიტუციო პროექტს ხელი მოაწერა.** იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობას, რომელიც ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, პარლამენტი უახლოეს მომავალში დაიწყებს. როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი განმარტავს, ცვლილება, სავარაუდოდ, 100-ზე მეტ კანონს შეეხება და მათზე მუშაობა ახალი წლიდან დაიწყება. ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე კი საკანონმდებლო ბაზა უკვე შეცვლილი, ხოლო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ამოქმედებული იქნება. ჯერ არაა გადაწყვეტილი, ცვლილებებზე მუშაობა პარლამენტში ერთ კონკრეტულ კომიტეტს დაევალება, თუ კომიტეტებში საკითხების შესაბამისად გადანაწილდება.




### ხელისუფლება ჯარს ატერორებს

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ხელისუფლებას მოაზროვნე ჯარისკაცები არ სჭირდება".** მისი მტკიცებით, შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადის 42-ე ბატალიონში მომხდარი ინციდენტი, რის შედეგადაც რამდენიმე ჯარისკაცს სასტიკად სცემეს, შემთხვევითი არ არის. „გაიხსენეთ მუხროვანის ინციდენტი. საქართველოს ხელისუფლებას მოაზროვნე ჯარისკაცები არ სჭირდება, არამედ სურს, ისინი მუდმივი შიშისა და ტერორის ქვეშ ამოყოფოს", — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ის სოლიდარობას უცხადებს მომხდარის შედეგად დაზარალებულ ჯარისკაცებს, რომელთაც შეუძლიათ, მისი და წარმომადგენლობითი სახალხო კრების თანადგომის იმედი ჰქონდეთ.



### ბათუმში ლექტორი დააკავეს

**სამართალდამცველებმა ყალბი დიპლომის დამზადების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაკავებულნი არიან ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის ლექტორი მარინე ცეცხლაძე, ამავე ინსტიტუტის მდივანი მარინე აბულაძე, აგრეთვე, მოქალაქეები ემზარ ხალვაში და ვაჟა ბერიძე. საქმის მასალების მიხედვით, ემზარ ხალვაშმა ყალბი დიპლომის მსურველ მოქალაქეს თავდაპირველად ე. წ. ბეს სახით თანხის ნაწილი გამოართვა და დანარჩენი ნაწილის მისატანად რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარა. ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ყალბი დიპლომი დაკავებულებმა საერთო ჯამში 800 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაამზადეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**საქართველოს შს მინისტრი თავს იწონებს, რომ ქვეყანაში სრული წესრიგი დაამყარა, პრეზიდენტი კი მიიჩნევს, რომ ციხეებში პატიმრების მატება დანაშაულის რაოდენობის შემცირების პირდაპირპროპორციულია. უნდა დავეთანხმოთ — ნემსისა და აქლემის ქურდიც დღეს ციხეში ზის, მაგრამ ეს მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლის გახსნაც ხელისუფლებას სურს. ხოლო ქვეყანაში გახშირებული თავდასხმები, რომლის კვალიც პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებას უნდა უკავშირდებოდეს, გაუხსნელია.**

# ქალაქის ცენტრში შეიარაღებულ თავდასხმაზე ყოვლისშემძლე შს სამინისტრო დუმს

## «ქართული პარტიის» წევრი საკუთარი ოჯახის წევრებზე თავდასხმას პოლიტიკურ ტერორს უკავშირებს

4 ნოემბერს, ქალაქის ცენტრში შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ „ქართული პარტიის" წევრის, ამირან იობაშვილის შვილსა და რძალს. კოკა იობაშვილს შვიდი ჭრილობა აქვს, ანა კიკნაძეს კი — ერთი. პოლიცია დუმს, ამირან იობაშვილი და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ამ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებენ.

**ქვეყანაში, სადაც, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, გადაადგილება სრულიად უსაფრთხოა, გასულ კვირას თავს დაესხნენ ტელეკომპანია „მაესტროს" თანამშრომლებსაც.** საღამოს შინ მიმავალ დავით ცხომელიძეს, გადაცემა „ა(მ)ბების" სცენარისტს, უცხო პირები, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიციის ქურთუკში იყო გამოწყობილი, მანქანით წამოეწივნენ. **სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პირმა მას სასტიკად სცემა, პოლიციის ქურთუკით შემოსილი პიროვნება კი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ეუბნებოდა პოლიციის პატივისცემა უნდა გასწავლოთო.** ეს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ცხომელიძემ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და იმ პირის ამოცნობაც შეუძლია, რომელიც ფიზიკურად გაუსწორდა, ჯერ არ გახსნილა და, ალბათ, თაროზეა შემოდებული. ხოლო „მაესტროს" მეორე თანამშრომლის, თემურ დოლიაშვილის ცემის ფაქტი, რომელიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა, შს სამინისტრომ მაშინვე გახსნა და დამნაშავეც დააკავა.

**ცოტა ხნის წინათ, ცხომელიძის მსგავსად, პოლიციის მსხვერპლი გახდა კომპანია „თრიალეთის" დირექტორი ჯონი ნანეტაშვილიც. მას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს, შემდგომ კი სასამართლომ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.** ნანეტაშვილი ამ დრომდე ითხოვს, ამოიღონ ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მისი ცემა რამდენიმე შენობაზე არსებულმა ვიდეოთვალმა დააფიქსირა, თუმცა ამას ვერაფრით მიაღწია.

**პოლიტიკური ანგარიშსწორებები საქართველოში ტენდენციად იქცა, შორეულ მოვლენებს რომ არ გადავწვდეთ და დეპუტატ ვალერი გელაშვილის დღემდე გაუხსნელ საქმეს არ დავუბრუნდეთ, როცა დეპუტატი სასიკვდილოდ სცემეს და ეს საქმე დღემდე არ გახსნილა, უახლოეს წარსულს გადავხედოთ.**

რესპუბლიკური პარტიის წევრ რამინ აბულაძეს ნიღბიანი პირები დაესხნენ თავს და სცემეს. აბულაძემ ავტომანქანაც კი ამოიცნო, რომელიც, მისი თქმით, ადგილობრივ ძალოვნებს ეკუთვნოდა.

„გაერთიანებული ოპოზიციის" წევრ დაჩი ჯღარკავას საკუთარი სახლის სადარბაზოსთან თავს დაესხა ოთხი ნიღბიანი პირი.

ბეისბოლის ჯოხით სცემეს „ახალი მემარჯვენეების" წევრ სოსო ბოცვაძეს გორში, ხოლო ამავე პარტიის წევრს, სამხედრო აკადემიის ყოფილ რექტორს, გიორგი თავდგირიძეს საკუთარ სახლთან რკინის ხელკეტით გაუსწორდნენ.

„გაერთიანებული ოპოზიციის" წევრი მამუკა კვარაცხელია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა. იგი უცნობმა პირებმა გაიტაცეს და დილით ხელფეხშეკრული ვაშლიჯვრის ტყეში იპოვეს.

საკუთარ სახლთან სცემეს, ასევე, ოპოზიციონერს, ხაშურის მაჟორიტარ კანდიდატ ბორის ძანაშვილს.

**ქვეყანაში პოლიტიკური ტერორი გრძელდება. ასეთ შეფასებას აძლევენ გახშირებულ ფიზიკურ ანგარიშსწორებებს ოპოზიციონერი დეპუტატები და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც, როგორც თავად ხელისუფლება ამტკიცებს, ქვეყანაში მომხდარი ყველა დანაშაულის გახსნა ხელეწიფება, ეს საქმეები თაროზე უდევს.**

გარდა ფიზიკური ანგარიშსწორებისა, ახალი არ არის, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და მათი ნათესავები დიდი ხნით ციხეშიც ჰყავს გასტუმრებული მერაბიშვილს. მათ შორის მოიაზრებენ სოზარ სუბარის ძმასა და ეკა ბესელიას ახლახან გათავისუფლებულ ოჯახის წევრებს. მაგრამ ყველაზე შემზარავი გასულ კვირას ამირან იობაშვილის ოჯახის წევრებზე მომხდარი თავდასხმაა.



**ამირან იობაშვილი:**
**ორი წლის წინათ სახლთან დამხვდა ხუთი ნიღბიანი ახალგაზრდა, ისინი ფიზიკურად გამისწორდნენ, მქონდა მრავლობითი დაჟეჟილობები, ტვინის შერყევა; შეიძლება ითქვას, სიკვდილს გადავურჩი**

**„საქართველო და მსოფლიო" „ქართული პარტიის" წევრ ამირან იობაშვილს ესაუბრა.**

— 4 ნოემბერს, დაახლოებით 9 საათზე, მობილურით დამიკავშირდა ჩემი რძალი ანა კიკნაძე და შემატყობინა, რომ მე და კოკა (ჩემი შვილი) რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიმყოფებით და ჩქარა მოგვეშველეო. საავადმყოფოში მისვლის შემდეგ გაირკვა, რომ ჩემი შვილი, კოკა იობაშვილი და რძალი, ანა კიკნაძე დაჭრილები იყვნენ და საოპერაციოდ ამზადებდნენ.

ისინი მუშაობენ პეკინის ქუჩა № 17-ში მდებარე რვასართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. სავალუტო ჯიხური აქვთ გახსნილი ყვავილების მაღაზიაში. სამსახურის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით რვა საათზე, დაკეტეს ოფისი და ეზოში, ავტომანქანას რომ უახლოვდებოდნენ, ორმა ახალგაზრდამ ესროლა. ერთს ჩემი რძლისთვის ჩანთის წართმევა უცდია, მაგრამ ვერ წაურთმევია. **ამ დროს ესროლეს ჩემს შვილს ფეხებში. მას შვიდი ტყვია აქვს მოხვედრილი, რის შედეგადაც გატეხილი აქვს წვივისა და ბარძაყის ძვლები. ჩემს რძალს ერთი ტყვია მოხვდა ფეხის არეში და, შეიძლება ითქვას, შედარებით მსუბუქადაა.**

უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა ჩემს ვაჟს, შვიდი საათის მანძილზე მიმდინარეობდა ოპერაცია. იგი რეანიმაციიდან ახლა გამოვიყვანეთ და მისი მდგომარეობა ისევ მძიმეა.

**— პეკინზე, ქალაქის ცენტრში, რვა საათზე თავდასხმა ცოტა უცნაურად ჟღერს, არა?**

— არის ბევრი ძალიან საეჭვო რამ. **ორი წლის წინათ სახლთან დამხვდა ხუთი ნიღბიანი ახალგაზრდა, ისინი ფიზიკურად გამისწორდნენ, მქონდა მრავლობითი დაჟეჟილობები, ტვინის შერყევა; შეიძლება ითქვას, სიკვდილს გადავურჩი.** ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა ოჯახის წევრებზე გადავიდა ხელისუფლება?**

— ამ ინციდენტამდე, სანამ ჩემს ოჯახის წევრებს დაჭრიდნენ, დაახლოებით ერთი თვის წინათ, ღამის საათებში, გატყდა მათი ოფისი, შეანგრიეს კარი, შიგნით დალეწეს ყველაფერი და 5 ათას ლარამდე თანხა გაიტაცეს. ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული. მოვიდნენ პოლიციელები, რთული საქმეა და კვალს ვერ მივაგენითო. ერთი თვის შემდეგ დამიჭრეს შვილი და რძალი. ოჯახში მეუღლე მყავს, პირველი ჯგუფის ინვალიდია და გარეთ ვერ გამოდის... **მე ტერორს ვუკავშირებ, მეტი რა უნდა გააკეთონ? სახლში ვერ შემომივარდებიან. თუმცა ამის ეჭვიც არის.**

მე „ქართული პარტიის" წევრი ვარ და, ალბათ, ჩემს მოღვაწეობას უკავშირდება, რადგან „ქართული პარტია" ოპოზიციური პარტიაა. **გამორჩეული ლიდერი არ ვარ, მაგრამ, ალბათ, ხალხის დასაშინებლად კეთდება ყველაფერი.**

მოგეხსენებათ, სოზარ სუბარის ძმა დაიჭირეს ცოტა ხნის წინათ, მინიმალურ თანხას ედავებიან. აღარაფერს ვამბობ ჩემს ტელეფონზე განხორციელებულ მუქარის ზარებზე. ტელეფონის ნომრებიც კი მაქვს მათი, არც ერიდებოდნენ არაფერს.

**— ფიქრობთ, რომ ახლა მუქარების შესრულების დრო დადგა?**

— ალბათ, სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ჩემს შვილს ვალი რომ ჰქონოდა, ან მტერი ჰყოლოდა ვინმე, ან კონფლიქტური პიროვნება ყოფილიყო, შეიძლება სხვა ეჭვები მქონოდა, მაგრამ სხვას ვერაფერს ვუკავშირებ ამ ფაქტს.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ახალი დაპირისპირება ოპოზიციაში

**რიგგარეშე არჩევნების ჩატარება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი ისევ გაიმარჯვებს. მას ძალაუფლების შენარჩუნების მეთოდები კარგად აქვს შემუშავებული და საკონსტიტუციო ცვლილებებიც ამ მიზნით ოპოზიციისთვის დაგებული ხაფანგია",** — განაცხადა ეროვნული ფორუმის წარმომადგენელმა ირაკლი მელაშვილმა.

მისივე თქმით, „ძალიან სამწუხაროა ის დაპირისპირება, რომელიც ოპოზიციაში შეიქმნა. ერთ მხარეს თითქოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის მებრძოლი 8 პარტიაა, მეორე მხარეს კი — სახალხო კრება, რომელიც ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა მიშას თამაშით თამაშს ნიშნავს".



### ძიძიგური საბრძოლველად ემზადება

**როგორც „კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ზვიად ძიძიგური ამბობს, რვა ოპოზიციური პარტია მზად არის, ხელისუფლება ცივილურ ბრძოლაში დაამარცხოს. ძიძიგურის მტკიცებით, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ოპოზიციურ პარტიებს თემატური ერთსულოვნება აქვთ.**

ქვეყანაში საარჩევნო პროცესის დასახვეწად კი მათ ყველა ბერკეტი უნდა აამოქმედონ.

ძიძიგური, რომელიც, საკმაოდ დიდი ხანია, პოლიტიკაში მოღვაწეობს და, წესით, აღარაფერში აღარ უნდა იყოს დარწმუნებული, რატომღაც თავს დებს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას არ გაურიგდება. არადა, უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა, უფრო მეტად ველარ გაურიგდება, მით უფრო, ეს მოლაპარაკებები ორივე მხარის ინტერესებშიაო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**ადვოკატი:**

იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენ მიერ ჰააგის სასამართლოში შეტანილი სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვა, საჭიროა, ამ სარჩელს ხელი მოაწეროს საქართველოს რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ...

მე სულ რაღაც ერთი კვირაა, რაც ჰააგიდან დავბრუნდი და 5 ათასი ხელმოწერა უკვე ამ ერთ კვირაში შეგროვდა. ადამიანები განუწყვეტლივ ჯგუფ-ჯგუფად მოდიან ჩვენი პარტიის ოფისში და ითხოვენ ამ სარჩელზე ხელის მოწერას. ვფიქრობ, რომ, როგორც მინიმუმ, ნახევარი მილიონი ადამიანი მაინც მოაწერს ხელს ამ სარჩელს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ჯამბულ გამცემლიძე,**
**გიორგი გამცემლიძის მამა, არასამთავრობო ორგანიზაციის „დაიცავი სიცოცხლე“ წევრი:**

ჩვენ არ ვართ შვილმკვდარი მშობლები, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება გვიწოდებს; ჩვენ შვილებმოკლული მშობლები ვართ; შვილმკვდარი სააკაშვილის და მისი თანამოაზრეების მშობლებია.

*„საერთო გაზეთი“*



**ცოტნე გამსახურდია,**
**ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი:**

ვადანაშაულებ პირადად მიხეილ სააკაშვილს ჩემი დღევანდელი გაუსაძლისი მდგომარეობის შექმნაში, ასევე იმ უსამართლობასა და იდიოტიზმში, რასაც მისი ყურმოჭრილი მონები ახორციელებენ ჩემ წინააღმდეგ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სხვადასხვა ეტაპზე. ასევე, ყველა საფუძველი მაქვს, ჩავთვალო, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გამეფებული არაადამიანობა და სადიზმი პირადად სააკაშვილის მიერ არის სანქცირებული.

*„ყველა სიახლე“*



**ლევან ვეფხვაძე,**
**პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე:**

ევროობლიგაციების გაყიდვით შემოსული თანხა „მომავალი თაობების განვითარების“ ფონდში უნდა წასულიყო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის და ეს ფული უნდა მოხმარებოდა იმ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს სოციალური პირობების მოსაგვარებლად, მაგრამ რეალურად ასე არ მოხდა. თუმცა, მართლაც, დღემდე გაურკვეველია, რაში დაიხარჯა ეს ფული.

*„კვირის ქრონიკა“*



**კობა დავითაშვილი,**
**„ხალხის პარტიის“ ლიდერი:**

ხშირად ვამბობთ, რომ ხელისუფლება მოვიშოროთ და პრობლემები მოიხსნება. ბევრი პრობლემა მართლაც მოიხსნება, თუ იქნება მრავალპარტიული ხელისუფლება, თუ იქნება დაბალანსებული კონსტიტუცია და ა.შ. მაგრამ ერთი რამ მინდა ყველამ გაიგოს, — ნებისმიერი მთავრობა დაინტერესებულია, რომ, რაც შეიძლება მეტი ამოიღოს ბიზნესიდან და წაიღოს ბიუჯეტში. რომელი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, აუცილებელია, ერთმანეთთან სოლიდარობა. ამის გარეშე არ გამოვა.

*„კვირის ქრონიკა“*



**ლევან კალანდაძე,**
**ექსპერტი:**

შარშან გვითხრეს, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, საქართველო მე-11 ადგილზეაო. ახლა გვეუბნებიან, ერთი ადგილით წინ გადავინაცვლეთ და მე-12-ზე გადავედითო, ე.ი. შარშან მე-11-ზე კი არა, მე-13-ზე ვყოფილვართ. ისე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მე-12-ზე ვართ თუ მე-13-ზე. ეს როგორ არის, იცით? შეიძლება, ყოველდღე ერთი და იგივე ანეკდოტი მოგიყვებ და ყოველდღე გაგეცინოს? ერთხელ გაიცინებ ამ ანეკდოტზე, მეორედ, მესამედ უკვე აღარ გაგეცინება! როცა შენს ბიზნესსა და შენს მეწარმეებს ასეთ დღეში აგდებ, ვინ შემოვა და ვინ ჩადებს აქ ინვესტიციებს?

*„ასავალ-დასავალი“*

# საბიუჯეტო ორგანიზაციები ხარჯებს მალავენ

## რატომ ურჩევნია იუსტიციის საბჭოს კანონის დარღვევა?

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ცოტა ხნის წინათ, ქვეყანაში ინფორმაციის საჯაროობის თვალსაზრისით ვითარების მონიტორინგი ჩაატარა. მათ გამოითხოვეს ინფორმაცია, თუ რა თანხას იღებენ საჯარო მოხელეები ხელფასისა და პრემიის სახით, ასევე, რამდენი უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს მათი მივლინებები, სატელეფონო საუბრები, სამსახურის ავტომანქანით მომსახურება, საწვავის, მობილური ტელეფონებისა და ავტომანქანების შესყიდვა. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო უწყებების დიდმა ნაწილმა დამალა და დავა სასამართლოში გაგრძელდა.**

სანამ ამ საკითხის სასამართლო განხილვაზე გადავიდოდეთ, გადავხედოთ რომელი უწყებებისთვის აღმოჩნდა ამ ინფორმაციის გამჟღავნება არასასურველი. **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საქართველოს პარლამენტმა, დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, მთავრობის კანცელარიამ, ეროვნული უშიშროების საბჭომ, თბილისის მერიამ, შემოსავლების სამსახურმა, მთავარმა პროკურატურამ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საჯარო რეესტრმა, ეროვნულმა ბანკმა, მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, არათუ ინფორმაცია არ მიაწოდა, საერთოდ არ უპასუხა არასამთავრობო ორგანიზაციას.**

„საქართველო და მსოფლიომ“ წინა ნომრებში შემოგთავაზათ, თუ რა კოლოსალურ თანხებს იღებენ ქართველი ჩინოვნიკები ხელფასების სახით; ასევე რამდენად ძვირადღირებულია მათი მივლინებები საზღვარგარეთ, რომლებიც ხშირად მხოლოდ მათ დასვენებას ემსახურება და არა სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმიანობას. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ **ჩინოვნიკების ხელფასები სამჯერ და მეტჯერ აღემატება რიგითი თანამშრომლების ხელფასებს.** არადა, საქართველოში ხშირად დეპარტამენტები იმის გამო იქმნება, რომ მაღალხელფასიან სამსახურში „ნაციონალები“ ან მათი ნათესავები დაასაქმონ. ასე მაგალითად, **სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობს ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსს ორი მოადგილე ჰყავს. ამ დეპარტამენტში შედის ორი სამმართველო. თავისი უფროსებითა და მოადგილეებითა და ამ სამმართველოების უფროსებით გამოტენილი დეპარტამენტის შვიდ უფროსს სამი მთავარი სპეციალისტი ჰყავს.** ეს ქართული რეალობაა და, ალბათ, აღარავის უკვირს. პრემიებითაც, ცხადია, მაღალხელფასიან ჩინოვნიკებს ანებივრებენ ხელმძღვანელები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, მაგალითად, **სახაზინო სამსახურის უფროსის პრემიის ოდენობა ორ-ნახევარჯერ აღემატებოდა მისი ხელფასის ოდენობას.** ასეთი ფაქტების შემდეგ ცხადი ხდება, რატომ ურჩევნიათ ჩინოვნიკებს ასეთი ფაქტების გამომზეურებას კანონის დარღვევა.

### მხოლოდ პარლამენტის წევრების მივლინებებისთვის მილიონ 273 ათასი ლარი გამოიყო

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მიმართა, თუმცა სააკაშვილის რეფორმირებულმა სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა. მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ასოციაციამ კერძო საჩივარი შეიტანა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საია ითხოვდა ინფორმაციას იუსტიციის მოქმედი და ყოფილი წევრების თანამდებობრივი მდგომარეობის, მივლინებების შემთხვევების, ადგილისა და თარიღის თაობაზე. ასევე 2007-2009 წლებში მოსამართლეთა დანიშვნის, გათავისუფლების, დაწინაურების, სხვა სასამართლოში გადაყვანისა და მოსამართლეთა საქმის განხილვის და სხვა თანამდებობრივი დანამატების ოდენობას. როგორც აღმოჩნდა, **იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამარტო საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამომზეურებასთან, არამედ მოსამართლეთა გათავისუფლებასა თუ დაწინაურებაზეც უჭირს ინფორმაციის გაცემა,** თუ რატომ, ამაზე, ალბათ, **ცალსახა ვარაუდი არსებობს.** იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რეაგირება არ მოახდინა საიას განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლო კი, როგორც ჩანს, მისი მაკონტროლებლის წინააღმდეგ ვერ წავიდა, სხვა ველარაფერი მოიმიზეზა და საიას სარჩელი დაუშვებლად სცნო იმ მიზეზით, თითქოს ორგანიზაციას გასაჩივრების ვადა ჰქონდა დარღვეული. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ვადები არ დარღვეულა და სააპელაციო სასამართლოს მიმართავს.

### სახაზინო სამსახურის უფროსის პრემიის ოდენობა ორ-ნახევარჯერ აღემატებოდა მისი ხელფასის ოდენობას

თუმცა ჯერ კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე იგი კვლევაში წერდა: **„შედეგებმა ნათლად დაგვანახა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი ხარვეზები აქვს დასაბუთების კუთხით, რაც ადასტურებს სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ გაუმართაობას. ამასთან, სამწუხაროა ის ტენდენცია, რომ სასამართლო ბრმად ენდობა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და საქმის არსებითი შეფასების გარეშე უცვლელად ტოვებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და საქმის არსებითი შეფასების გარეშე უცვლელად ტოვებს ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებებს.** შედეგად **მართლმსაჯულების განხორციელებას აზრი ეკარგება და სრულიად უსაგნოა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება, როდესაც სასამართლო მის კანონიერებაზე ყურადღებასაც არ ამახვილებს“.**

საჯარო დაწესებულებების საქმიანობათა გამჭირვალობის საკითხებზე (ხელფასებისა და პრემიების თემა, ასევე საჯარო დაწესებულებათა სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა) ასოციაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ქვეყანაში საკმაოდ მძიმეა და იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა ჩამონათვალი, რომლებიც მზად არიან, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია, რომლის გაცნობის უფლებასაც მათ კანონი ანიჭებთ, საკმაოდ მცირეა.

თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ურჩევნია, ქვეყანაში ინფორმაციის საჯაროობის პრობლემა დაფიქსირდეს, ვიდრე საქართველოს მოსახლეობამ იცოდეს, რომ, მაგალითად, **შს მინისტრის მისაღების ტელეფონზე ამ დროისთვის 200.241 ლარის დავალიანება ირიცხება.** ეს მაშინ, როცა შს სამინისტრო მილიონებს ურიცხავს „ჯეოსელს“, რომლის კორპორაციული მომსახურებითაც სარგებლობს; ან იცოდეს, რომ ამჟამად **კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა ქალაქის პროკურორობისას პრემიის სახით 71 ათასი ლარი აიღო,** ან, რომ ჯერ კიდევ **2006 წელს მხოლოდ პარლამენტის წევრების მივლინებებისთვის მილიონ 273 ათასი ლარი გამოიყო** და მინისტრებს, ქალაქის მერს თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირებს საზღვარგარეთ ბიუჯეტის ფულით დაფინანსებულ მივლინებებში მეუღლეებიც მიჰყავთ.

**სოფო გელაშვილი**

### ჩინოვნიკების ხელფასები სამჯერ და მეტჯერ აღემატება რიგითი თანამშრომლების ხელფასებს

# თეუსუ, ბატონო მინისტრო, თეუსუ!

## განათლების მინისტრის სრულიად გაუაზრებელი და ცინიკური გადაწყვეტილებით სტუდენტები და პროფესორ- მასწავლებლები დაზარალდებიან

**თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსუ), როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 1992 წლის 19 მარტს დაარსდა. უნივერსიტეტის ძირითადი მიზანია ბიზნესისა და მართვის, ასევე, სამართლის დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ განვითარებას, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი აქტიურად და მიზანმიმართულად ახორციელებს რეფორმებს, ნერგავს ინოვაციებს... საქართველოში ორჯერ ჩატარებული სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, თეუსუ-მ ორივეჯერ, 2004 და 2006 წლებში, წარმატებით გაიარა და მოიპოვა სახელმწიფო აკრედიტაცია...**



თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი 4.281.950 ლარს შეადგენს. ეს ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე დევს და მისი ნახვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.

თუმცა 3 ნოემბერს სატელევიზიო ეთერში განათლების მინისტრის — დიმიტრი შაშკინის მიერ გაკეთებულმა კომენტარმა უნივერსიტეტის გაუქმების შესახებ თავდაყირა დააყენა ის შიდა სუვერენული საუნივერსიტეტო გარემო, რითაც გამოირჩევა თეუსუ-ს სასწავლო პროგრამები სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან. აი, რა ბრძანა ბატონმა მინისტრმა: **„ეს არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში ვერ ვითარდება ისე, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკადრება. შესაბამისად, იმისათვის, რომ გვქონდეს დახმარების შესაძლებლობა, მივიღეთ გადაწყვეტილება, გავგაერთიანებინა თესეუ-სა** და **ტაუსუ-ს** არსებული რესურსები" (სტილი დაცულია).

ჯერ ერთი, ტყუის მინისტრი და ცდილობს, ამ ტყუილით ფონს გავიდეს, დააჯეროს საზოგადოება, თუ როგორ ზრუნავს „განათლებაზე მოამაგე და თავგადაკლული" მთავრობა უმაღლესი სასწავლებლების ოპტიმიზაციის საკითხზე. **ამ ორი უნივერსიტეტის შეერთებით, ერთის სრული ლიკვიდაციით და მეორის გაურკვეველ უმაღლეს სასწავლებლად გარდაქმნით, ხელისუფლება ადვილად შეძლებს სამომავლოდ უნივერსიტეტის გაყიდვას და გაძვალტყავებული ბიუჯეტის შევსებას. და მერე ვის ხარჯზე?! რა თქმა უნდა, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების კისერზე გადავა ამ აბსურდული, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული გადაწყვეტილების მძიმე შედეგი.**

განათლების მინისტრი იმდენად არის ამ საკითხში ჩახედული, რომ უნივერსიტეტის ზუსტი დასახელებაც კი არ იცის. **თეუსუ,** ბატონო მინისტრო, **თეუსუ** (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

### უნივერსიტეტების ოპტიმიზაცია მოგონილი ფარსია, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება საბაბს ეძებს, თეუსუ-ს ტერიტორია და შენობა ადვილად გაყიდოს

და არა **ტაუსუ**, როგორც თქვენ მოიხსენიებთ. განათლების მინისტრის მხრიდან უნივერსიტეტის ზუსტი აბრივიატურის არცოდნა ამ უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ღიად შეურაცხყოფის ტოლფასია, თანაც უბოდიშოდ.

თუმცა, რა ბატონი შაშკინის ბრალია, რომ სრულიად ვერ ერკვევა განათლების სისტემის მართვის ელემენტალურ საკითხებში, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლესი განათლების სისტემის სტრატეგიულ დაგეგმვასა და შემდგომ მისი განხორციელების მთავარ პრიორიტეტებზე. **მისი სამოღვაწეო კარიერის არც ერთი წელი განათლების სფეროს არ უკავშირდება. შესაბამისად, ბატონი შაშკინის ეს გადაწყვეტილება სრულიად გაუაზრებელი და ცინიკურია: „ოპტიმიზაციის პროცესში არც სტუდენტები და არც პროფესორ-მასწავლებლები არ დაზარალდებიან."**

მაგრამ საქმე ისაა, რომ მარტო ბატონი შაშკინი ვერ გაბედავდა ასეთი მძიმე, ხმაურიანი გადაწყვეტილების მიღებას, სახელმწიფოს ზედა „მმართველი ელიტის" ინტერესები რომ არ იკვეთებოდეს ამ საკითხში. მავანი დაინტერესებულია ამ ადგილით და სასტუმროს აშენება სურს. შესაბამისად, **უნივერსიტეტების ოპტიმიზაცია მოგონილი ფარსია, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება საბაბს ეძებს, აღნიშნული ტერიტორია და შენობა ადვილად გაყიდოს.** ასევე პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რა აუქციონი იგეგმება 2010 წლის 11 ნოემბერს, 12-დან 16 საათამდე. ეს ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე დევს და აუქციონით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ჩამოწერილი მოძრავი ქონებიდან მიღებულ (დასაჭრელ) ჯართს. მაგრამ რა ჩამოწერილ ჯართზეა საუბარი, თეუსუ-ში ზუსტად არავინ იცის. 17683 კგ. ჯართის საწყისი ფასი 5396 ლარია.

**ამდენი პასუხგაუცემელი კითხვის ფონზე, თეუსუში დიდი მღელვარება და საპროტესტო განწყობაა როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მხრიდან.** ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, სტუდენტების მიერ გამართული აქცია, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა, ნათლად ასახავდა განათლების მინისტრის მიერ მიღებულ უსამართლო გადაწყვეტილებისადმი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეურიგებელ პოზიციას.

**ნინო ლორია, სტუდენტი:**

— ჩვენი, სტუდენტების ინფორმაციით ეს შენობა უკვე გაყიდულია; ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ მაღლივში უნდა ვისწავლოთ. თუ როდის და რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება თეუსუს სტუდენტებთან შეუთანხმებლად, სრულიად გაუგებარია.

**ნაზი გვარამია, პროფესორი:**

— განათლების მინისტრის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რომ უნივერსიტეტი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია და ბოლო წლები ველარ ვითარდება, სრული აბსურდია. არ იგვიანებს ხელფასი, ეწყობა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ყოფილა შემთხვევა, რომ ხელფასი ორი კვირით ადრე ამილია კიდეც. მაშინ, როცა სხვა უნივერსიტეტებში ამ მხრივ შედარებით მძიმე მდგომარეობაა. **რაც შეეხება არგუმენტს, რომ უნივერსიტეტი ვერ ვითარდება და ამიტომ უნდა გაუქმდეს, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. ჩვენთან ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესქულიანი აბიტურიენტები ხვდებიან.** არის შემთხვევები, როდესაც სხვა კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოსულა სტუდენტი. **თეუსუ ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლება და არ არის გამორიცხული, რომ კონკურენტ კერძო უნივერსიტეტებს თვალში არ მოსდიოდეთ.**

უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ჩუთლაშვილმა, სამწუხაროდ, ამ თემაზე საუბარი არ ისურვა, მითხრა, **„მე უნივერსიტეტების ოპტიმიზაციის საკითხთან დაკავშირებით საჯაროდ კომენტარები უკვე გავაკეთე და დამატებით, ახალ ინფორმაციას არ ვფლობო".** შესაბამისად, მეც მხოლოდ ტელე-ეთერში გასული კომენტარით შემოვიფარგლე: **„ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც აქამდე იყო. ერთადერთი ის განსხვავება იქნება, რომ შეერთების შემდეგ, სწავლება გაგრძელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ".** ისე, ქოლგას არ ენდოთ, ბატონო ავთანდილ, ქარიან ამინდში ადვილად ტყდება.

დრო გვიჩვენებს, სამომავლოდ რა იქნება: დღევანდელი თეუსუ-ს ადგილას – უნივერსიტეტი თუ სასტუმრო. საქართველოში ტურიზმი ხომ უნდა განვითარდეს განათლების ხარჯზე. **მეტი მოსამსახურე, ნაკლები სტუდენტი, შესაბამისად ნაკლები პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება და მეტი შაშკინი. ასე გადაიქცევა საქართველო შაშკინეთად!**

და ბოლოს, მინისტრს ვურჩევ, კარგად წაიკითხოს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტარატეგიული გეგმა (2007-2016 წ.წ.) და დასკვნები მერე გამოიტანოს.

**p.s. მკითხველს შევახსენებთ, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში მუშაობს პროფესორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე და საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ „საქართველო და მსოფლიოში" გამოაქვეყნა ანალიტიკური სტატია, სადაც წერდა, რომ „პოლიციის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები მისთვის შოკისმომგვრელია და ცალსახად მიუთითა, რომ დღეს ჩვენ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.**

# ქალაქი, სადაც გაოცებას ვნებიანი კვნესით გამოხატავენ

**საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია თბილისის შესახებ გადაღებულმა კლიპმა. არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა ამით კლიპის რეჟისორ ზურაბ მენთეშაშვილს, მაგრამ ფაქტია, რომ ერთწუთიანი ვიდეორგოლის შინაარსი ძალზე მარტივი, ერთფეროვანი და არაფრისმთქმელია. ეს არ არის თბილისის ნამდვილი სახე. ეს უფრო კონკრეტული სასტუმროს პიარ-რეკლამაა და არა მთლიანად ქალაქის.**




კლიპში მოქმედება მხოლოდ სასტუმროში ვითარდება; ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ტურისტი გოგონები ქართველ მამაკაცს გაიცნობენ და მთელ ღამეს მასთან ერთად „თბილისის სურათების თვალიერებაში" ატარებენ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კლიპში მთავარი აქცენტი გადატანილია სექსსა და ინგლისურ ენაზე. აბა, თბილისის ფოტოების თვალიერებას ქალის კვნესა და ეროტიული ხმა სულაც არ სჭირდება. მაჩვენეთ ერთი ნორმალური ადამიანი მაინც, რომელიც გაოცებას კვნესით გამოხატავს.

**თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ ზურაბ მენთეშაშვილს თბილისზე სხვა სახის კლიპი შეუკვეთეს. ზემოთ ხსენებული ვიდეორგოლის შინაარსი კი მერიასთან არ იყო შეთანხმებული. მენთეშაშვილის თქმით, მან ეს კლიპი თავისთვის და არა მერიისთვის, უბრალოდ, „საღადაოდ" გადაიღო. ეს ყოველივე კი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. როცა თბილისის სლოგანს „ქალაქი, რომელსაც უყვარხარ" იყენებ, მერიას უფლება აქვს, უჩივლოს კლიპის რეჟისორს ქალაქის სლოგანის არასწორად წარმოჩინებისთვის. მაგრამ მერიაში ეს აზრადაც არ მოსვლიათ.** პირიქით, ქვეყნის მთავარი, „მსოფლიო ტურისტის" მიხეილ სააკაშვილის დავალებას — „ჩვენ უნდა მოვიზიდოთ ტურისტები" — პირნათლად ასრულებენ.

სულ სხვა თემაა, რა ფორმით ხდება ტურისტის დაინტერესება. არა მგონია, ამ კლიპმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს უცხოელზე, თუნდაც იმიტომ, რომ (კლიპის მიხედვით) განვითარებული მოქმედება რაიმე განსაკუთრებულ ღირსებას, გამორჩეულობას არ სძენს ჩვენს ქალაქს, პირიქით — აკნინებს. ამგვარი რამ (ღამე, სასტუმრო, ნაშა, სექსი) მსოფლიოს ყველა დედაქალაქში ხდება. თბილისი რატომაა ამ მხრივ გამორჩეული, ვერ ვხვდები. ამაზე ერთწუთიანი უაზრო კლიპის გადაღება კი სრული გოიმობაა.

თუმცა კლიპის მთავარი მიზანი ხომ საზოგადოების ზნეობრივი გადაგვარება და გახრწნაა. **ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ახალგაზრდა თაობა ამგვარი ვიდეორგოლების, „პატრიოტთა ბუჩქების" მოშველიებით საბოლოოდ გარყვნას მორალურად და ზნეობრივად. ამ მისიაში ამერიკიდან ჩამოსული „ყივჩაღებიც" არიან აქტიურად ჩართულნი. ეს ყოველივე კი ქართველობას სრულ გადაგვარებას უქადის.**

**P.S. თბილისის ღირსების შემლახველი განცხადებები არახალია: ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა თავიდანვე აითვალწუნა „ქართლის დედა" და მისი ხმალი ფალოსს შეადარა. დღევანდელმა მერიამ კლიპში ქალაქი ერთ დიდ ბორდელად წარმოაჩინა.**

ამაზე მეტი და დიდი ანტი-რეკლამა რაღა უნდა გაუკეთო შენს ქალაქს?! თუმცა ჯერ კიდევ არ არის გვიან და, სანამ არ გვინანია, „დაანებეთ თბილისს თავი, დაანებეთ!"



გვერდი მოამზადა **ოთარ დალაქიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# Машинист, нажми на тормоза!

## იულია ლატინინას ინტერვიუს გამო

**ამ წითელთმიან ალქაჯზე, რომლის ვარცხნილობის აბურდული ზვინი „ეხო მოსკვის“ ეკრანს ისე ფარავდა, რომ მუცლითმეზღაპრის მხოლოდ მოკუმულ ტუჩებს აჩენდა, ცოტა ხნის წინათ ჩვენს ხელისუფლებას „მზე ჩრდილოეთიდან ამოსდიოდა“.**

ის მზე ჩაესვენა ამათთვის, მზე იულია ლატინინასი, რუსი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის, რომლის ნააზრევის მხურვალე სხივები თვით პრეზიდენტის მიუწვდომელ გამყინვარებას ადნობდა.

ჯერ რუსი ჯაშუშების მასობრივი დაკავება გაუბიაბურა ამათ: ერთი-ორი კიდევ — ჰო, მაგრამ რა ამბავია 13 დაპატიმრებულიო: **„ეს დაკავებულ ჯაშუშთა არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს... მთლად გასაგები არ არის, რა ინფორმაციის მოწოდება შეეძლოთ მათ“.**

ცივი წყალი გადაასხა სატელევიზიო „ილიადას“, რომლის მიხედვით „წითელი კაპელას“ ჯაშუშური ქსელის გაშიფვრის ფარდი ოპერაცია თუ არა, იმაზე ნაკლები არ ჩაუტარებია ჩვენს სპეცსამსახურს. და როცა სრულად დავიჯერეთ, რომ ჩვენებმა რუსეთის საგარეო დაზვერვა მოსპეს და გაატიალეს, ამან აგვიხსნა, რომ რუსეთის მშვიდი რეაქცია ამგვარ კრახზე კია გასაკვირი, მაგრამ გასაგებია: **„კრემლს ახლა ნავთობზე ფასი უფრო აინტერესებს“.** აი, ისე, კამეჩს ბუზი რქაზე რომ დააჯდა და, თუ გამძიმებ, ავფრინდებიო.

შემდეგ ცოტა შეგვაშინა კიდეც, ჩვენ რა, — სააკაშვილის ხელისუფლება დააფრთხო: **„რუსული პასუხი, შესაძლოა, სრულიად არაპროგნოზირებადი იყოს. არ გამოვრიცხავ თბილისში ტანკების გაგზავნასაც“,** — განაცხადა ისე მშვიდად და დარწმუნებით, თითქოს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში მუშაობდა ჟუკოვის დროს.

სხვას რას უნდა ელოდო, ლატინინას რომ ლაპარაკს დაუწყებ ასეთ სერიოზულ თემებზე, არადა, ელაპარაკებიან. ადრე პასუხებისგან დნებოდნენ, ახლა — გაჰკვირდიან.

ეს ქალი, მგონი, პუტინისა და მედვედევის სამზარეულოებში მიღებულ პერსონად გვასაღებს თავს. ასე ჩანს მისი მსჯელობიდან. კერძოდ კი, იმის თაობაზე მიკიბულ-მოკიბულობიდან, თუ როგორ გააგზავნა პუტინმა მედვედევი, ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის მიუხედავად, კურილიის კუნძულების მოსახილველად ლისაბონის სამიტისა და იაპონურ იაკოჰამაში ობამასთან დაგეგმილი შეხვედრის წინ. არ უნდოდაო მედვედევს შორეულ აღმოსავლეთში გაფრენა. პუტინმა აიძულა, გვარწმუნებს შემოდგომის ხოდაბუნების ეს ჟღალი ფრაგმენტი და „რეპორტაჟს“ სამზარეულოდან „სენსაციური“ ცნობით ამთავრებს: **„მან** (მედვედევმაო. — ა.ს.), **როგორც შეეძლო, წინააღმდეგობა გაუწია პუტინს, უამინდობა მოიმიზეზა, უნდოდა, თავიდან აეცილებინა კურილიის კუნძულებზე ჩასვლა, მაგრამ არ გამოუვიდა“.**



ობივატელს რა უნდოდა და — ასეთი „ბნელი“ დეტალების გაგებაო.

ნებაზე მიშვებულმა ეულმა აფრამ, რომელიც ამაყად ფრიალებს რუსული მედიის უკიდეგანო სივრცეში, აშშ-რუსეთისა და დასავლეთ-რუსეთის დაახლოებაში საქართველოს „ჟანგიანი ლურსმნის“ როლის გარკვევისას, კიდევ უფრო ღრმად ჩაასო ეს ჯართადქცეული რკინის ნაწარმი მტკივნეულ ადგილზე და ჩვენი ხელისუფლების გასაგონად განაცხადა: **„ევროპა, დიდი ხანია, თანამშრომლობს რუსეთთან. ეს ტალიავინის დასკვნაზეც აისახა“.** მაგრამ „ჟანგიანი ლურსმანი“ არც ამერიკას სჭირდება: **„ობამასთვის საქართველოზე უფრო მნიშვნელოვანი ირანის საკითხი და სხვა გლობალური პრობლემებია. ობამას მედვედევთან თანამშრომლობის გაგრძელება სურს“.**

მოკლედ: „აიღებს და გადააგდებს, ფუ, გამჭედი გაგიწყდესა!“ — ხომ ასეა, არსენ?

ასეა და ამიტომ გაუგებარია, რატომ იმიამიტებს თავს ქალბატონი გადაბრუნებული ფირფიტა.

საუბარ-საუბარში **„ინტერპრესნიუსის“** ჟურნალისტი და რუსული ზეპირმეტყველების ვარსკვლავი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხსაც მიადგნენ.

**„— თქვენი აზრით,** — ეკითხება ჟურნალისტი იულია ლეონიდოვნას, — **ნატო-რუსეთის დაახლოება როგორ აისახება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარებაზე?**

**— არანაირად არ აისახება. არსებული სტატუსკვო შენარჩუნდება. თუ თქვენ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას გულისხმობთ, უნდა იცოდეთ, რომ ეს არასდროს მოხდება. ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც კოსოვოს სერბეთთან ინტეგრირება. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მატარებელმა, კარგა ხანია, ჩაიარა. უმჯობესია, ამაზე კი არა, სხვა რამეზე იფიქროთ. თუ ქვეყანა ამ საკითხზე იქნება კონცენტრირებული, ბევრს დაკარგავს“.**

ჰა, პატივცემულო მიხეილ? გადაგიჭრათ თქვენი მთავარი პრიორიტეტისკენ მიმავალი ყველა გზა იულია ლეონიდოვნამ? გასცდა თქვენი მატარებელი სადგურ „სოხუმს“ და ტრანსევროპის მაგისტრალის ლამანშისქვეშა გვირაბით ლონდონისკენ მიექანება?

**Машинист, нажми на тормоза!**

მუხრუჭებმა ლატინინასაც უმტყუნა და მისი კომპეტენციის საზიდრის მეხუთე ბორბალი იმ ზღვარს გადასცდა, რომელიც პატიოსან ჟურნალისტს ნასყიდისგან განასხვავებს... ნასყიდობა იქით იყოს, **ლატინინამ, რომელსაც ჩვენ ლიბერალური, ანუ „სხვა“, არა პუტინისეული და „ჩვენი მეგობარი“ რუსეთის სახით წარმოგვიდგენენ, პირდაპირ მოგვახალა — დაივიწყეთ აფხაზეთიო. უფრო მეტიც, მან აფხაზეთი ესტონეთს შეადარა: „რუსები ესტონეთში ყოველთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ რუსების უმრავლესობა ესტონეთში ისევეა ჩასახლებული, როგორც ქართველები აფხაზეთში. როცა მე ამას ესტონეთში მცხოვრებ რუსებზე ვამბობ, მაქვს უფლება, იგივე ვუთხრა აფხაზეთიდან დევნილ ქართველებს“.**

ვითომ?

რუსებზე, რაც გნებავთ, ილაპარაკეთ, ნება თქვენია, იულია ლეონიდოვნა, მაგრამ უმადური საქმეა ჟურნალისტისთვის რესპონდენტობა.

ჩვენი ხელისუფლების ფავორიტმა გულჩითაიმ მოიხსნა „მეგობრობის ჩადრი“ და თავისი ნამდვილი სახე დაგვანახა.

**ბედი არ სწყალობს სააკაშვილს მეგობრების არჩევაში: ბუშსა და კაჩინსკის თავი რომ დავანებოთ, მეთიუ ბრაიზაც ისე გაქრა, როგორც სომალელ მეკობრეთა ჟანგიანი ხომალდი ჰორიზონტს იქით.**

ეს ლატინინაც განუდგა და შერჩა ნოვოდვორსკაია, პოლიტიკური მედუზა. ბათუმში იცის ხოლმე თავის მოყრა ამ ლიპმა არსებებმა, წყალში ვერ ჩახვალ...

აქ იწყება დიდი პაუზა, რომელიც სიტყვამჭევრობაზე მეტყველია, რადგან **უნდა ვივარაუდოთ, რომ „ლიბერალური რუსეთიც“ ისევე ფიქრობს, როგორც მისი რუპორი ლატინინა. რაც მთავარია — უნდა დავრწმუნდეთ, რომ ლიბერალური დასავლეთი ლატინინას პირით გვეუბნება — გურჯებო, დაივიწყეთ აფხაზეთი!**

**არმაზ სანებლიძე**

**„რუსული პასუხი, შესაძლოა, სრულიად არაპროგნოზირებადი იყოს. არ გამოვრიცხავ თბილისში ტანკების გაგზავნასაც“, — განაცხადა ისე მშვიდად და დარწმუნებით, თითქოს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში მუშაობდა ჟუკოვის დროს**

## მოკლედ



### ნატოს სამიტს პრეზიდენტი დაესწრება

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 19 ნოემბერს ლისაბონში დაგეგმილ ნატოს სამიტს დაესწრება.** ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა, მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს სამიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. ლისაბონის სამიტის შემდეგ, დანიშნულია პრეზიდენტის ვიზიტი ბრიუსელში, სადაც მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ პირებს შეხვდება. ბრიუსელში ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ამასთან, როგორც ცნობილია, ლისაბონის სამიტს დაესწრება რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც. ამის შესახებ მედვედევმა ქალაქ დოვილში 19 ოქტომბერს განაცხადა.



### რა არის მესამე არხი?

**დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ზრდის მიზეზების ახსნა აბსოლუტურად უშედეგოდ მოითხოვა.** ცაგარეიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტზე ისაუბრა და დაინტერესდა, რა მიზნით ეზრდება საზოგადოებრივ მაუწყებელს დაფინასება 13.3 მილიონი ლარით. მისი თქმით, გაუგებარია ასეთი თანხების გამოყოფა მაუწყებლის მე-3 არხისთვის მაშინ, როდესაც მე-2 არხის უხარისხოდ მაუწყებლობის მიზეზად უფინანსობა სახელდება. ცალკე საკითხია, რა იგულისხმება საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-3 არხში, ცაგარეიშვილმა ამის გარკვევა კი სცადა, მაგრამ უშედეგოდ — უმრავლესობის წევრებიდან ახსნა-განმარტებებით თავი არავის შეუწუხებია.



### მკვდარი სენატორი კალიფორნიისთვის

**კალიფორნიაში შუალედური არჩევნების დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ სენატში გარდაცვლილმა კანდიდატმა ჯენი ოროპეზამ გაიმარჯვა. გარდაცვლილი ქალბატონი დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მან დაამარცხა მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი ჯონ სტამრაიხი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 36% დააგროვა.** ახლა დამატებითი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რათა გაირკვეს, თუ ვინ დაიკავებს გარდაცვლილი კანდიდატის ადგილს. რესპუბლიკელებმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს და აღნიშნეს, რომ დამატებითი არჩევნები შტატს დამატებითი თანხა დაუჯდება. 53 წლის ჯენი ოროპეზა 20 ოქტომბერს გარდაიცვალა, იმ დროისთვის შტატის სენატორთა კანდიდატების სიიდან მისი სახელის ამოღება დაგვიანებული იყო. გარდაცვლილს ღვიძლის კიბო ჰქონდა.



### ყველაზე გავლენიანი ადამიანები

**ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა „ფორბსმა“ პლანეტის ყველაზე გავლენიან ადამიანთა სია გამოაქვეყნა. ამ სიაში საპატიო პირველი ადგილი და პლანეტის ყველაზე გავლენიანი ადამიანის ტიტული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერს — ხუ ძინტაოს ერგო,** მეორე ადგილი აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას ხვდა წილად, ხოლო მესამეზე საუდის არაბეთის მეფე აბდალა ბინ აბდელ აზიზია. რუსეთის ფედერაციის პრემიერი ვლადიმერ პუტინი „ფორბსის“ რეიტინგში მეოთხეა. ათეულში მოხვდნენ რომის პაპი ბენედიქტ მე-16, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ბრიტანეთის პრემიერი დევიდ ქემერონი, აშშ-ის სარეზერვო სისტემის მეთაური ბენ ბერნანკე, ინდოეთის მმართველი პარტიის ლიდერი სონია განდი და „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეიტსი.

# ჯიმი, აილე გიტარა!

**მიხეილ სააკაშვილი პროფესიული განათლების ცენტრ „სპექტრს“ ესტუმრა და შემდუღებლად წამუშავება სცადა. ეკრანზე ჩანდა, რომ, როდესაც სააკაშვილი შემდუღებელ აპარატს სწვდა, მისი ამალა ერთობ დაიძაბა. ისე, თუ ათას რესპონდენტს ერთსა და იმავე კითხვას დავუსვამთ: რა გირჩევნიათ, თქვენს სიახლოვეს ახალგაზრდა ორანგუტანგი ხელყუმბარით თამაშობდეს თუ მიხეილ სააკაშვილი შემდუღებელ აპარატს იქნევდეს, ვშიშობ, გამოკითხვის შედეგი ფრიად არაერთგვაროვანი და მოულოდნელი იქნება.**




სააკაშვილს აპარატი ისე ეკავა, როგორც ადამიანს, რომელიც ხელში პირველად იღებს პისტოლეტს, პანიკურად ეშინია მისი და ინსტინქტურად ცდილობს, სახისგან მაქსიმალურად შორს გაწიოს, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და შესაბამისი განცხადებაც გაკეთდა: **„ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, რადგან ცალკე აღებული რეიტინგები (იგულისხმება „№1 რეფორმატორი ქვეყანა“) ასფალტები, ბულდოზერებისა და ტრაქტორის მუხლუხოები არ იჭმება. საბოლოო ჯამში იჭმევა მხოლოდ ის, რაც ადამიანებს ოჯახებში მიაქვთ“.** „ცალკე აღებულ რეიტინგებში“, ცოტა არ იყოს, მოვიკოჭლებთ, წელს საქართველომ, ახლახან გამოქვეყნებულ გაეროს ადამიანთა განვითარების ინდექსში 169 ქვეყანას შორის 74-ე ადგილი დაიკავა. შედარებისთვის: 1998 წელს 174 ქვეყანას შორის 70-ე პოზიციას ვიკავებდით. **რაც შეეხება რეფორმებს და კარგ პირობებს ინვესტორებისთვის, ის შეიძლება შევადაროთ სომალის შესანიშნავ, თვალწარმტაც პლაჟებს, სადაც დასასვენებლად არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ ჩადის.**

რა არ აუღია ხელში მიხეილ სააკაშვილს მმართველობის წლებში, ჰალსტუხიდან დაწყებული და შემდუღებელი აპარატით დამთავრებული, მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ აქვს. ის ჯერ ინდურ კინოში არ გადაუღიათ, არადა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა: **„ბოლო წლების განმავლობაში ბოლივუდში ძალიან პოპულარულია, თავიანთი ფილმები ქვეყნის გარეთ გადაიღონ. ჩვენ დავუკავშირდით ბოლივუდის ყველაზე დიდ პროდიუსერულ კომპანიებს და შევთავაზეთ, საქართველოში გადაიღონ ფილმი“; წარმოიდგინეთ, რა პერსპექტივები იშლება, ისეთი უდავოდ ნიჭიერი ადამიანისთვის, როგორიც მიხეილ სააკაშვილი გახლავთ.** ნურავინ იტყვის, რომ ინდურ ფილმში გადაღება მის სტატუსს არ შეესაბამება, თუ მას შეესაბამება ყბადაღებული ბანაობა ბათუმში (მისი გახსენება ნერვულ ადამიანებს დღემდე ზარავს. ასე რომ, დეტალებს ნუ შევეხებით), ესე იგი შეესაბამება ყველაფერი დანარჩენი.

**ჯიმი, აილე გიტარა! ჯიმი, აილე გიტარა და იმღერე!**

მაგარი ფილმი იყო „დისკოს მოცეკვავე“, ვერაფერს ვიტყვით, თუმცა, ალბათ, მისი რიმეიკის გადაღების დროც მოვიდა, ვინ თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი მითხუნ ჩაკრაბორტის რაიმეთი ჩამოუვარდება, სახელებიც კი უგავთ (გვარის გადაკეთება, რო რამე, შეიძლება), ინდოელი მაყურებელი ვერც კი მიხვდება, რომ ერთი მითხუნა მეორეთი ჩაანაცვლეს.

როდესაც უცხოელი ინვესტორები და ტურისტები ამ სურათს იხილავენ, გვერწმუნეთ, ქალბატონო ვერა, ყველა საქართველოსკენ გამოექანება, როგორც მწყურვალი ინდური სპილოების ჯოგი — მდინარე განგის ნაპირისკენ; თანაც, **ქალბატონო ვერა, ჩვენ ძალიან გვინდა, ვიხილოთ ბატონი მიხეილი დიდ ეკრანზე. იმედია, ამ ფილმში მონაწილეობას თქვენც მიიღებთ, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი — ნიკა გილაურით დაწყებული და კობა ხაბაზით დამთავრებული. ოპოზიციასაც გათხოვებთ, რო რამე, ავიღოთ იგივე გუბაზ სანიკიძე, ძია რაჯუს როლზეც წავა, ობეროის როლზეც წავა, ომ შივპური რომ თამაშობდა (ჩალმიანი კაცი რომ იყო, სულ რომ ბურტყუნებდა და საწყალ მიშას, უკაცრავად, მითხუნს, იგივე ჯიმის, ერჩოდა რაღაცას) და, უკიდურეს შემთხვევაში, სპილოს როლზეც წავა, მესამე სცენის მეცხრე კადრში რომ იყო უკანა პლანზე. ისე, „გრეჩიხაც“ მაგარი ძია რაჯუ იქნებოდა, თანაც მოდერნიზებული, ჩაქუჩით ხელში.**

წარმოიდგინეთ, ქალბატონო ვერა, რა ლამაზი იქნება ეს დიდ ეკრანზე, ინდურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ჩვენს ხელისუფლებას წინ მიუძღვის თეთრ სპილოზე ამხედრებული მთავარი გმირი გიტარით ხელში. ის მღერის და ყველა ცეკვავს; Jimmy, Jimmy! Adja, adja! (სრული ტექსტი ინტერნეტშია).

**საქართველო ამით უდავოდ დიდ მოგებას ნახავს. შემდეგ კი, ალბათ, მათ სრული შემადგენლობით ინდოეთში, ბოლივუდში, დაპატიჟებენ და ახალ ფილმებში გადაღებას შესთავაზებენ. ისინი წავლენ, ჩვენ კი დავრჩებით.**

**დიმიტრი მონიავა**

## გაფრიზებულნი



**თეიმურაზ შაშიაშვილი, „თეთრი მოძრაობის“ ლიდერი:**

დღეს ვინც ეჩურჩულება ამერიკელებს ოპოზიციიდან, უკვე კარგად ჩანს. ამერიკელები მაგათ ეუბნებიან, — თქვენ არ შეუერთდეთ ამ საპროტესტო აქციებს და გაზაფხულზე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს რომ ჩაატარებს სააკაშვილი, პარლამენტში 4-5 ადგილს მოგცემთო! სააკაშვილს შემოდგომა და ზამთარი არ ელოდება ისეთი, რა ამბავიც გაზაფხულზე შეიძლება მოხდეს.

*„კვირის ქრონიკა“*



**შალვა ხაჭაპურიძე, პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:**

ოფისის წინ, სადარბაზოს შემოსასვლელთან ახლოს, რატომღაც ბიოტუალეტი დაგვიდგეს, რომელიც მუდამ ჩაკეტილია. ვინ არის ამ ბიოტუალეტში მთელი ამ ხნის განმავლობაში, არ ვიცი. ეს ყველაფერი მაგონებს იმ დროს, როდესაც ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბთან მოათრიეს ძველთაძველი „მარშრუტკა“ და, სანამ ბადრი არ მოკლეს, მანამ ის „მარშრუტკა“ იქ ეგდო.

*„კვირის ქრონიკა“*



**პაატა ზაქარეიშვილი, პოლიტოლოგი:**

უნდა ვიცოდეთ, რომ იქ, სადაც პოლიციაა, ხელისუფლების საყრდენი, სახელმწიფო არ არსებობს.

*„ახალი თაობა“*



**ვახტანგ ინასარიძე, 2009 წლის 7 ნოემბერს დაზარალებული:**

ამ ზაფხულს ჰააგიდან თბილისში ჩამოვიდნენ პროკურორები, რომლებსაც კონფიდენციურად შევხვდით და ვესაუბრეთ. 7 ნოემბერს დაზარალებულების საქმეები ამიერიდან ჰააგის სასამართლოს დაექვემდებარება. საქმეს სტრასბურგი განიხილავს, შემდეგ კი მასზე ზედამხედველობა და დაკვირვება ჰააგის კომპეტენცია იქნება.

*„ყველა სიახლე“*



**კოკა ლაბარტყავა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელი:**

ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ექსპერტების მონაცემებით, საქართველოში ნარკოტიკების 40 ათასი პრობლემური მომხმარებელია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკით კი, ჩვენთან 250 ათასიდან 350 ათასამდე ნარკოტიკების მომხმარებელია და მათ შორის — 80 ათასი პრობლემური მომხმარებელი.

*„ყველა სიახლე“*

## მოკლედ



### ხელისუფლების ანგარიშსწორება

**„ქართული პარტიის“ ლიდერები პეკინის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღით კობა იობაშვილისა და მისი მეუღლის — ანა კიკნაძის დაჭრის ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.** როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა განაცხადა, დაზარალებულები პარტიის წევრის — ამირან იობაშვილის ოჯახის წევრები არიან და მომხდარიც სავალუტო ჯიხურის დაყაჩაღებას არ უკავშირდება. „ხელისუფლება მსგავსი მეთოდებით განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირებისთვის ანგარიშსწორებას ცდილობს, მაგრამ, თუ ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებას მსგავსი მეთოდებით კვლავ გააგრძელებს, მათი აღსასრული უახლოეს პერიოდში გარდაუვალი იქნება“, — განაცხადა სუბარმა.



### ექიმებს დააპატიმრებენ

**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — სოსო შატბერაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ქრთამის აღების ბრალდებით 150 ცნობილი ექიმის დაპატიმრებას აპირებს.**

„სახელმწიფოს 150-კაციანი ცნობილი ექიმების შავი სია აქვს შედგენილი, რომლებსაც მექრთამეობის ბრალდებით დაპატიმრება ემუქრებათ. ეს ყველაფერი კი იმისკენაა მიმართული, რომ მთავრობას „100 საავადმყოფოს პროექტი“, რომელიც „Block Georgia“-ს უნდა განეხორციელებინა, ჩაუვარდა“, — განაცხადა შატბერაშვილმა და შემდეგ საავადმყოფოების პრივატიზების თემაზე გადავიდა. მისი თქმით, გულიკო ჩაფიძის სახელობის კლინიკის მსგავსად ხელისუფლება სხვა საავადმყოფოების გაყიდვასაც გეგმავს.



### გადავდივართ სპარსულზე

**საქართველოში სპარსული ენის, ირანის კულტურისა და ისტორიის შესწავლა გაღრმავდება. აღნიშნულ შეთანხმებას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეჰრ მოთაქმა ბათუმში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს.** საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ირანის მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელობა. საქართველოს პრეზიდენტმა ირანის ბირთვული პროგრამის პრობლემატიკასთან დაკავშირებით 5+1 ფორმატში მოლაპარაკებების განახლების საკითხსაც გაუსვა ხაზი. დასასრულს, პრეზიდენტმა ირანელი ქალის — საკინე მოჰამადი აშთიანის მოსალოდნელ სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა.



### ფლეთჩერი ქართულ მედიას უჩივის

**ბრიტანელი ინგლისური ენის პედაგოგი თომას ფლეთჩერი ქართული საინფორმაციო საშუალებების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.** ქართულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ფლეთჩერის ფოტოები, რომელიც მის პირად გვერდზე „ფეისბუქში“ იყო განთავსებული და მის ჰომოსექსუალურ ცხოვრებას ასახავდა. „ეს ფოტოები ფალსიფიცირებულია, ფაქტია, რომ თომას ფლეთჩერი ჰომოსექსუალად მონათლეს. უცხოელი პედაგოგები დეზინფორმაციის გავრცელების გამო სასამართლოში ჩივილს აპირებენ. სამწუხაროდ, ქვეყანაში არის ხალხი, რომელიც მზადაა, ყველაფერი ჭუჭყში ამოსვაროს, ეს ძალიან ცუდია“, — განაცხადა განათლების მინისტრმა შაშკინმა, რომელმაც პირადად მოუხადა ბოდიში ფლეთჩერს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ექიმ ლილუს ომი

**კარგადაა ცნობილი, რომ ნებისმიერი ომი ადრე თუ გვიან მთავრდება. მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს. არაერთი წელიწადია, ვაზიანში სამხედრო პოლიგონის აკრძალვის მიზნით, ომი აქვს გამართული ექიმ გიორგი ლილუაშვილს. იბრძვის იმიტომ, რომ აქაურობა ფრიად საშიშია სამხედრო მოსამსახურეებისა და ადგილობრივ მცხოვრებთათვის, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის ვერ მიუღწევია.**



## გიორგი ლილუაშვილი: ნაწილში ჩემი მისვლის პირველი დღეებიდანვე ჯარისკაცებს ჩემთან მოჰქონდათ ე.წ. სასმელი წყლით სავსე ბოთლები, რომლებშიც ცურავდნენ მუცელგაბერილი ჭიები

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი ლილუაშვილი პირველ მექანიზებულ ბრიგადაში გაანაწილეს, რომელიც სოფელ ვაზიანშია განლაგებული. ახალგაზრდა ექიმი საარტილერიო დივიზიონის სამედიცინო სამსახურის უფროსად დანიშნეს.

დანიშნულების ადგილზე გამგზავრების წინ გიორგი ინსტრუქტაჟისთვის თავისთან გამოიძახა ფაკულტეტის უფროსმა, პროფესორმა ზურაბ კაცაძემ. პროფესორს რაღაც ჰქონდა სათქმელი თავისი აღზრდილისთვის. მისეული გზის დალოცვა ფრიად საგანგაშო ინფორმაციას შეიცავდა, რომელიც **მედიცინის ახალწვეულს უნდა სცოდნოდა პირად შემადგენლობასთან მუშაობის დროს. დამრიგებლის გაფრთხილება საფუძვლიანი იყო: სწორედ ვაზიანში, თადარიგში გასვლამდე, საბჭოთა ჯარების დივიზიის სანიტარული ასეულის უფროსად მსახურობდა ზურაბ კაცაძე.**

ერთი სიტყვით, ბრიგადაში გამგზავრების წინ სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი გიორგი ლილუაშვილი შესანიშნავად იყო გათვითცნობიერებული იმაში, რომ **სამხედრო ნაწილის ტერიტორიის მიმდებარე პოლიგონი გაძლიერებული საშიშროების ზონაში იყო მოქცეული, საბჭოთა პერიოდში თითქმის მთელი აქაური დივიზია კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებებით იყო დასნეულებული, რაც შემდგომში ბოტკინის დაავადების ეპიდემიად ჩამოყალიბდა. ამის გამო გასული საუკუნის 80-იან წლებში დივიზიაში კარანტინი გამოცხადდა.**

ტერიტორია, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინათ დაავადდა. ამ დასკვნას ადასტურებს მიტოვებული სასაფლაო, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს მარხავდნენ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ადგილობრივ ევაკოჰოსპიტალში ინფექციური დაავადებებისგან იხოცებოდნენ. ეს ყველაფერი იცოდა გიორგიმ, როცა შეუდგა საქმიანობას თავის პირველ სამუშაო ადგილზე, რომელიც, სამწუხაროდ, ერთადერთი აღმოჩნდა მის სამსახურებრივ კარიერაში; ყოველ შემთხვევაში, — დღემდე.

სამუშაო ადგილზე ჩასულ ახალგაზრდა ექიმს დიდად არ გასჭირვებია იმ ადგილების ძირითადი ბაქტერიოლოგიური დაბინძურების მიზეზის დადგენა.

ეს იყო ადგილობრივი წყალი.

**გიორგი ლილუაშვილი:** საქმე ის არის, რომ ბრიგადა წყლით მარაგდებოდა ადგილობრივი მცირე წყალსაცავიდან, რომელსაც საბჭოთა დივიზიის ზურგის მუშაკები უხვად აზავებდნენ ქლორით. მას შემდეგ, რაც დივიზია უპრობლემოდ წავიდა აქედან, რაც, ჩემი აზრით, არა მარტო პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული, არამედ აქაური მიწის პრობლემურობითაც, ყველაფერი თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდა. აი, ასეთ ადგილზე განთავსდა ჩვენი ბრიგადა.

ნაწილში ჩემი მისვლის პირველი დღეებიდანვე ჯარისკაცებს ჩემთან მოჰქონდათ ე.წ. სასმელი წყლით სავსე ბოთლები, რომლებშიც ცურავდნენ მუცელგაბერილი ჭიები. ბუნებრივია, რომ მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ამის თაობაზე მომეხსენებინა უფროსობისთვის.

მაგრამ ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყვა. უფრო მეტიც, ბრიგადის უფროსმა, პოლკოვნიკმა ნაჭყებიანმა ლილუაშვილს მკაცრად უსაყვედურა: არ შეჰფერისო ოფიცერს ჭუჭყის, ანუ ჭიების სახლიდან გარეთ გატანაო.

მაგრამ გიორგი მტკიცე და სამართლიანი ხასიათის კაცი აღმოჩნდა. თავის უპირველეს მოვალეობად ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე ზრუნვა მიაჩნდა და უფროსის „ჭკვიანურ“ დარიგებას არ დაჰყვა. პირიქით, ონკანებზე ბინტის პატარა ტომსიკები მიამაგრებინა, რომლებიც მალევე გაივსო პატარ-პატარა ჭიებით.

**და როცა ხელმძღვანელობამ ამჯერადაც გაჩუმება ამჯობინა, გიორგი იძულებული გახდა, საგანგაშო პატაკებით „დაებომბა“ თავდაცვის სამინისტრო.**

ეტყობა, მიზანში მოარტყა, რადგან იქიდან ბოლოს და ბოლოს კომისია გამოგზავნეს. თუმცა ეს **ეგრეთ წოდებული კომისია უცნაურად მოიქცა. საქმის არსში რომ არ გარკვეულა, ისე დაუჭირა მხარი სარდლობას: „წყალი სუფთაა, დალევა შეიძლება!“ — ასეთი იყო მისი საბოლოო ვერდიქტი.**

ასეთ ცრუ და სამარცხვინო დასკვნას ექიმი, ცხადია, ვერ დაეთანხმებოდა. და **სწორედ აქედან იღებს სათავეს უთანასწორო ომი, რომელიც მან სარდლობას გამოუცხადა და რომელსაც ბოლო არ უჩანს.**

სიმართლის მაძიებლის შემდეგი ნაბიჯი თბილისის ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიაში მისვლა იყო, სადაც თავის კოლეგებთან ერთად, რომელთაც სინდისი და პატიოსნება არ დაეკარგათ, ის წყალი გამოსაკვლევად მიიტანა. ლაბორატორიის თანამშრომლები უაღრესად გაჰკვირდნენ: სულ ახლახან თქვენგან წყალი მოიტანეს! ისეთი სუფთა და ანკარაა, ნეტავი სახლშიც ასეთი მოგვცაო...

როგორ მოგწონთ?!

მალევე გაირკვა, რომ **სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ დაასწრო ექიმებს და ექსპერტიზაზე ბორჯომის წყაროს წყალი მიიტანა.**



 აი აქ, ჩვენს ისტორიაში გამოჩნდება კეთილი ადამიანი თავდაცვის უწყების სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელის დოდო თურქოშვილის სახით. ვაზიანელი მეთაურების კადნიერი საქციელის შესახებ რომ შეიტყო, ბრიგადაში სპეციალური ჯგუფი გააგზავნა იქაურ სიტუაციაში გასარკვევად. მაგრამ ჯგუფი ნაწილში არ შეუშვეს. სავარაუდოა, რომ **მეთაურ ნაჭყებიანს საამისო სანქცია ჰქონდა ზემდგომი ინსტანციიდან, უთუოდ თვით გიორგი ბარამიძისგან, რომელიც მაშინ** ▶

**სამხედრო ნაწილის ექიმი გიორგი ლილუაშვილი, როგორც სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გაამწესეს და, ამავე დროს, დაკავებული თანამდებობისადმი სრული შეუსაბამობის მოტივით სამსახურიდან დაითხოვეს!**

## მოკლედ



### აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში მარცხი ელის

**აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკური კურსი სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში უახლოეს მომავალში მარცხს განიცდის, — ამის შესახებ ამერიკელმა ექსპერტმა, პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მკვლევარმა არიელ კოენმა განაცხადა.** ექსპერტის თქმით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ მოახერხა პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების აღსადგენად და მთიანი ყარაბახის პრობლემის მოსაგვარებლად. აშშ-ის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაშიც მძიმე კრიზისშია. არადა, მისივე თქმით, აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს, რომელიც ირანს, ენერგეტიკის სფეროს, ავღანეთში ტრანზიტს, ბაზრებისა და დემოკრატიის განვითარებას უკავშირდება.



### პრეზიდენტი ციხეებს ხსნის

**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში ქალთა ახალი №5 დაწესებულება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძესთან ერთად გახსნა.** ციხე, ცხადია, ევროპული სტანდარტებისაა. სააკაშვილმა მანამდე არ მოისვენა, სანამ საკუთარი თვალით არ ნახა, რომ კოლონიის შენობა, კომპლექსის ძირითადი კორპუსი 55-ადგილიანი სამედიცინო ნაწილით, საპროცედურო ოთახები, აფთიაქი, სხვადასხვა პროფილის ლაბორატორია, დედათა და ბავშვთა ოთახი, სასეირნო ეზო და სკვერი ამ სტანდარტს რომ აკმაყოფილებს. სააკაშვილმა, ტრადიციულად, კოლონიის სასადილოს მენიუც გასინჯა და დაასკვნა, რომ დრეს „ასე, შესაძლოა, საქართველოში ბევრი ოჯახი ვერ იკვებება“.



### რატომ აჭმევს სააკაშვილი პატიმრებს

**ქალთა კოლონიის გახსნისას იქ გასინჯული კერძები პრეზიდენტს ისე მოეწონა, რომ თავისთავად გაუჩნდა კითხვა, „სამართლიანია თუ არა, რომ ვიღაც ადამიანი, რომელმაც სხვისი შვილი გააუპატიურა ან ნარკოტიკებზე შესვა მთელი უბანი, სოფელი, რაიონი, სახელმწიფოს ხარჯზე უნდა იჯდეს აქ და ასე იკვებებოდეს?“.** მერე ამ კითხვას თავადვე უპასუხა და შეძლებისდაგვარად თავი იმართლა: „საზოგადოებამ უნდა სცეს თავის თავს პატივი. ის, რაც განასხვავებს ჩვენს ქვეყანას პოსტსაბჭოთა პერიოდისგან, ყველაზე უფრო დაუმსახურებელი ხალხისთვის პირობების შექმნაა“. სამწუხაროდ, პრეზიდენტს არც ამჯერად უთქვამს, როდის მოიცლის დამსახურებული ხალხისთვის „პირობების“ შესაქმნელად.



### შესაჯვარებელი ოპოზიცია

**ქართული აკადემიისა და რვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ „საარჩევნო გარემოს შეცვლა ამ ხელისუფლების წასვლას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ოპოზიციურმა რვიანმა აქტიურად უნდა იმოქმედოს“.**

მისივე თქმით, საქართველოში ორი ოპოზიციური ფრთა არსებობს — რვიანი და ოპოზიციის რადიკალური ნაწილი. მათი შეჯვარების გარეშე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. გარდა ამისა, ოპოზიცია შეჯვარებამდეც ზერელედ მოქმედებს და შესაბამისი შედეგიც სახეზეა. რაც შეეხება ქართულ აკადემიას, მის წევრებს რვიანის მოქმედებათა მაკონტროლებელი საბჭოს შექმნა სურთ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ვაზიანში მიწა არა მარტო დაბინძურებულია, არამედ მაღალ რადიაციულ ფონსაც შეიცავს. ამიტომ მინისტრ გიორგი ბარამიძის პოზიცია ქვეყნის ინტერესების ღალატის ტოლფასია!

**◀ სათავეში ედგა თავდაცვის სამინისტროს!** დაუჯერებელია, რადგან ბარამიძე პოლიტიკაში „მწვანეთა“ მოძრაობიდან მოვიდა. ვინ, თუ არა მან, შესანიშნავად იცოდა, რომ **ვაზიანში მიწა არა მარტო დაბინძურებულია, არამედ მაღალ რადიაციულ ფონსაც შეიცავს. და რომ სწორედ „მწვანეთა“ მოთხოვნით, აქ ჩამარხეს ჩერნობილის კატასტროფის რაიონიდან საქართველოში შემოტანილი დიდი რაოდენობით დაბინძურებული ხორცი!** ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **მინისტრის მიერ დაკავებული პოზიცია ქვეყნის ინტერესების ღალატის ტოლფასია.** საქმე ეხება არა მარტო სამშობლოს ახალგაზრდა დამცველების ჯანმრთელობას, არამედ ვაზიანში და მის შემოგარენში მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობასაც. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი მავნე ვირუსების პოტენციური მატარებელია, რაც ქვეყანაში მასობრივი ეპიდემიის მიზეზი შეიძლება გახდეს.

**საქმის არსში გიორგი ლილუაშვილი** უკეთ გაგვარკვევს:

**— და ვერავის მიაწვდინეთ ხმა, ბატონო გიორგი?**

— ნუ მკითხავთ! ბრიგადის მეთაურის პოსტზე ნაჭყებიანის შემცვლელების პერიოდში შეეცადნენ წყლის მიწოდებას თბილისიდან მილებით. ფრიად სერიოზული თანხაც გამოიყო. მაგრამ სამუშაო ზერელედ ჩატარდა, სახელდახელოდ, მილსადენების საჭირო და აუცილებელი იზოლაციის გარეშე. შედეგად აქაურმა მლაშობმა ნიადაგმა მალევე დაჟანგა მილები, გაცრიცა მათი კედლები და ქალაქიდან მომდინარე წყალი მავნე ნივთიერებებით გაჯერდა.

**— გამოდის, რომ ურემი კვლავ ლაფშია ჩაფლული?**

— ასე გამოდის. ყველა შემთხვევაში, ინფექციის ახალი ტალღის საშიშროება კვლავ ძალაში რჩება. სამაგიეროდ ხელისუფლება წარმატებით გამისწორდა. თავიდან მომიცილა მეც და ჩემი სამართლიანი შენიშვნებიც. თანაც ეს ყველაფერი ფრიად საინტერესოდ მოაწყეს — ტრაგიკომედიის ჟანრის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით! **„გამოუსწორებელი ცილისმწამებელი“ რაც შეიძლება სწრაფად თავიდან რომ მოეცილებინათ, გადაწყვიტეს მე, როგორც სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი** (როგორ მოგწონთ ასეთი ცინიზმი?!) **ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გამამწესეს!** მანამდე კი ჩვენს სამხედრო აკადემიაში უნდა გამევლო ინგლისური ენის კურსები. სანამ შექსპირის ენის ათვისებით ვიყავი დაკავებული, **ბრიგადაში მოასწრეს სხვა ბრძანების გამოცხობა — დაკავებული თანამდებობისადმი ჩემი სრული შეუსაბამობის შესახებ, რამაც მთლიანად გამორიცხა პირველი.** მოკლედ, **შეერთებულ შტატებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამგზავრების ნაცვლად, ქუჩაში გამომაგდეს.** მაგრამ ესეც არ მაკმარეს: როცა ჩემი გათავისუფლების ბრძანების ნახვა მოვინდომე, ერთბაშად მისი სამი ვარიანტი წარმომიდგინეს:

ა) სამსახურებრივი შეუსაბამობა;

ბ) ოფიცრის შემარცხვენელი საძრახი საქციელის გამო;

გ) ჯარებში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად და კადრების შემცირებასთან დაკავშირებით.

ამით თითქოს მიმანიშნეს (თანაც დამამცირებელი ფორმით): აირჩიე, ამ ბრძანებებიდან რომელი უფრო გეხატება გულზეო.

მე კი სამართლიანობით ვიყავი დაინტერესებული. ამიტომ, საკითხის გარკვევის მიზნით, გავაგზავნე შეკითხვა თავდაცვის სამინისტროში. პასუხი ფრიად უცნაური მივიღე: „სამხედრო უწყებაში შტატების შემცირება არ ტარდება. პირიქით — არის ვაკანსიები“. გავიქეცი კადრებში, მაგრამ იქაც „ყრუ კედელს“ წავაწყდი: ვერ დაგეხმარებით, მიმართეთ სასამართლოს. სასამართლომ, რაგინდ უცნაურად მოგეჩვენოთ, მე დამიჭირა მხარი. ბრძანება ჩემი გათავისუფლების შესახებ გაუქმდა.

**მაგრამ სიმართლის მაძიებლის სიხარული ნაადრევი გამოდგა. თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც ამჟამად საფრანგეთსაა შეფარებული, თავს უფლება მისცა, შეესწორებინა სასამართლოს დადგენილება. მისი შესწორების მიხედვით გამოდიოდა, რომ ჩემი გათავისუფლება იყო კანონიერი, ე.ი. სამართლიანი!**

გიორგი ლილუაშვილს კვლავ დაუდგა ახალი სასამართლო დავების უსიხარულო პერიოდი. **მოსამართლეებს თითქოს თვალები აეხილათ და ერთხმად იწყეს იმის მტკიცება, რომ ოქრუაშვილის ქმედებაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია. საქმე დამთავრდა იმით, რომ ჯარიდან მისი პირველი დათხოვნისა და მთელი ამ ჯახირის მეორე წლისთავზე ექიმი ლილუ, როგორც მას თანამშრომლები ეძახდნენ, მეორედ დაითხოვეს.** ვაღიაროთ, რომ ასეთი პატივი ცოტა ვინმეს თუ ღირსებია.

მას შემდეგ ეჭვი ღრღნის გიორგი ლილუაშვილს — ცხოვრობს კი იგი იმ ქვეყანაში, რომელზეც ჩვენს „ტელეყუთებში“ დილიდან ღამემდე ლაყბობენ, როგორც „დემოკრატიისა და თავისუფლების შუქურაზე“?

ნუ ჩქარობთ, წერტილის დასმა ჯერ ადრეა.

**2008 წლის სამხედრო კამპანიის დროს, ქვეყნისთვის მძიმე დღეებში, ექიმმა ლილუმ კვლავ სცადა სამსახურში დაბრუნება. მისთვის მოულოდნელად ეს მცდელობა შედეგიანი გამოდგა.** იმ დღეებში სასწრაფოდ ყალიბდებოდა სამხედრო-საველე ჰოსპიტალი, რომლის რიგებშიც გაიწვიეს ლილუაშვილი და მანაც ჩვეული პასუხისმგებლობით შეასრულა თავისი პროფესიული მოვალეობა. **ომის დამთავრების შემდეგ კი ყველაფერი უწინდელ კალაპოტში ჩადგა. ექიმი ლილუ კვლავ ჩაითრია მღვრიე ფიქრების მორევმა: გაწვევით კი გაიწვიეს, მაგრამ რომელ თანამდებობაზე დანიშნეს, დღემდე არ იცის...** არც ჰოსპიტლიდან გათავისუფლების ბრძანება მიუღია (ან რატომ უნდა გაეგდოთ?!), მაგრამ ხელფასს რატომ არ აძლევენ?

მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც პოლიგონია.

ამ მძიმე ფიქრებში უნებურად გახსენდება ეპიზოდი, როცა **ასობით ჩვენს „შინნახად კომანდოსს“ სამედიცინო შემოწმების დროს აღმოაჩნდა „ქლამიდიუსი“ — ინვალიდობის, იმპოტენციის, უშვილობის, სიბრმავის გამომწვევი მიკრობები.** ბიჭებმა მაშინ კომპენსაცია მოითხოვეს, რადგან მთელი ხელფასი მკურნალობაზე ეხარჯებოდათ! **მიაფუჩეჩეს ეს ამბავი, არ გაახმაურეს, როგორც ყველაფერი ის, რაც „სასიხარულო აღმასვლის“ კალაპოტს ვერ ესადაგება.**

და მაინც: ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს ამაზე?! ეშმაკსაც წაუღია პოლიგონი, ადამიანებია მისახედი! **ახლა მთელი იმედი სტრასბურგზეა, სადაც ყველა საჭირო საბუთი გააგზავნა სამხედრო ექიმმა, მედიცინის უფროსმა ლეიტენანტმა გიორგი ლილუაშვილმა,** რომელიც დღეს იძულებულია, აქტიურ უსაქმურობაში მოკლას დრო. წლები კი გადის, საუკეთესო წლები...

**გივი ბაქრაძე,**
**სპეციალურად საქინფორმისთვის**

## ასობით ჩვენს «შინნახად კომანდოსს» სამედიცინო შემოწმების დროს აღმოაჩნდა «ქლამიდიუსი» — ინვალიდობის, იმპოტენციის, უშვილობის, სიბრმავის გამომწვევი მიკრობები



## თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც ამჟამად საფრანგეთსაა შეფარებული, თავს უფლება მისცა, შეესწორებინა სასამართლოს დადგენილება

# მოკლედ



## პენტაგონი იემენს დახმარებას უზრდის

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს, რომ იემენს 2011 წლისათვის სამხედრო დახმარება 250 მილიონ დოლარამდე გაეზარდოს. 2010 წელს აშშ იემენს 155 მილიონი დოლარით დაეხმარა — ამ თანხის შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა და იარაღი მიაწოდა.** ჯერჯერობით უცნობია, რა თანხის დახმარებას მიიღებს იემენი წელს. საერთო ჯამში უცხოეთის ქვეყნებისთვის სამხედრო დახმარების ბიუჯეტს პენტაგონი წლევანდელი 350-დან 500 მილიონამდე გაზრდის. იემენმა შარშან ამერიკისგან სულ 300 მილიონი მიიღო, აქედან 150 მილიონი ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროექტებს მოხმარდა. ახლა პენტაგონს იემენისთვის დაფინანსების გაზრდა, ცხადია, ტერორიზმთან, კერძოდ ალ ქაიდასთან, ბრძოლის გასაძლიერებლად სჭირდება.



## ხელოვნური სუნთქვა ეკონომიკისთვის

**აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომიკის სტიმულირებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ანონსს აქვეყნებს. ის ბაზრიდან 600 მილიარდი დოლარის ღირებულების გრძელვადიანი სახელმწიფო ობლიგაციების გამოსყიდვას აპირებს.** ფედერალურ სარეზერვო სისტემაში თვლიან, რომ შრომის ბაზარზე სავალე ქაღალდებში ინვესტირება იპოთეკური კრედიტების გაიაფებასა და ამერიკელთა სამომხმარებლო აქტივობის ზრდას განაპირობებს. მაგრამ ამავე ორგანიზაციის განცხადებით, ამ ეტაპზე ეკონომიკის აღდგენის ტემპები ძალზე დაბალია — შრომისა და უძრავი ქონების ბირჟები კვლავაც პასიურია, ამერიკელები იმაზე ბევრად ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე ეკონომისტები ელოდნენ.



## მინუს ათი გუბერნატორი

**რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა 37-დან 25 შტატში გუბერნატორების არჩევნები მოიგეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათ შტატში — პენსილვანიაში, ოჰაიოში, მიჩიგანში, ვისკონსინში, აიოვაში, ტენესში, კანზასში, ოკლაჰომაში, ნიუ-მექსიკოსა და ვაიომინგში გუბერნატორების სავარძლები დემოკრატებს წაართვეს.** გარდა ამისა, ნიუ-მექსიკოში არჩევნები სიუზან მარტინეზმა მოიგო და ამ შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე პირველ ლათინოამერიკელად იქცა. სამხრეთ კაროლინაში ინდური ფესვების მქონე რესპუბლიკელმა ნიკი ჰეილიმ მოიგო და ახლა ამერიკას უკვე ორი ასეთი გუბერნატორი ჰყავს — პირველი იყო ინდური წარმომავლობის სიკხ ბობი, რომელმაც 2008 წელს გაიმარჯვა ლუიზიანაში.



## გადახდისუუნარო გერმანია

**თითქმის ყოველი მეათე ზრდასრული გერმანელი გადახდისუუნარო მევალე აღმოჩნდა. ეს მონაცემები კრედიტორთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა.** „გერმანიის სავალე ატლასი — 2010“-ის მონაცემებით, მიმდინარე წლის 11 თვის მანძილზე იმ კრედიტორთა რაოდენობა, რომელთაც ვალის დაბრუნებისთვის სახსრები აღარ გააჩნიათ, 300 ათასი ადამიანით გაიზარდა და 6,5 მილიონს გაუტოლდა. ექსპერტები ამბობენ, რომ უცვლელი დარჩა ამ ტენდენციის უმთავრესი მიზეზი — სამსახურის დაკარგვა. გარკვეულ როლს ასრულებს სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის, ბინის ქირისა და სხვა გადასახადების გაზრდა. მომავალი ორი წლის მანძილზე გერმანია გადახდისუუნაროთა რაოდენობის შემცირებას არც კი იმედოვნებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## IV ბრიგადაში ჯარისკაცები სცემეს



**ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელის — ნანა კაკაბაძის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია მან ჯარისკაცებისგან მიიღო.** მას SMS-ებით შეატყობინეს, რომ ნაცემია გორელი ჯარისკაცი, კაპრალი ჩოჩელი, რომელიც შვებულებიდან სამხედრო ნაწილში დაბრუნდა და იარაღი დაკარგული დახვდა. სწორედ ამისთვის მოსთხოვეს პასუხი და სცემეს. კაკაბაძის ინფორმაციით, სცემეს სერჟანტიც, გვარად კიკნაძე, რის შემდეგაც შეურაცხყოფილმა ვენები გადაიჭრა. ნაცემია ასევე ნადირაძე, სულ 15 ჯარისკაცი. ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, ჯარისკაცების SMS-ებში ასევე აღნიშნულია, რომ საღამოს 19-დან დილის 5 საათამდე ისინი გარეთ ჰყავდათ, სიცივისგან ხელები და ფეხები ეყინებოდათ, მუცელში ფეხებს ურტყამდნენ („ინტერპრესნიუსი“).

## აზერბაიჯანელები რაკეტებს დაამზადებენ



**თურქეთი და აზერბაიჯანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების შექმნაზე ერთობლივად იმუშავებენ.** „APA“-ს ცნობით, აზერბაიჯანში 107 და 122 მმ. რაკეტებსააწყობენ. მათ ზოგიერთ ნაწილს თურქეთიდან შემოიტანენ, ნაწილი კი აზერბაიჯანში დამზადდება. ახალ რაკეტებს სპეციალური აეროდინამიური დიზაინი ექნება, 107 მმ. რაკეტის მოქმედების სიშორე, ამავე კალიბრის კლასიკურ რაკეტასთან შედარებით, 50%-ით მეტი — 11 კილომეტრი იქნება; 122 მმ. რაკეტისა კი — 40 კილომეტრამდე.

## რუსული იარაღი კარგად იყიდება




**„Рособоронэкспорт“-ის გენერალური დირექტორის — ანატოლი ისაიკინის თქმით, ბოლო 10 წლის განმავლობაში მისმა კომპანიამ საზღვარგარეთ 60 მილიარდი დოლარის შეიარაღება გაყიდა; გაყიდვების მოცულობა ყოველწლიურად 700-800 მილიონი დოლარით იზრდება.** საზღვარგარეთ რუსული შეიარაღების 80%-ს სწორედ „Рособоронэкспорт“-ი ჰყიდის. დღესდღეობით რუსულ შეიარაღებას მსოფლიოს 70 ქვეყანა ყიდულობს. ყველაზე დიდი მოთხოვნა რუსულ საავიაციო ტექნიკაზეა, მეორე ადგილზე საჰაერო თავდაცვის სისტემებია, მესამეზე კი — შეიარაღება სახმელეთო ძალებისთვის.

## ევროკავშირი ვერტმფრენების პოლკს შექმნის



**საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირებისთვის ევროკავშირის ქვეყნებმა შეიძლება ვერტმფრენების ერთობლივი პოლკის შექმნა. „Defense News“-ის ცნობით, მასში მოიერიშე და სატრანსპორტო ვერტმფრენები შევლენ, მათ შორის, სავარაუდოდ, „NHI NH-90“ და „Ми-17“.** პოლკის ფუნქციები იქნება სამაშველო ოპერაციები, დაზვერვა და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული საბრძოლო მოქმედებების წარმოება. პროექტის განხილვა ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მიერ ერთ თვეში დასრულდება.

# «MP7» თვალში არავის ეპატარავება



**როდესაც იარაღის გერმანელი კონსტრუქტორები საქმეს სერიოზულად უდგებიან, ან შედევრები გამოსდით, ან კიდევ ისეთი ნიმუშები, რომელთა ავკარგიანობის განხილვა ნამდვილად ღირს; „MP7“ ერთ-ერთი მათგანია.**

იარაღის დამწყებ მოყვარულებში ძალიან ხშირია ემოციური და უნაყოფო დავები თემაზე „კალაშნიკოვი ჯობია თუ M-16 (ან M-4)“? ნებისმიერ ასეთ კითხვას ერთადერთი სწორი პასუხი აქვს — „გააჩნია რისთვის“. საუბარი „MP7“-ზე სწორედ იმის გარკვევით დავიწყოთ, თუ რისთვის ქმნიდა მას „Heckler & Koch“-ი.

**დასავლეთის თანამედროვე არმიებში, განსაკუთრებით კი ბუნდესვერში, კლასიკური ქვეითების, ანუ იმ ადამიანების ხვედრითი წილი, რომლებიც მოწინააღმდეგის ქვეითებთან უშუალო საცეცხლე კონტაქტში შედიან, შედარებით მცირეა. ჯარში უამრავი მძიმე და მაღალტექნოლოგიური შეირაღების სისტემაა, რომელთა მომსახურებას უამრავი ადამიანის შრომა სჭირდება; ამასთანავე, მკვეთრადაა გაზრდილი იმ სამხედროების რაოდენობა, რომელთა ფუნქციებში საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა არ შედის.** ტანკისტებისა და მფრინავების გარდა ხომ, სამხედრო მანქანის ფუნქციონირებაში ჩაბმულია უამრავი მძღოლი, სანიტარი, სამხედრო ინჟინერი, შტაბის ოფიცერი და ა.შ. თუმცა მოწინააღმდეგის უშუალო თავდასხმისგან დაზღვეულნი არც ისინი არიან, რაც ავღანეთის ომმა კარგად აჩვენა, შესაბამისად, კრიტიკულ სიტუაციაში საკუთარი თავის დაცვა უნდა შეეძლოთ.

ავტომატური შაშხანები „HK G3“ და „HK G36“ თავისთავად მშვენიერი იარაღია, მაგრამ ორივე შედარებით დიდია და მისი გადატანა თვითმფრინავის, ვერტმფრენისა და ავტომობილის კაბინაში



გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება; ან კიდევ წარმოვიდგინოთ ბუნდესვერის სანიტარი, რომელსაც თავისი მოვალეობების შესრულებისას „HK G36“-ის თრევა უწევს. ამ შემთხვევაში ლოგიკური ჩანს პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების გამოყენება. **ბუნდესვერი გარკვეული დროის განმავლობაში ამ გზით მიდიოდა, და იქ, სადაც „HK G3“ და „HK G36“ სრულიად უადგილო ჩანდა, სამხედროების აღჭურვას „P1“-ით და „P8“-ით, აგრეთვე, „MP2 Uzi“-ით ახდენდა. თუმცა ახლო დისტანციებზეც კი (საშუალოზე რომ არაფერი ვთქვათ) მათი სროლის არადამაკმაყოფილებელმა სიზუსტემ და არაეფექტურობამ ჯავშანჟილეტით დაცულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ბუნდესვერი აიძულა, ალტერნატიული გადაწყვეტილების ძებნა დაეწყო. მოთხოვნა შემდეგი იყო: გაბარიტებით ახალი იარაღი უნდა ჩამჯდარიყო ნიშაში პისტოლეტსა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს შორის, ამასთანვე, 200 მეტრამდე მანძილზე ჯავშანჟილეტის გახვრეტა უნდა უზრუნველეყო.**

**პერსონალური თავდაცვის იარაღი „PDW“ (PERSONAL DEFENCE WEAPON), პრაქტიკულად, იარაღის ახალ კლასს წარმოადგენს. თუმცა იმისთვის, რომ ინგლისური აბრევიატურა არ გამოეყენებინათ, გერმანელებმა ახალი ტერმინი „NAHBEREICHWAFFE“ (ახლო დისტანციის იარა-** ▶

# მარცხი, რომელმაც გამარჯვება მოიტანა

**1968 წლის იანვრის ბოლოს კომუნისტურმა ძალებმა სამხრეთ ვიეტნამში ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყეს. სამხედრო თვალსაზრისით, ის მძიმე მარცხით დასრულდა, თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, ამავე დროს, ამ ოპერაციის შედეგად ჩრდილოეთ ვიეტნამმა საბოლოო გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა.**



როდესაც ვიეტნამის ომზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლებში ოთხი ძალის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ: ერთის მხრივ, ამერიკელები და მათი სამხრეთვიეტნამელი მოკავშირეები; მეორეს მხრივ, ჩრდილოვიეტნამელები და კომუნისტი მეამბოხეები სამხრეთ ვიეტნამში, ე.წ. ვიეტკონგი; მოკავშირეებს შორის იდილია როდი სუფევდა, უფრო პირიქით.

**ოპერაციის გეგმის თანახმად, „ვიეტკონგის“ რაზმებს ერთდროულად უნდა შეეტიათ მსხვილი დასახლებული პუნქტებისთვის და ამერიკული ბაზებისთვის სამხრეთ ვიეტნამში, იმის იმედით, რომ ეს საიგონის რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებას გამოიწვევდა.** ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიას, ამ გეგმის თანახმად, მხოლოდ ერთი ქალაქისთვის, ჰიუესთვის უნდა შეეტია. ოპერაცია ვიეტნამელებისთვის მთავარ, „ტეტის“ დღესასწაულის დღეს უნდა დაწყებულიყო. წინა წლებში „ტეტის“ დღესასწაულზე მხარეები ცეცხლს წყვეტდნენ, სამხრეთ ვიეტნამის არმიის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი ამ პერიოდში შვებულებაში მიდიოდა; 1968-ში „ტეტი“ 31 იანვარს აღინიშნებოდა.

ჩრდილოვიეტნამელებმა შეტევა ერთი დღით ადრე, 30 იანვარს, დაიწყეს და გააფთრებული ბრძოლის შედეგად ქალაქი ჰიუე დაიკავეს. მოულოდნელობის ეფექტი დაიკარგა. ამერიკელებმა და სამხრეთვიეტნამელებმა გამოფხიზლება მოასწრეს. „ვიეტკონგის“ რაზმები ბრძოლაში 31 იანვარს ჩაერთნენ, მაგრამ ვერც ერთი ქალაქის ან ამერიკული ბაზის აღება ვერ მოახერხეს. **განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები საიგონში გაჩაღდა, მეამბოხეები ერთდროულად უტევდნენ აშშ-ის საელჩოს, რადიოსადგურს, გენერალურ შტაბსა და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს; ქალაქში სრულმა ქაოსმა დაისადგურა.**



სპორადულმა შეტაკებები საიგონში ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა, ჰიუე ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიის ხელში სამი კვირის განმავლობაში რჩებოდა, შემდეგ ამერიკელებმა (ამ გამარჯვებით საზღვაო ქვეითების კორპუსი დღემდე ამაყობს), სამხრეთვიეტნამელ მოკავშირეებთან ერთად ჰიუეს დაბრუნება და სხვა ქალაქების გაწმენდა შეძლეს. სხვათა შორის, ამ ბრძოლების დროს (ქალაქ ბენჩესთან) **ერთ-ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა „ჩვენ მოგვიწია ქალაქის განადგურება იმისთვის, რომ ის გადაგვერჩინა“.**

სულ იანვარ-თებერვლის ბრძოლების დროს მათ 4000-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს, კომუნისტების დანაკარგი 10-ჯერ უფრო დიდი იყო.

ამ პერიოდში ვიეტნამში ნახევარი მილიონი ამერიკელი სამხედრო იმყოფებოდა, პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაცია მოწადინებული იყო, ომი გამარჯვებამდე მიეყვანა. „ვიეტკონგის“ ცუდად შეირაღებულ, დაქსაქსულ რაზმებს წარმატების თეორიული შანსიც კი არ ჰქონდათ და მათ მძიმე მარცხი იწვნიეს. მაგრამ ამ მარცხმა დიდი გამარჯვება ▶

◀ **ღი) შემოიღეს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ „MP7" პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი არ არის, ის მაინც „MP" („MASCHINENPISTOLE") აბრევიატურით აღნიშნეს.**

„MP7"-ის პროტოტიპი „Heckler & Koch"-მა 1999 წელს წარმოადგინა, თუმცა მასში რიგი ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. მუშაობა 2001 წელს დასრულდა, თუმცა უკვე 2003-ში „MP7"-ი კვლავ გადააკეთეს, მოდელ „MP7A1"-ს დაამატეს პიკატინის გვერდითი სამაგრი, დასაკეცი მექანიკური სამიზნე; აგრეთვე, შეიცვალა დასაკეცი კონდახის ფორმა (ამასთანავე, მისი ფიქსირება სამ პოზიციაში გახდა შესაძლებელი) და რიგი სხვა დეტალების დიზაინი.

შედეგად მიიღეს კომპაქტური და საკმაოდ მიმზიდველი იარაღი: **მასა — 1,8 კგ (მჭიდის გარეშე), სიგრძე — 41,5/63,8 სმ. (დაკეცილი/გაშლილი კონდახით), ლულის სიგრძე — 18 სმ., 950 გასროლა წუთში, ტყვიის საწყისი სიჩქარე — 725 მ/წ, ჯავშნის გახვრეტის თვალსაზრისით, „MP7"-მა უკან ჩამოიტოვა თავისი უშუალო კონკურენტი და, გარკვეული თვალსაზრისით, წინამორბედი ბელგიური „F". 4,6x30 კალიბრის ვაზნები „MP7"-ისთვის ბრიტანულმა „Royal Ordnance"-მა შექმნა.**

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა იარაღმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, მისი დანერგვა ბუნდესვერში მოსალოდნელზე უფრო ნელა მიდის. ეს ლოგიკურიცაა, იარაღის ექსპლუატაციის პროცესმა შეიძლება ბევრი ადრე შეუმჩნეველი ხარვეზი გამოავლინოს, რომელთა გამოსწორება მას შემდეგ, რაც „MP7"-ით ბუნდესვერის ნახევარი შეირაღდება, გვიანი და ხარჯიანი იქნება. ამიტომ გერმანელები ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებენ და, ალბათ, ასეთი მიდგომით ნებისმიერმა გონიერმა ხელისუფლებამ და სარდლობამ უნდა იხელმძღვანელოს.



**ჩვენ მშვენივრად გვახსოვს აგვისტოს ომის ის ეპიზოდი, როდესაც ჩვენი მებრძოლები ამერიკულ იარაღს ყრიდნენ და კოდორის ხეობას „კალაშნიკოვებით" შეირაღებულნი ტოვებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს იარაღი უფრო საიმედოა; თანაც მის შესაძლებლობებს უფრო კარგად იცნობდნენ. ჯარში ახალი იარაღის დანერგვა ძალიან საპასუხისმგებლო პროცესია, რომელსაც უამრავი ასპექტი გააჩნია და დაუშვებელია, ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ პოლიტიკური, ეკონომიკური ან სულაც „პიარული" მიდგომით იხელმძღვანელოს.** ერთადერთი პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ჯარისკაცის სიცოცხლის შენარჩუნება და მისი მოქმედების ეფექტურობის გაზრდაა, სხვა დანარჩენი კი მეათეხარისხოვანია. **ბუნდესვერი თავისი გააზრებული მოქმედებით ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს გვაძლევს. „MP7"-ს კი ყველაზე მეტად, ალბათ, ცნობილი გერმანული გამონათქვამი მოუხდება: „Das ist fantastisch, praktisch, gut!".**

◀ სულ სხვა საინფორმაციო, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ფრონტებზე მოიტანა.

საქმე ისაა, რომ **ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაცია ამერიკულ საზოგადოებას არწმუნებდა, რომ საქმე ვიეტნამში ნორმალიზაციისკენ მიდის. პრეზიდენტი პირადად არჩევდა, თუ რა ინფორმაცია მიეწოდებინა პენტაგონს მედიისთვის და რა — არა.**

ჯონსონი ნოემბისთვის ემზადებოდა, როდესაც, მისი გათვლით, პრეზიდენტად მეორე ვადით უნდა აერჩიათ და ვიეტნამში შექმნილი ვითარების შელამაზების სურვილი სწორედ აქედან მოდის. როდესაც „ვიეტკონგმა" საიგონზე შეტევა დაიწყო, ვიეტნამში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტების უმრავლესობა სწორედ იქ იმყოფებოდა. მათმა რეპორტაჟებმა ცეცხლის ალში გახვეული ქალაქიდან თითოეულ ამერიკულ ოჯახში შეაღწია, **საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აშშ ურთულეს ომშია ჩაბმული, რომელსაც მძიმე დანაკარგები და არნახული სისასტიკე ახასიათებს.**

როდესაც გენერალმა უესტმორლენდმა ჯონსონს დამატებითი ძალების გამოგზავნა სთხოვა დასუსტებული მოწინააღმდეგის საბოლოოდ გასანადგურებლად (ეს სავსებით ლოგიკური იყო), პრეზიდენტმა მისი თხოვნა ვერ დააკმაყოფილა, რადგან საზოგადოება, ფაქტობრივად, აუჯანყდა და ომის სასწრაფოდ დასრულებას მოითხოვდა. მალევე ჯონსონი იძულებული გახდა, გაეკეთებინა განცხადება, რომ მეორე ვადით კენჭს არ იყრიდა. არჩევნები რიჩარდ ნიქსონმა მოიგო, რომლის ლოზუნგი „ღირსეული მშვიდობით ომის დასრულება" იყო. მართალია, **ამერიკელები ვიეტნამში 1973 წლამდე დარჩნენ, მაგრამ სწორედ 1968 წლიდან დაიწყო ომის დეესკალაცია და, აგრეთვე, „ვიეტნამიზაცია"**, რაც საბრძოლო მოქმედებებისგან აშშ-ის ქვედანაყოფების თანდათანობით დისტანცირებასა და სამხრეთვიეტნამელ მოკავშირეებზე დაყრდნობას გულისხმობდა. **იმ ომის მოგება, რომლის წინააღმდეგ საზოგადოების უდიდესი ნაწილი გამოდიოდა, შეუძლებელი იყო.**



**ამერიკელები ვიეტნამში 1973 წლამდე დარჩნენ, მაგრამ სწორედ 1968 წლიდან დაიწყო ომის დეესკალაცია და, აგრეთვე, „ვიეტნამიზაცია"**

1973 წლის 29 მარტს უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ვიეტნამი დატოვა, 1975 წლის 30 აპრილს კომუნისტებმა საიგონის თავზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

მიუხედავად სამხედრო მარცხისა, ჩრდილოეთ ვიეტნამის ხელისუფლებამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, გამარჯვებას მიაღწია. ამასთანავე, **1968 წლის ბრძოლებმა იმდენად დაასუსტა „ვიეტკონგი", რომ მისი ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ჩრდილოეთ ვიეტნამის ხელისუფლებას დამორჩილებოდა, ადრე კი ის თანასწორუფლებიანი პარტნიორი იყო. ხო ში მინმა, ფაქტობრივად, ორი კურდღლის დაჭერა მოახერხა.** ითვალისწინებდა თუ არა ჩრდილოვიეტნამელების პირვანდელი გეგმა სწორედ ასეთ შედეგს? ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, თუმცა ისტორიკოსები ამ მოვლენებში უამრავ საეჭვო დეტალს პოულობენ, რომელთაგან შეტევის დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე დაწყება მხოლოდ ერთი ეპიზოდია.



# ვერონიკა ქობალიას შემოტანილი ელექტრომობილები — პერსპექტიული ტყუილი

**ერთი ფილოსოფიური პასაჟით დავიწყებ ამ რეპლიკას: „სიბრძნე სიბრძნის ძებნაში კი არ გამოიხატება, არამედ — სიცილის მოპოვებაში... რადგან, სევდიანისგან განსხვავებით, სასაცილო ზედაპირზე არ დევს, თუმცა ყველაფერი ამქვეყნად ან უკვე არის სასაცილო, ან მალე გახდება ასეთი".**

აი, ასე: სასაცილო და სატირალი ხელიხელჩაკიდებული დადის.

ხელჩაკიდებული ვერონიკა ქობალიასთან — მდგრადი მწუხარების მინისტრთან, რომლის ეკონომიკური ნოვაციები იმდენადვეა სასაცილო, რამდენადაც საწუხარი და სატირალი.

სასაცილოა, აბა, რა, როცა ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 80 პროცენტი უმუშევარი დაგიდის, როცა პრეზიდენტის წინასაარჩევნო ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე!" განუხრელად ხორციელდება ღარიბების გეგმაზომიერი ამოწყვეტის გზით; სოციალურად ორიენტირებული ჩვენი სახელმწიფო ვერონიკა ქობალიას პირით **ვალდებულებას იღებს, რომ 4 წელიწადში სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ მთელ სატრანსპორტო პარკს ელექტრო ან ჰიბრიდული ტრანსპორტით შეცვლის.**

რატომ?

იმიტომ, რომ ამ შემხვედრ გეგმას მოაყოლოს მისი პატრონისა და პროტექტორის უსაყვარლესი **„საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ამ ვალდებულებას კისრულობს".**

ამ დიადი და ნათელი მიზნის აფიშირებისთვის ცოტა რომ წაიტყუილო, არაფერი უჭირს, და ეს ჩვენი სიმდგრადე და სიამაყე საქვეყნოდ აცხადებს — **საქართველოს კავკასიის კაშხლებიდან** (ასე თქვა!) **დიდი რაოდენობით აქვს იაფი** (ესეც თქვა!) **ჰიდროელექტროენერგიის მიღების საშუალება.**

მოისმენ ან წაიკითხავ ასეთ აღსარებას და ჯერ იმაზე დაფიქრდები, რა სიბრძნის ნაყოფია „კავკასიის კაშხლები", შემდეგ იმაზეც, **ისეთი რა ნოუ-ჰაუს გამოცხობა მოასწრო ჰიდროელექტროენერგეტიკის თონეში საზღვარგარეთ კურსდამთავრებულმა მინისტრმა, რომ კაშხლები ელექტროენერგიის გენერატორებად აქცია ჰიდროელექტროსადგურების გვერდის ავლით?!**

ხომ ვთქვით, რომ ყველაფერი ამქვეყნად არის სასაცილო და ნუ მოიკლავთ თავს იაფი ელექტროენერგიის გაგონებაზე: რამდენი წელიწადია, ვხალისობთ ამ სიიაფის გამო და ვიწმენდთ სიმწრის ცრემლებს.

ამითღა გვიდგას სული.

და იმ იმედითაც, რომ ჩვენი ქვეყანა ელექტრომობილების მსოფლიო ლაბორატორიად გადაიქცევა, — როგორც გაიკეკლუცა ქობალიამ ვიღაცის გულის მოსაგებად და თავის მოსაწონებლად.

აქ გვეცინება, იქ კი **საქართველოს მთავრობა „რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის, „ჯენერალ მოტორსთან" აწარმოებს მოლაპარაკებას 4000 მანქანის შესყიდვაზე".** აი, ასეთი მასშტაბი გვაქვს და გაქანება გვახასიათებს. და ვერანაირი რუსეთი წინ ვერ დაგვიდგება, რადგან მოსკოვის მერიამ სულ რამდენიმე ელექტრომობილი შეიძინა ახლახან და ისიც საბავშვო ბაღებში ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტების ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით მისატანად.

საბავშვო ბაღების წვრილფეხობა ჩვენს გეგმებთან რა მოსატანია!

**ქობალიას ყური რომ დაუგდო, ეს მასშტაბური სატრანსპორტო გადაიარაღება, რასაც „მანქანების დასამუხტი სადგურების აშენებაც მოჰყვება", გაუადვილებს რიგით ქართველებს ელექტრომანქანებზე გადასვლას.**

ეს ქალი, ეტყობა, კანადაში დარჩა: **ერთ ელექტრომობილს ძალიან ძვირი ყველგანმავლის ფასი რომ ადევს, და რომლის ყიდვისგან შეიძლება ბიძინა ივანიშვილმაც კი თავი შეიკავოს, მისთვის სხვა პლანეტის რეალობაა.**

არადა, იმდენი ფული უნდა დაიხარჯოს, თქვენი მოწონებული! გავრცელებული ინფორმაციით, **„შეერთებულ შტატებში მოქმედი საცალო ფასების საფუძველზე, რომელშიც არ შედის ამერიკის ფედერალური საშემოსავლო გადასახადის შეღავათები, ოთხი ათასი Chey Volt სედანი საქართველოს 164 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდება, მაშინ, როცა Nissan Leaf-ისა და Toyota Priuse-ის იგივე რაოდენობა 128 და 88 მილიონი დოლარი ეღირება".**

ესენი აქ ბროლის ელექტროკოშკებს გვიშენებენ, General Motors-ი კი, მართალია, ადასტურებს, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ აცხადებს, რომ

**„Chevy Volt-ის საწყისი პროდუქცია საქართველოზე არ იყო ფოკუსირებული... მოცემულ მომენტში ჩვენ, უპირველესად, Volt-ის აშშ-ში გაშვებაზე ვართ კონცენტრირებულები".**

ჯერ თავო და თავოო.

ეს ჩვენი „ერთი ქილა ერბოს" იგავი ამით დავამთავროთ.

**არმაზ სანებლიძე**



**P.S.** უცხოური პრესის მიერ ამ სიახლის შეფასება დაუფარავი ცინიზმით გამოირჩევა: „ვერასოდეს იტყვი, რომ საქართველოს მთავრობა მცირე მასშტაბებით აზროვნებს... მიხეილ სააკაშვილს, ნიუ იორკში განსწავლულ პრეზიდენტს, თამამი ინიციატივებისადმი აქვს მიდრეკილება. მისმა მთავრობამ 2008 წელს, რუსეთთან ომის შემდეგ, 4,55 მილიარდი დოლარის მიღების პირობა მიიღო. ერთმა მილიარდმა, რომელსაც მას შეერთებული შტატები დაჰპირდა, საქართველო ისრაელის, ეგვიპტისა და ერაყის შემდეგ ამერიკული დახმარების ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეციპიენტად აქცია" (ენდრიუ კრამერი, „საქართველო ეკოლოგიური მანქანების პარკს ყიდულობს").

ესეც — პასუხი იმაზე, თუ სად მიდის და რისთვის იხარჯება ჩვენი ქვეყნისთვის გაწეული დახმარება, რაც, სხვათა შორის, სულაც არ არის სასაცილო.

# «ქვეყნისთვის ამაზე დიდი ზიანის მიყენება საქართველოს ყველაზე საშინელ მტერსაც არ შეეძლო», — ასე მიაჩნია ამერიკელ ექსპერტს

**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუნსენმა თბილისში ვიზიტის დროს ისე ილაპარაკა ნატოში საქართველოს მიღებაზე, რომ დიდად დაიმედებული დატოვა ჩვენი ხელისუფლება. ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ ნატოს ჩვენზე დიდი საფიქრალი და საზრუნავი სხვა არაფერი აქვს. ძრწოდე, მტერო და ორგულო!**




ჩავიდა ჩვენგან მოსკოვში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავკაცი და დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ნატო იმის წინააღმდეგი არ არის, რომ რუსეთმა ფრანგული სადესანტო შვეულმზიდი „მისტრალი" შეისყიდოს, — დაგვარწმუნა „ევრონიუსმა".

„მისტრალი", რომელიც, ჩვენი პოლიტიკოსების მტკიცებით, შავი ზღვის ფლოტზე იქნება მიწერილი და საქართველოს წინააღმდეგ დამრტყმელ ძალად წარმოგვიდგება რუსეთ-საქართველოს მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების დროს.

მართალია, სამხედრო ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ, ღმერთმა არ ქნას, მაგრამ „თუ ხვალ იქნება ომი", რუსეთს „მისტრალი" არაფრად დასჭირდება, „ზედმეტი ფუფუნებაა".

**კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნატოს იმედად ყოფნა ჩვენთვის ისეთივე უპერსპექტივოა, როგორც დონ კიხოტისთვის დულცინეას საპასუხო სიყვარული.**

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შეყვარებული მწუხარე სახის რაინდი ქარის წისქვილებს ებრძოდა, ამ ჩვენმა უშიშარმა რაინდებმა კი ნამდვილი ომი წამოიწყეს რუსეთთან, ხოლო **„საქართველოს პრეზიდენტის ქცევამ, რომელსაც ამერიკელებიც და ევროპელებიც... წინდაუხედაობად და თავნებობად მიიჩნევენ, ისე დააფრთხო ნატოს ალიანსი, რომ საქართველო თვალსაწიერ მომავალში მასში გაერთიანებას ვერ შეძლებს"** (უოლტერ რასელ მიდი, „საქართველო გზების გასაყარზე", American Interest).

განსხვავება ისიცაა, რომ ლამანჩელი რაინდული შერკინებებით საკუთარ თავს აყენებდა ზიანს.

ავლაბრელი რაინდები კი თავის ხალხსა და ქვეყანას აზიანებენ, თვითონ კი შესანიშნავად გრძნობენ თავს: ჩვენ გავიმარჯვეთო!

ბითურდება ხალხი.

სამაგიეროდ საღად მოაზროვნე ამერიკელი ექსპერტები (ამერიკელები! — მიაქციეთ ყურადღება) მიიჩნევენ, რომ **ჩვენი დღევანდელი პრობლემები საქართველოს „მთავრობის ცუდი გადაწყვეტილებების ბრალია".**

ცუდი და კატასტროფული გადაწყვეტილებების, რომელთა რეალიზაციამ მასხარის ჩაჩი ჩამოგვაფხატა 2008 წლის აგვისტოში, ტრაგიკული ფინალით.

ამერიკული პრესა წერს, რომ **„2008 წლის ზაფხულში რუსეთის მიმართ საქართველოს აგრესიულმა და გაუთვლელმა პოლიტიკამ, პოლიტიკამ, რომელიც ბუშის ადმინისტრაციისა და დანარჩენი დასავლეთის გაფრთხილების მიუხედავად განხორციელდა, პუტინს სამხრეთ ოსეთის ოკუპირების საშუალება მისცა, საქართველოში ლტოლვილთა ახალი ტალღა გააჩინა და პრობლემები შეუქმნა საქართველოსაც და შეერთებულ შტატებსაც".**

ხედავთ? — შეერთებულ შტატებსაცო! პირდაპირ ამბობენ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც შეუქმნა პრობლემები, მაშინ, როცა ამერიკას საკუთარიც თავზე აქვს საყრელი.

მაგრამ ჩვენ ჩვენი მკვდარი ვიტიროთ და, როცა ცრემლებს მოვიწმენდთ, ცალი თვალით მაინც ჩავიხედოთ უცხოურ პუბლიკაციებში, სადაც ამოვიკითხავთ, რომ დემოკრატიის შუქურ-ვარსკვლავი და აღმოსავლეთში განთიადის მაუწყებელი მნათობი, დიდი ხანია, არა მარტო ჩამქრალია, არამედ მას, ელემენტარულად, არ ენდობიან, ნდობის დეფიციტზე ლაპარაკობენ: **„დასავლეთ ევროპაში ბევრს, უბრალოდ, არ სჯერა საქართველოს პრეზიდენტის და, ჩემი რწმენით, საქართველოს ნატოში მანამდე არ მიიღებენ, სანამ ის ან მისი მემკვიდრე, ევროპელ სკეპტიკოსებს არ დაარწმუნებს, რომ ვითარება შეიცვალა",** — წერს ავტორიტეტული ამერიკელი ანალიტიკოსი **უოლტერ რასელ მიდი.**

იმედია, მანამდე არაფერი გეტკინებათ! ანალიტიკოსებს თვითონაც კარგად ესმით (რასაც სააკაშვილის პოლიტიკური მოკავშირეებიც უდასტურებენ), რომ საეჭვოა, მოუხმოს საქართველოს პრეზიდენტმა გონიერებას, „ან გაჩნდება თუ არა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში აუცილებელი **„სტრატეგიული მოთმინება".**

მოთმინება, თანაც სტრატეგიული, მიხეილ სააკაშვილის არაერთი განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სრულიად წარმოუდგენელია, გაჩნდეს ასეთი ფენომენი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში. ამიტომ ჩნდება სხვა პერსპექტივის რეალობა, ანუ ცვლილებების აუცილებლობა, რაც იმავე პრესის ანალიტიკური მასალების კვეტექსტიდან გამომდინარეობს და „ოცდამეხუთე კადრის" სახით გაკრთება უწყინარი სახით, თითქოს შემთხვევით.

დაუბრუნდით, თუ არ შეწუხდებით, ზემოთ მოხმობილ ციტატას, სადაც ლაპარაკია ნატოში ჩვენი მიღების შესაძლებლობაზე, გადაიკითხეთ და უეჭველად თვალში მოგხვდებათ საკრალური სიტყვები **„მისი მემკვიდრე".** სააკაშვილის მემკვიდრეო.

ეს კი ნიშნავს, რომ სააკაშვილი არ უნდა გამეორდეს, პირდაპირ ვერ გვეტყვიან, რადგან სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩაუთვლიან, რაც ანტიდემოკრატიულია, და ამიტომ იყენებენ „ოცდამეხუთე კადრის" ეფექტს.

მოკლედ: **ნატოში ჩვენი მიღება უახლოეს თვალსაწიერში წარმოუდგენელია. ეს ერთი: მეორე, აგვისტოს ომის დაწყება ჩვენს სინდისზეა; მესამე, სააკაშვილს არც აშშ-ში, არც ევროპაში აღარ ენდობიან; მეოთხე, საქართველოში „რაღაც" უნდა შეიცვალოს. მეხუთე, საქართველომ თავისი საგარეო პოლიტიკა „სტრატეგიულ მოთმინებას" უნდა დააფუძნოს.**

## აშშ-ს არ სურს, რომ საქართველომ რუსი დათვი გააღიზიანოს

განებავთ, დაარქვით ამას კეთილი სურვილი, განებავთ, — ულტიმატუმი, მაგრამ ორივე შემთხვევაში კატეგორიულობის ხარისხს შეინარჩუნებს: არ სურს!

არ სურს, თანაც — კატეგორიულად იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა — ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებამ — საქართველო არა მარტო ამოაგდო აშშ-თან ურთიერთობის აპრობირებული კალაპოტიდან, არამედ დაუპირისპირდა ამერიკასაც და განარისხა რუსეთიც.

**ჩრდილოკავკასიელთა მიმართ „ახალი პოლიტიკის" იდეას აშშ-ში „დაჟინებით აპროტესტებენ":** ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ისლამისტ მებრძოლებს შესაძლებლობა მიეცათ, „იხეტიალონ ქვეყანაში, რომელშიც მრავლად არიან აშშ-ის მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, დიპლომატები და სხვა პერსონალი და ისინი ველარ იგრძნობენ საკუთარ თავს ტერორისტული თავდასხმებისგან დაცულად".

მეორე. ამ ოთხმოცდაათდღიანმა „ანტრე, ბატონომ", ანალიტიკოსების აზრით, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობასაც მიაყენა დარტყმა, რადგან **საზღვრების სერიოზული პრობლემის მიმართ ასეთი „უდარდელობა" ევროკავშირის ქვეყნებისთვის გაუგებარია.** ეს უარყოფითად იმოქმედებს იმ თვალსაზრისითაც, რომ, ერთის მხრივ, გაართულებს ევროპაში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობას და შეზღუდავს მათ გადაადგილებას ევროპის ქვეყნებში, რითაც ასე გვაიმედებდა ჩვენი ხელისუფლება. და აქვე: **„ეს გადაწყვეტილება იმ უცხოელ ინვესტორებსაც შეაფერხებს, რომელთა შემოტყუება საქართველოს ასე ძალიან სურს".**

შექმნილ ვითარებაში ვერავინ უზრუნველყოფს ვერც ბიზნესმენების, ვერც მათი ბიზნესის უსაფრთხოებას, — დარწმუნებით ამბობენ ექსპერტები და მათ შორის ზემოთ ნახსენები უოლტერ მიდი.

## მოკლედ




### ყაზახეთი მსოფლიო ლიდერია

**2010 წელს ყაზახეთი, საბაზრო რეფორმების მიხედვით, მსოფლიო ლიდერია. ამის შესახებ კვლევა მსოფლიოს 183 ქვეყანაში მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაცია „Doing business-2011"-მა ერთობლივად ჩაატარეს.** სინგაპური, როგორც გასულ წელს, ახლაც მსოფლიოს საუკეთესო ქვეყანაა მწარმოებელთათვის. ყაზახეთმა ლიდერობა ბიზნესის რეგისტრაციისა და მშენებლობის ნებართვის მიღების პროცედურების გამარტივებით მოიპოვა. ბიზნესმენებისთვის საუკეთესო ქვეყნები კი სინგაპურის შემდეგ ჰონკონგი, ახალი ზელანდია, ბრიტანეთი, აშშ, დანია და კანადა აღმოჩნდნენ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან რეიტინგში საქართველო ლიდერობს — შარშანდელი მე-13 ადგილიდან ჩვენმა ქვეყანამ XII-ზე გადმოინაცვლა.



### გარემოს დაცვა ფრანგულად

**ეკოლოგიური მოძრაობის მონაწილეებმა საფრანგეთიდან გერმანიაში მიმავალი მატარებელი დაბლოკეს. მატარებელს 123 ბირთვული ნარჩენები გადაჰქონდა, რამდენიმე აქტივისტმა პროტესტის ნიშნად ვაგონებზე მიიჯაჭვა თავი.** ბირთვული საწვავი, რომელიც მატარებელს მიჰქონდა, ადრე გერმანიაში ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად გამოიყენებოდა. საფრანგეთში ნარჩენები გადამუშავდა და უკან უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მატარებელი, რომელიც ბუნების დამცველებმა ისტორიაში ყველაზე რადიაციულად გამოაცხადეს, 14 ვაგონისგან შედგებოდა. მათგან 11 ნარჩენებით იყო დატვირთული, სამი კი — გამცილებელი პოლიციელებით. ეკოლოგების მტკიცებით, ეს მატარებელი ჩერნობილზე ორჯერ უფრო რადიაქტიულია.




### ომი შეცდომით

**ნიკარაგუის არმიის ქვედანაყოფი, დაეყრდნო რა სერვის „Google Maps"-ის მონაცემებს, კოსტა-რიკას ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ რუკის მიხედვით, მდინარე სან ხუანის შუაწელზე მდებარე კუნძული კალერო ნიკარაგუის ტერიტორიაა.** ოპერაციის ფარგლებში სამხედროებმა კუნძულზე დროებითი ბანაკი ააშენეს და ნიკარაგუის დროშაააფრიალეს. გარდა ამისა, მათ ნაკრძალად გამოცხადებულ ტყეში გაჩეხეს ხეები და მდინარე სან ხუანის დასუფთავების სამუშაოებიც ჩაატარეს. ნიკარაგუასა და კოსტა რიკას შორის საზღვარი ძირითადად ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადის. „Google"-ს წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მათ რუკებზე აღმოჩენილი შეცდომის მიზეზების ახსნა, მაგრამ აღიარეს, რომ რუკების შედგენისას მოძველებული წყაროები გამოიყენეს.




### შურისძიება სამსახურიდან გაგდების გამო

**ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ-ბეის საავადმყოფოს ყოფილმა თანამშრომელმა იმავე საავადმყოფოს კაფეტერიაში სროლა ატეხა, რამდენიმე გასროლის შემდეგ კი ერთ-ერთი სამსახურებრივი შენობის უკან დაიმალა.** სამართალდამცავები სამსაათ-ნახევრის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ მასთან მოლაპარაკებას და ბოლოს, როდესაც შეტევაზე გადავიდნენ, აღმოაჩინეს, რომ მამაკაცმა თავი მოიკლა. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს მამაკაცი ამავე საავადმყოფოს ყოფილი თანამშრომელი იყო, რომელიც სამსახურიდან სულ ცოტა ხნის წინათ გაცდენების გამო გაათავისუფლეს. ინციდენტის შედეგად თვითმკვლელის გარდა არავინ დაზარალებულა — საავადმყოფოს კაფეტერია კომპლექსის სხვა შენობებისგან მოშორებით მდებარეობს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ მესამე. საქართველოს ხელისუფლებამ ისე გაუტია, იმდენად დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილებების სისწორეში და პოზიციის შეუვალობაში, რომ არავის არაფერს ეკითხება. ის, რასაც ესენი აკეთებენ, დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვა კი არ არის, არამედ უვიცობისა და თავდაჯერებულობის დემონსტრაციაა.

American Interest-ში ამასთან დაკავშირებით ხაზგასმულია:

**„ამ ნაბიჯის გადადგმამდე საქართველოს კონსულტაციები არც ევროპელებთან, არც ამერიკელებთან და საერთოდ არავისთან გაუვლია, რამაც კიდევ ერთხელ განამტკიცა ის მოსაზრება, რომ საქართველოს ფიცხი ხელისუფლება არაპროგნოზირებადი და იმპულსურია“.**

რამდენჯერ უნდა გვითხრან, რომ არაპროგნოზირებადი და იმპულსური, ფიცხი ხელისუფლება გვყავს. ამ ეტიკეტური განსაზღვრების, ამ ტაქტიანი შეფასებების უკან კი მწარე სინამდვილე იმალება, რომელსაც საკუთარ ტყავზე ვგრძნობთ და რომელიც ჩვენს წინაპრებს ასეთ რჩევად ჩამოუყალიბებიათ — ფიცხი, არაპროგნოზირებადი და იმპულსური, გნებავთ, ადამიანი, გნებავთ, ხელისუფლება „მიუშვი ნებასა, თავად შეიყრის სნებასა“. მართალია, გიჟზეა ნათქვამი, მაგრამ თქვენ ხედავთ განსხვავებას ამ ორ იდენტურობას შორის?!

მიშვებული გვყავს თავის ნებაზე ჩვენ, ხალხს — სახელმწიფოს საფუძველსა და მარილს მიწისას, და ჯერჯერობით მხოლოდ საკუთარ თავზე ვგრძნობთ სნებას. ამათ არაფერი ეტყობათ.

არ ეტყობათ არ ნიშნავს, რომ კარგად მისდით საქმე. იგივე გამოცემა განაგრძნობს: „აი, ის მძიმე და მკაცრი დასკვნა, რომელიც საქართველომ უნდა გააკეთოს: **ნატოს ევროპელი წევრები წინდაუხედავ და თავნება საქართველოს ალიანსში არ მიიღებენ... ქვეყნისთვის ამაზე დიდი ზიანის მიყენება საქართველოს ყველაზე საშინელ მტერსაც კი არ შეეძლო“.**

ჩვენს ხელისუფლებაზე ლაპარაკობენ ამას — მტერიც ვერ მიაყენებდაო ასეთ ზიანს.

დავუშვათ, ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებიც რუსულ გაზზე არიან დამოკიდებული, საქართველოზე უარი თქვეს იმიტომ, რომ რომელიღაც კავკასიურ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებაზე მეტად საკუთარი ხალხის კომუნალური კომფორტი აინტერესებთ. ამერიკა რატომ დუმს?

არ დუმს, აცხადებს, რომ მხარს გვიჭერს, მაგრამ **„ამ ვითარების შესაცვლელად ძალა არ შესწევს: ნატოს ევროპელ წევრებს აქვთ უფლება, დამოუკიდებელი პოზიცია იქონიონ“.** თანაც, როგორც ამერიკელი პოლიტოლოგები ირწმუნებიან, **აშშ არ აპირებს საქართველოსთან ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულების დადებას, ისეთის, როგორიც იაპონიასთან აკავშირებს.** ჩვენ კი სტრატეგიულ პარტნიორობასა და უახლოეს მეგობრობაზე ვლაპარაკობთ და გვჯერა, რომ ასეა.

## დანაწევრებული საქართველო

დანაწევრებულ საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიადაკარგულობა იგულისხმება, მაგრამ არა მხოლოდ ეს. საქართველოში ჩამოსულმა ამერიკელმა ექსპერტმა უოლტერ მიდმა დაინახა, რომ **ჩვენი ქვეყანა გაყოფილია გეოგრაფიულ, კულტურულ და კლანურ, დაპირისპირებულ დაჯგუფებებად.**

უგნური ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო ართულებს ამ ვითარებას. სავალალო შედეგები არცთუ ეფემერულია რუსეთთან დავების მთელი სერიიდან გამომდინარე. ჩვენი ხელისუფლება რატომღაც უგულებელყოფს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ იმას, რომ **რუსეთს კავკასიაში სტაბილურობა ყველაზე მეტად სჭირდება, რომ წარმატებული და სტაბილური საქართველო „ის მნიშვნელოვანი რეგიონული პარტნიორი იქნება, რომელიც მისი სამხრეთის მოუსვენარი ხალხისთვის უსაფრთხოების შექმნაში დაეხმარება“.**

ამიტომ ურჩევენ სააკაშვილსა და მის მთავრობას, აწარმოონ ფრთხილი და მოკრძალებული საგარეო პოლიტიკა და, რაც მთავარია, **„თავი უნდა აარიდონ რუსეთის პროვოცირებას“.** ხოლო რაც შეეხება დანაწევრებული საქართველოს გაერთიანებას ახლო მომავალში, მიიჩნევენ, რომ აქ შანსები ნულის ტოლიც კი არ არის, ხოლო იმპულსური ნაბიჯები, რისგანაც დაზღვეულები არ ვართ, ჩვენს მდგომარეობას კატასტროფულად დაამძიმებს.

ამერიკამ პრაქტიკულად ხელი აიღო ჩვენზე, მხარდაჭერის რიტორიკა, რასაც ობამას ადმინისტრაცია ჩვენზე ხარჯავს, უფრო ძველი ინერციის გაგრძელებაა, ვიდრე ახალი პოლიტიკის კურსის შედეგი. უფრო მეტიც, **ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ ამერიკამ საქართველოზე ხელი ჩაიქნია ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციის დროს და არა პრეზიდენტ ობამას ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ.**

დიპლომატიურ წრეებში არ მალავენ, რომ ბუშის ადმინისტრაცია 2008 წლის ზაფხულში კატეგორიულად აფრთხილებდა სააკაშვილს, თავი აერიდებინა პროვოკაციებისთვის და არ დაეწყო ომი რუსეთთან. „მაგრამ **საქართველომ ეს გაფრთხილება არად ჩააგდო, შესაძლოა, იმ იმედით, რომ აშშ-ს რუსეთთან კონფლიქტში მისი მხარდაჭერის გარდა სხვა არჩევანი აღარ დარჩებოდა“.** კარგად დააკვირდით, ხომ არ ნიშნავდა ასეთი პოზიცია რუსეთისა და ამერიკის ჩათრევას საომარ კონფრონტაციაში ან, თუ პირდაპირ ვიტყვით, ახალ, მესამე მსოფლიო ომში?

აი, ასეთ უგნურებას გვასაღებენ როგორც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებას.

მადლობა ღმერთს, ამერიკაში არ დალეულან პროფესიონალი ანალიტიკოსები, მათ შორის, ხელისუფლების კონსულტანტები და მათი მოწოდებით ბუშის ადმინისტრაციამ სრულად გაისიგრძეგანა, რომ „ალტერნატივა არ არსებობდა და საქართველო საკუთარი შედეგების პირისპირ თვითონ უნდა დარჩენილიყო“.

საქართველო და არა მსოფლიო.

ზესახელმწიფოები შეიარაღებულ დაპირისპირებას გადარჩნენ, საქართველო კი უჯიშო კოზაკივით მათ შორის მაინც გაიჭყლიტა.

გაცივდა ქართველების დამოკიდებულებაც ამერიკის მიმართ. American Interest-ის ავტორს არც ეს მომენტი დარჩენია შეუმჩნეველი, ქართველებიო, შენიშნავს იგი, რაღაც თვალსაზრისით, განაწყენებულებიც კი არიან და განაგრძობს:

**„ქართულ ოპოზიციას იმის გაგება სურს, თუ რატომ უჭერს აშშ მხარს საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს. პრეზიდენტის მოკავშირეებს იმის გაგება უნდათ, თუ რატომ ვაკრიტიკებთ მას ასე ხშირად და რატომ ვუჭერთ მხარს ასე მცირედით“.**

ხალხს კი ის აინტერესებს, როდის დაიწყებს დასავლეთზე ორიენტირებული ოპოზიცია საკუთარი ტვინით აზროვნებას და ჭეშმარიტად ქართული საქმეების კეთებას. თორემ აქ მოხმობილი ციტატა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია სხვისი ხელის შემყურენი რჩებიან, რომ არ ვთქვათ, ხელის ბიჭები, და იმის მოლოდინში არიან, ვის გადაუსვამს თავზე ხელს ბიძია იანკი.

ამ ჩვენს მარტივად მოაზროვნეებს სჯერათ, რომ შუალედური არჩევნების შემდეგ რესპუბლიკური უმრავლესობა კონგრესში „მათ აშშ-ში უფრო მეტ მხარდამჭერს შემატებს“.

იმედების გაცრუებას უწინასწარმეტყველებს მათ უოლტერ მიდი, რადგან „კონგრესს საქართველოსთან დაკავშირებულ ამერიკის პოლიტიკაზე არც ისე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია“.

დასკვნებისკენ წავიდეთ.

**პირველი. საქართველომ იმპულსური პოლიტიკით, უგნური დიპლომატიით, თავდაჯერებულობით რუსეთი მტრად მოიკიდა.**

**იმავე მიზეზით გააცივა ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ეს მეორე.**

**რჩება ევროკავშირი, რომლის ექსპანსიური გზნება ჩაცხრა: ყველაფრიდან ჩანს, რომ უკრაინა და თურქეთი ევროკავშირის გარეთ რჩება. ხოლო თუ ამ ორი დიდი სახელმწიფოს მომავალი ასეთი უპერსპექტივოა, ვერავინ მოგვცემს გარანტიას, რომ საქართველოს მიმართ ევროგაერთიანება განსაკუთრებულ ინტერესს გამოაჩენს და ფართოდ გაუღებს კავშირის კარებს. ესეც მესამე.**

**და, გინდა-არგინდა, უნდა დაეთანხმო ამერიკელი ანალიტიკოსის დასკვნას: „ეს მშვენიერი ქვეყანაა, განთქმული წარსულითა და ექსტრაორდინალური კულტურით, მაგრამ საქართველოს მომავალი დღეს ისევე პირქუშად მოჩანს, როგორც 20 წლის წინათ“...**

**ეგებ, უარესადაც კი?!**

**არმაზ სანებლიძე**

## გაფრაზებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

სახალხო ღონისძიებების ჩატარების უფლება პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების უფლებასთან, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, ჰქონდეთ აზრის თავისუფლება, და სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან, რომელთა შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ საკონსტიტუციო წყობის საფუძვლების, ზნეობრიობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ფედერალური კანონის მიერ გათვალისწინებული შეზღუდვები კი სრულად არ შეესაბამება მითითებულ მიზნებს.

*rian.ru*



**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**

როგორც პრეზიდენტი, საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ადმინისტრაცია ვერ ახერხებს, უფრო ოპერატიულად შეამციროს ქვეყანაში უმუშევრობის დონე... ჩვენ კიდევ გვექნება არჩევნები 2012 წელს. მესმის, რომ პოლიტიკაზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მთელ რიგ საკითხებში პროგრესს მივაღწევ; აქტიურად შევეცდები, ყველა მხარის თანხმობა მოვიპოვო. ვთვლი, რომ პროგრესის იმედი არის.

*news.bcm.ru*



**დევიდ სმიტი,**
**„საქართველოს უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის“ დირექტორი:**

აშშ-ის შუალედურ არჩევნებში დამარცხების შემდეგ ბარაკ ობამა ზის და ფიქრობს, როგორ და რა გზებით შეინარჩუნოს პრეზიდენტობა. იმ შემთხვევაში, თუ ობამა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კამპანიისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძიებას შეძლებს, მას მეორე ვადით პრეზიდენტობის საშუალებაც ექნება, თუმცა გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, რადგან ავღანეთსა და ერაყში პრობლემები არ დასრულებულა.

*პირველი*



**დიმიტრი როგოზინი,**
**რფ-ის წარმომადგენელი ნატოში:**

ქართველებმა შესანიშნავი მეზობლობა იცით და აქედან გამომდინარე, კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ ისიც, რომ, თუკი მეზობელს რაიმე სახის ინფექციური დაავადება შეეყარა, დიდი ალბათობით, ეს დაავადება მასაც შეეყრება! გვერდიგვერდ მდგარი სახლებიდან ერთ-ერთში თუ ხანძარი გაჩნდა, მეორეზეც გადადის! ასე არ არის? თუკი რუსეთში რაიმე პრობლემაა, სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა უხაროდეს ეს ვინმეს საქართველოში?

*„საერთო გაზეთი“*



**ვიაჩესლავ ნიკონოვი,**
**რუსეთის ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტი, პოლიტოლოგი:**

თბილისის მიერ რუსეთის მოქალაქეების დაკავება, საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს აშშ-ის დასარწმუნებლად სჭირდება, რათა საკუთარი რეჟიმისთვის ვაშინგტონის მხარდაჭერა ე. წ. რუსული საფრთხის წინაშე გააძლიეროს. სააკაშვილს დასავლეთისა და ვაშინგტონის მხარდაჭერა სჭირდება, რადგან მათი მხარდაჭერა ქართული მხარისთვის არც ისე დამაკმაყოფილებელია. ნიშნადობლივია ის, რომ ბარაკ ობამა საქართველოს პრეზიდენტს ერთხელაც არ შეხვედრია. სწორედ ამისთვის, თბილისი ანტირუსულ ქმედებებს ახორციელებს, რაც ქართული პოლიტიკისთვის ჩვეულებრივი რამაა.

*interfax.ru*



**გრიგორი კარასინი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

საქართველოში რუსი ჯაშუშების დაკავება ფარსია. მოდით, დაველოდოთ, ვნახოთ რამდენად დამაჯერებელი იქნება ეს პოლიტიკური ფარსი, რომ შემდეგ ჩვენი კომენტარები გავაკეთოთ.

*kp.ru*

## მოკლედ



### დაგვირეკე, სნაიპერო!

**გამოძიების ფედერალურმა ბიურომ სნაიპერს, რომელმაც პენტაგონის საზღვაო ქვეითთა მუზეუმისა და გაწვევის ორი პუნქტის შენობები დაცხრილა, თხოვნით მიმართა. მას არც მეტი, არც ნაკლები, ბიუროსთან დაკავშირება სთხოვეს.** პირველი ინციდენტი 17 ოქტომბერს დაფიქსირდა. მაშინ საზღვაო ქვეითთა მუზეუმის კედლებზე ტყვიების ნაკვალევი აღმოაჩინეს. რამდენიმე დღის შემდეგ პენტაგონის შენობა დაიცხრილა, შემდეგ გაწვევის პუნქტები, შემდეგ ისევ მუზეუმი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ყველა შემთხვევა ერთი ადამიანის, სავარაუდოდ, თავის ხელმძღვანელობაზე განაწყენებული საზღვაო ქვეითის ნახელავია და მას ჩაბარებისკენ მოუწოდა.



### დაუბანელი დასავლეთი

**ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დღითიდღე იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც კატეგორიულ უარს აცხადებენ არა მხოლოდ შხაპის მიღებაზე, არამედ ონკანთან მისვლაზეც კი. პრესამ ამ სიახლეს უკვე უწოდა „გაქცევა საპნისგან“.** შხაპისა და დეზოდორანტის ალტერნატივად ლიმონი და საბავშვო სველი ხელსახოცები გამოიყენება. ჯერ კიდევ შარშან ბრიტანელი მამაკაცების 41% და ქალების 33% ყოველდღიურად არ იბანდნენ. კვირაში ერთხელ მაინც მოსახლეობის მხოლოდ 12% ბანაობდა. ბრიტანელმა ჟურნალისტმა მეთიუ პერისმა განაცხადა, რომ თავის დაბანა საერთოდ არასდროს არაა საჭირო და თავად უკვე, ათი წელია, არ დაუბანია.



### ნავთობმოპოვების ახალი რეკორდი

**რუსეთში ნავთობის მოპოვების მაჩვენებლებმა უკანასკნელ ორ თვეში მეორე ისტორიული რეკორდი მოხსნა და დღე-ღამეში 10,26 მილიონ ბარელს მიაღწია. სექტემბრის რეკორდი დღე-ღამეში 10,16 მილიონი ბარელი იყო.** რუსეთის ფედერაციაში მომუშავე ნავთობკომპანიებმა ოქტომბერში სულ 43,379 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვეს, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში კი უკვე ნაწარმოებია 420,16 მილიონი ტონა ნავთობი, რაც ორი პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, რუსეთის ფედერაციაში დღე-ღამეში საშუალო მოპოვების მაჩვენებელი წინა თვის 1,6-მილიონიანი მაჩვენებლიდან ოქტომბერში 1,87 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზარდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# «არტისტერიუმი» — მომავლის ისტერია თუ ისტერიული მომავალი?

**უკვე მესამე წელია, თბილისის ისტორიულ მუზეუმ ,,ქარვასლაში“ თბილისის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა და სიმპოზიუმი ,,არტისტერიუმი“ იმართება. როგორც გამოფენის ორგანიზატორები განმარტავენ, ღონისძიების სახელწოდება თბილისში გასული საუკუნის 10-იანი წლების მოდერნისტულ მოღვაწეობას ეხმაურება. თურმე ,,არტისტერიუმი“ იმ პერიოდში გამომავალ ჟურნალ ,,არსთან“ არსებულ კლუბს ერქვა, რომელიც ავანგარდული გამოფენებით, პოეზიის საღამოებით, ლექციებით ყოფილა ცნობილი და მოდერნისტულ, კუბო-ფუტურისტულ ტენდენციებს ასახავდა. გამოფენის ორგანიზატორებს ამ სახელწოდებით ერთგვარი კონტაქტის დამყარება სურთ იმ დროსთან, როდესაც თბილისში მოდერნისტული ხელოვნება ყვაოდა.**




„ის ცისფერია,
ის ცისფერია,
ის ცისფერია,
ისიც, მერე რა?“

ავტორი: გოჩა ბაქრაძე

„თანამედროვე ხელოვნების“ აყვავებისა და პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად ჩაერთნენ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (პროექტის ფინანსური მხარდამჭერი), საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გოეთეს ინსტიტუტი და ფონდი „კულტურისა და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი“.

თუ გამოფენის სახელწოდება „არტისტერიუმს“ სიტყვასიტყვით ვთარგმნით, **არტ** ხელოვნებას, ხოლო **ისტერია** (ძვ. ბერძნული: საშო) ფსიქიკურ დაავადებას ნიშნავს, რომელიც დემონსტრაციულ-ემოციურ რეაქციებში (ცრემლი, სიცილი, ყვირილი): კრუნჩხვებში, გარდამავალ დამბლებში, მგრძნობელობის დაკარგვაში, დაყრუებაში, სიბრმავესა და ჰალუცინაციებში გამოიხატება. **სახელწოდება „არტისტერიუმი“ ფსიქიკა დაავადებულთა ხელოვნება გამოდის.**

— ჩვენ ვართ აბსოლუტურად არაადეკვატურები. სრული სიგიჟეა ამის კეთება, მაგრამ მაინც ვცდილობთ სხვა ადგილას გადახტომას, — განაცხადა შარშან „არტისტერიუმი 2009“-ის კურატორმა მაგდა გურულმა. **თუ უწინ გამოფენის ორგანიზატორებმა შეგვამზადეს, მართალია, რაღაც სისულელეს ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენ „ჩამორჩენილები“ ხომ არ ვართ, წინ ხომ უნდა წავიდეთო, წლეულს სიტყვა არაორდინალურობასა და არაადეკვატურობაზე უკვე აღარავის დასცდენია.** პირიქით, თამამად აცხადებენ, რომ წარმატებულ საქმეს აკეთებენ. მათ აზრს იზიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც. ისინი აღფრთოვანებულები ეხმაურებიან „არტისტერიუმ 2010“-ის გამოფენას. სამწუხაროა, რომ უმეტესობა საზოგადოებას ინფორმაციას მხოლოდ ახალი ამბის სახით აწვდის. ხოლო მათ, ვინც სცადეს გამოფენის შესახებ მეტი დაეწერათ და საზოგადოებისთვის „თანამედროვე ხელოვნება“ უკეთ გაეცნოთ, ისეთი ტერმინებით აავსეს სტატიები, რომ უცხო სიტყვათა ორომტრიალში თავბრუდახვეულ მკითხველს წერილის წაკითხვის სურვილს დაუკარგავს.

პირველად „არტისტერიუმის“ გამოფენაზე მოხვედრის პატივი შარშან მხვდა წილად. ყველაფერი ასე დაიწყო:

**— საღამო მშვიდობისა! როგორ გაატარე დღე?**

**— ნაშუადღევს „ქარვასლაში“ ვიყავი, სრული მარაზმი იყო, გამოფენაზე მეორედ წასვლის სურვილი დამეკარგა!**

**— საინტერესოა... ხვალ მეც წავალ!**

**— აუუუუუ, არ გირჩევ!**

ეს იყო საღამოს მოკლე „სკაიპ-დიალოგი“. მეგობრის ანტირეკლამამ გამოფენაზე წასვლა გადამაწყვეტინა.

მუზეუმ „ქარვასლის“ ჭიშკართან ორი აღშფოთებული გოგონა შემომხვდა:

მორიდებით შევეკითხე:

**— გამოფენაზე იყავით?**

**— დიახ!**

**— მოგეწონათ?**

**— ჰმმ, დეგენერატობაა, გოგონი, არ გირჩევ დათვალიერებას.**

აკრძალული ხილი კიდევ უფრო მეტად გიზიდავს და ფეხს ავუჩქარე...

მახსოვს, როგორი აღშფოთებული დავბრუნდი შინ. მერე, მთელი საღამო ისევ ვირტუალურ სამყაროში მე და ჩემს მეგობარს მსგავსი იდეები გვაწუხებდა:

**— ნუთუ ასეთი ჩამორჩენილი და გოიმები ვართ, რომ არ მოგვეწონა?**

— რახან გამოფინეს, ე.ი ბევრს მოსწონს, ეს კულტურის ნაწილია.

**მერე უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამ სიტყვის განმარტება ვნახე: კულტურა (cultura) ლათინური სიტყვაა და განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობას ნიშნავს.**

**— ნუთუ შიშველი კაცების გამოსახულება, რომლებსაც ფეხები აქა-იქ უშინაარსოდ ტალახით ჰქონდათ შეთითხნილი, ხელოვნების მიღწევაა?**

— გოგო, ლამაზი სიშიშვლე თურმე ხელოვნებაა და, ალბათ, ამ ტალახსაც რამე დატვირთვა ექნება რა, ჩვენ ვართ გოიმები.

**ამ საუბარმა დაგვღალა. ემოციებმა მალევე გაგვიარა და გამოფენაც დაგვავიწყდა.**

1 ოქტომბერს შემთხვევით ახალი ამბავი მოვისმინე: „2 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით „ქარვასლა“ „არტისტერიუმ 2010“-ს მასპინძლობს.“

გამოფენაზე მე და ჩემი მეგობარი წავედით. ჩემთვის უკვე ნაცნობი სურათი დამხვდა — გაშტერებული თვალები, უკმაყოფილო გამომეტყველება, დაბნეული სიარული...

გამოფენას თვალი უემოციოდ, სწრაფად შევავლე. ფოტოებით აღშფოთებული და გაღიზიანებული მეგობარი ჩემმა სიმშვიდემ კიდევ უფრო გააკვირვა და დააბნია. მის რეაქციაზე მხოლოდ ჩემი თავი გამახსენდა, თორემ აღარაფერი გამკვირვებია.

**როგორ ხედავენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხები მომავალს, რა არის საერთო და რა არის განმასხვავებელი, — ეს თბილისის მესამე თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმ 2010“-ის მთავარი თემა იყო. წლევანდელ, წინა წლებთან შედარებით მასშტაბურ „არტისტერიუმში“ 30 ქვეყანა და 150-მდე მხატვარი მონაწილეობდა. თანამედროვე ხელოვნების მხატვრებმა ახალი ტექნიკური საშუალებები გამოიყენეს და საკუთარი სათქმელი, ფუნჯის, ტილოსა და საღებავების გარდა, ვიდეოს, ხმის ინსტალაციისა და ობიექტის დახმარებით გვითხრეს.**

**— მომავლის თემა ძალიან აქტუალურია და ეს ყველაფერი საინტერესოა ჩვენი ქვეყნისთვის. გარდამავალ ეპოქაში ვართ, რაღაც დავტოვეთ უკან, ახლა ვართ აწმყოში და ვქმნით მომავალს. თანამედროვე მხატვრები ადამიანს არ აჩვენებენ მარტო პირად, ინტიმურ ნაყოფს, ისინი მუშაობენ სოციუმთან, საჯარო სივრცესთან. მხატვრის ხედვაა მუშაობის სოციალური პრობლემები,** — ასე დაახასიათა ჩვენთან საუბარში „არტისტერიუმი 2010“ გამოფენის კურატორმა მაგდა გურულმა.

სწორედ საჯარო სივრცეებზე გვესაუბრა ფესტივალის მონაწილე, შვეიცარიელი ხელოვანი ფრანცეს ბელსერი. მან „არტისტერიუმში“ მონაწილეობა პირველად მიიღო და ქართული ხელოვნებით მოიხიბლა. საქართველოში სამი ნამუშევარი ჩამოიტანა:

**— ყველაფერი გამორჩეული და განსხვავებულია. მე ბედნიერი ვარ, რომ „არტისტერიუმ 2010-ში“ ვმონაწილეობ. ჩემი ნამუშერების მთავარი თემა გადაწყვეტაა.**

მას შემდეგ, რაც ფრანცესმა თავისი შთაბეჭდილება გამიზიარა, თავადაც გაუჩნდა კითხვა ჩემთან: — **როგორ მოგწონთ ჩემი ნამუშევრები?**

არ დავიბენი, მის ნაკეთობას კიდევ ერთხელ შევავლე თვალი და მის ენაზე ვიცრუე:

— ოუ! ძალიან საინტერესოა, დამაფიქრებელია. წარმატებას გისურვებთ.

სინამდვილეში რას მეუბნებოდა ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჯოხის შიგნით ფეხის გული და გვერდზე მსგავს უცნაურ ნამუშევარს რატომ დაჰყურებდა ბაყაყი ან რისი გადაწყვეტა უნდოდა ხელოვანს, ძნელი გასაგები იყო.

კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩნენ მხატვრები, „არტისტერიუმის“ კურატორმა ასე გვიპასუხა:

**— მე კონტაქტები მაქვს მხატვრებთან და კურატორებთან, უამრავი შემოთავაზება იყო. ჩვენ ავარჩიეთ ხელოვანები თემის მიხედვით. თუმცა დავინტერესდით ისეთი მხატვრებითაც, რომელთა ნამუშევრებიც მომავალზე ორიენტირებული არ იყო, მაგრამ რაღაც პოტენციალი დავინახეთ. მომავალი მხოლოდ დროის აღქმა არ არის. ამ ნამუშევრებმა სივრცე შეცვალა და აქტუალურია. განსაკუთრებით დავინტერესდი ბოსნია-ჰერცოგოვინადან ჩამოსული მხატვრით andrei jer kouich-ით, იქაც ომი იყო და ჩვენს ქვეყანასთან კარგი პარალელის გავლება შეიძლება. ჩვენი სურვილია, იმათვის იყოს აქ საინტერესო და ჩვენთვისაც იყვნენ ისინი საინტერესონი.**

მისი რჩევით, აღნიშნულ ნამუშევარს ჩვენც დიდხანს ვუცქირეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისეთი დიდი ფანტაზია აღმოგვაჩნდა, რომ ხელოვანის ჩანაფიქრი ამოგვეცნო და თვითფრინავების უაზრო ფიგურებზე ომი გაგვხსენებოდა.

ქართველი ხელოვანისთვის მომავალი რატომ ასოცირდება კუბოში ჩაწოლილ ცოცხალ გოგონასთან, თან წითელი ვაშლის ჭამის ხასიათზე რომ არის; ხოლო ნაქსოვი თოკი და ფეხსაცმლის ზონარი საერთო აზრს რატომ გამოხატავს ანდა თეთრ თაბახის ფურცელზე გაკეთებული წარწერები: „უხილავი ბადრიჯანი“; „ნესვი — ახალი ჯიში“; „საზამთრო — ახალი ჯიში“, ახალს რას გვეუბნება, რთული მისახვედრი იყო.

მართალია, ამ „ხელოვნების“ შინაარსის გაგება ვერ შევძელით, მაგრამ ..არტისტერიუმი 2010“-ის ერთ-ერთი მთავარი თემა რომ ლესბოსელებისა და გეების პროპაგანდა იყო, ამას ადვილად მივხვდით იქ დარიგებული ბროშურებითა და თანდართული შემდეგი სლოგანებით:

**„რა მნიშვნელობა აქვს ასანთის ფერს: ცისფერი იქნები თუ ვარდისფერი, შენი სექსუალური ორიენტაცია არაფერს ნიშნავს“.**

**„ის ცისფერია, ის ცისფერია, ის ცისფერია, ისიც, მერე რა?“**

სლოგანი: **„სიყვარული მშვენიერია ყველა თავისი ფერით“.** მამაკაცები ერთმანეთს კოცნიან.

ალბათ, სოდომი და გომორი ყველას სმენია. **არატრადიციული ორიენტაციის ადამიანთა არსებობაც პირველად სწორედ აქ გამოიკვეთა. ბოლო დროს უკვე მოდურ ტენდენციად იქცა საკუთარი არატრადიციული** ▶

**თუ უწინ გამოფენის ორგანიზატორებმა შეგვამზადეს, მართალია, რაღაც სისულელეს ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენ „ჩამორჩენილები“ ხომ არ ვართ, წინ ხომ უნდა წავიდეთო, წლეულს სიტყვა არაორდინალურობასა და არაადეკვატურობაზე უკვე აღარავის დასცდენია**

**ახალი ხელოვნების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მხოლოდ ის არის, ვინ უფრო მეტად გააკვირვებს ან შეაწუხებს ვინმეს თავისი პიროვნული ამბიციებით, ე.წ. უკომპლექსობით**




„ნამდვილი სიყვარული სიბერემდე“

ავტორი: ნ. ბაგრატიონი




„სიყვარული მშვენიერია ყველა თავისი ფერით“

ავტორი: ZAK+HARIA

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ხშირად დავდივარ გამოფენებზე, მაგრამ მსგავსი უაზრო და უშინაარსო ნამუშევრები ჯერ არ მინახავს. არ შეიძლება, ყველა არაადეკვატური და უცნაური რამ გამოფინო და ამ ახალგაზრდა ხელოვანების ფანტაზიას „მომავლის ხელოვნება“ უწოდო

◀ ორიენტაციის აფიშირება. მათი აღმოცენება არაჯანსაღ გარემოში ხდება. **თუ უწინ გარყვნილების პირველი წყარო ტელევიზია, კომპიუტერი, პრესა იყო, დღეს პროპაგანდის საშუალებები კიდევ უფრო დაიხვეწა და ნელ-ნელა გვაჩვევენ, რომ ჩვენ, როგორც ევროპული ქვეყნის შვილებმა, ევროპულ კულტურასთან ინტეგრაციაც უნდა მოვახდინოთ.**

გამოფენაზე ყურადღება მივაქციეთ საზოგადოების რეაქციას. თვალშისაცემი იყო, რომ ჩვენგან განსხვავებით, **26 წლის ბექა მურვანიძისთვის** საკვირველი არაფერი ჩანდა. ახალგაზრდა აღფრთოვანებული ათვალიერებდა ნამუშევრებს.

— გამიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილება, პირველად ხართ „არტისტერიუმის“ გამოფენაზე?

**— დიახ, პირველად ვარ, პოსტმოდერნისტულია, ძალიან მომწონს. გარემო თვალისთვის უცხოა. ჩარჩოებში რომ არ ზის, ეს მიზიდავს. ჩემი აზრით, ეს გამოფენა 20 წლის წინათ უნდა ყოფილიყო** (სულ მალე საპატრიარქოს ლანძღვაზე გადავიდა, თუ როგორ უშლიან ხელს ასეთ სიახლეებს).

**მალვინა ყაზარაშვილი, 21 წლის:**

**— ხშირად დავდივარ გამოფენებზე, მაგრამ მსგავსი უაზრო და უშინაარსო ნამუშევრები ჯერ არ მინახავს. არ შეიძლება, ყველა არაადეკვატური და უცნაური რამ გამოფინო და ამ ახალგაზრდა ხელოვანების ფანტაზიას „მომავლის ხელოვნება“ უწოდო.**

ბექა მურვანიძის მსგავსად, „არტისტერიუმი 2010“-ით აღფრთოვანებული სხვა რესპონდენტი ველარ ვიპოვეთ.

დამთვალიერებლებს გამოფენის შეფასება გაუჭირდათ. მათაც მალვინასავით გაუძნელდათ ხელოვნების აღქმა, თუ არ მოეწონათ გამოფენა და ეუხერხულათ პასუხის გაცემა (ასეთი კომპლექსი შევნიშნეთ), ვერ გავარკვიეთ. ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ასეთი სიახლის შეცნობა ქართველებისთვის ძალიან რთული იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ მასობრივ საინფორმაციო საშუალებაში არ დაწერილა ერთი სიტყვაც კი იმის შესახებ, თუ ვინ არიან ეს ხელოვანები, რამდენად მოსაწონი ან ადვილად აღსაქმელია მათი ნამუშევრები საზოგადოებისთვის. **არ ჩატარებულა არანაირი გამოკითხვა და გამოფენის კურატორები. თამამად აცხადებდნენ, რომ „არსებობის სამი წლის მანძილზე, „არტისტერიუმმა“ წარმატებული ღონისძიების სახელი დაიმკვიდრა“. ყოველ წელს გამოფენის ორგანიზატორები ნელ-ნელა „აპარებენ“ და აგუებენ დამთვალიერებელს არაორდინალურ ნამუშევრებს.** ალბათ, ამიტომაც არ გაიზიარა მან (1974 წელს ქალაქ ბელიავოში, ღია ცის ქვეშ გამართული) „ბულდოზერის“ სახელწოდებით ცნობილი გამოფენის ბედი.

წლევანდელი „არტისტერიუმი 2010“ 2 ოქტომბერს გაიხსნა და 8 დღე გაგრძელდა. პარალელურად, „არტისტერიუმი 3“-ის ფარგლებში, გამოფენები სხვა გალერეებშიც მიმდინარეობდა.

სიმპოზიუმის კურატორმა მაგდა გურულმა ახალი ინფორმაცია მოგვაწოდა:

**მომავალ წელს „არტისტერიუმის“ ფორმატი, შესაძლოა, შეიცვალოს. გამოფენაზე უფრო მეტი განხილვა და კამათი იქნება. ხელოვანები თავიანთ ნამუშევრებს გაარჩევენ და დისკუსიას მოაწყობენ.**

**მართალია, გამოფენის ორგანიზატორები დაგვიანებით მიხვდნენ, რომ მხატვრების ნამუშევრების შესაცნობად ახსნა-განმარტება გვესაჭიროება, მაგრამ მთავარია, რომ სერიოზულად დაინტერესდნენ, ამ „თანამედროვე ხელოვნებაში“ ჩვენც გაგვარკვიონ.**

ასე რომ, მოთმინება გვმართებს. 3 წლის განმავლობაში დაგროვილ და გაუცემელ კითხვებზე პასუხს მომავალ წლამდე უნდა დაველოდოთ. მე-4 საერთაშორისო ფესტივალი 2011 წელს, შემოდგომაზე, გაიმართება და უფრო მაშტაბური იქნება.

მანამდე კი ჩვენს უბის წიგნაკში ასეთ შეფასებებს ჩავინიშნავთ: **არანაირი პრინციპი, არანაირი თანმიმდევრობა, არანაირი პასუხისმგებლობა. აშკარაა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი მხატვარი „ავანგარდისტია“. თანამედროვე დასავლური ხელოვნების ნიმუშების ზედაპირული ცოდნა ყველაფრის ნებადართულობის ილუზიას ქმნის და თურმე შესაძლებელია, მხოლოდ გეომეტრიული ფიგურებით ან სხვადასხვა სისქის მონასმებით, ლაქებით ოპერირება. სურათზე საერთოდ უარის თქმა და ნებისმიერი შემთხვევითი საგნის, ობიექტის ან ინსტალაციის კეთება. დასავლეთის თანამედროვე ხელოვნებაში, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, ჩამოყალიბებული შეფასების სისტემა არსებობს, რომლის მეშვეობით არტისტები, არტკრიტიკოსები და ექსპერტები ნამდვილ პროდუქციას კუსტარული იმიტაციებისგან ადვილად არჩევენ.**

როგორც ჩანს, **ახალი ხელოვნების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მხოლოდ ის არის, ვინ უფრო მეტად გააკვირვებს ან შეაწუხებს ვინმეს თავისი პიროვნული ამბიციებით, ე.წ. უკომპლექსობით.**

ალბერ კამიუ „მხატვრების“ შესახებ წერდა: **„ტრადიციის გარეშე მხატვარს უჩნდება ილუზია, რომ ის თვითონ ქმნის წესებს; ის უკვე ღმერთია“.**

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა სავსეა ამგვარი ...ღმერთებით“.

ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ საქართველოში ნამდვილი შემოქმედნი, რომლებიც თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან, არ არსებობენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენში ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები კვლავ იქმნება, თუმცა არც ისე ბევრი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

**ნინო სამნიაშვილი, მარიამ გრიგორიანი**

# ვინ შეკაზმავს... ვირს?!

**მართალია, ჩვენი ოთხფეხა, ზემოთ ნახსენები მეგობარი ჩემს შემოქმედებაში ეპიზოდურ როლში უნდა ვიხილოთ მხოლოდ, მაგრამ, გამიგონია, „კარგი სათაური ნახევარ ნაწარმოებს უდრისო“. თუ ასეა, მე, მაგალითად, ეს დასათაურება მომწონს და აქედან გამომდინარე, ჩემი საწერის ნახევარი უკვე დამიწერია. ნახევარსაც ქვემოთ მოგახსენებთ და „გავიასნდებით“.**

კი არ მიყვარს, ვიღაცები რომ იტყვიან და ყველა ატყდება და აყვება, ვისაც „ხოში“ აქვს, მაგრამ სულ იმის ბრალია, რომ საქართველოში ადრიანად აცივდა. თქვენ წარმოიდგინეთ, **ამ აციებულზე ცოტა ხნით ადრე როგორ მიარღვევდა შავი ზღვის მარილიან ტალღებს ჩვენი ახოვანი, დაკუნთული და „მტრისთვალისდამაფსებელი“ ხელმწიფე. მერე როგორ ამოვარდა წყლიდან და როგორი თავგამოდებით უხსნიდა მთელ მსოფლიოს მშობლიურ ენაზე, რომ ზღვა ოქტომბერში ისე თბილია, ვით გოგირდის აბანო და, რომ არა მტრის სკეპტიკური „ყიყინი“, ბათუმში მთელი ექვსი (!) თვე, პრაქტიკულად, საზღვაო სეზონია.**

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ნოემბრის პირველი რიცხვებია. თან მცივა, თან მეცინება.

ჯერ ერთი, საქმე ისაა, რომ საქართველოში გაზაფხულს ისეთი თქეში წვიმები და სიცივე ახლავს, ბარე მაის-ივნისამდე „კურტკა-შუბებს“ ვერ ვიცილებთ. ივნის-ივლისში კი გვწყალობს მზე, მაგრამ საკუროროტო სეზონი, ისიც ზღვაზე, ამ პერიოდში იხსნება. დარჩა ივლისის ბოლო და აგვისტო, ისეთი ცხელი, რომ, სამ დღეს ვერ ძლებენ ზღვაზე და ისევ თბილისში ბრუნდებიან ჩვენი თბილისელები. მერე სექტემბერში ცოტა აგრილდება და... აი სექტემბერ-ოქტომბრის პირველ ნახევრამდე კი შეიძლება ზღვაში იჭყუმპალაო კაცმა, მაგრამ **ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისი ბათუმის ზღვის წყალში ნამდვილი სტაფილოსცხვირიანი თოვლის ბაბუა რომ ჩააგდო, სიცივე გააცოცხლებს და წივილ-კივილით ამოვარდება წყლიდან.** ასეთი მათემატიკით ბათუმში „კრუგლაგოდნი“ სეზონი ყოფილა. მაგრამ, თუ წესიერად ვიანგარიშებთ, არა ექვსი თვე, არამედ ჩვენში სეზონი 3 თვე ყოფილა და არა — ორჯერ 3, მაგრამ ტყუილს რომ მოკლე ფეხი აქვს, სკოლაში ასწავლიან ბავშვებს. თუმცა ყველა ვერ იმახსოვრებს...

წინა ხელმწიფემ, შევარდნაძემაც გულიანად იცინა, რა მოხდა მერე, ენერგიით სავსე კაცია ჩემი შემცვლელი, 3 კილომეტრი და მეტიც გაცურაო, მერე რა, რომ ტრუსიკით იდგა კამერის წინ, აბა, წყალში პალტოთი ვინ ცურავსო, მაგრამ მერე თვითონაც შერცხვა, — **„მოსაკლავი მე ვარ თვითონ“** რომ ისე ვერ აღვზარდე, როგორც მინდოდაო. ეგ კი არა, თავისი უნიკალური, გურული იუმორიც გამოაჩინა ბრჭყალივით და დასძინა: **„მაგას მსოფლიოს გასაოცებლად ერთი „მუღამი“ კიდევ აქვს, რა და... „მთლად შიშველი არავის უნახავს ჯერო“.**

მიმბაძველობა არადამოუკიდებლობის მავნე ჩვევაა. ესეც ცდუნებას ვერ უძლებს და ბაძავს რუსთხელმწიფეს. კარგი, მიბაძე, ბატონო! ცურვით, თუ გინდა, წყნარი ოკეანეც გადაცურე და ასე „უფასოდ“ გადადი მეზობელ ქვეყნებში, თვითმფრინავიც მართე შენით, მერე რა, რომ პილოტიც იქვე ზის და გგონია, რომ „ვერა გვხედამენ (მიგანქარდი)“ და, ასემც გიქნია, ამერიკის იქითაც წასულხარ, ტრაქტორ-კომბაინებიც მართე, თვალს გაუხარდება, ცხენიც შეკაზმე, თუ რუსთხელმწიფეს ცხენზე ამხედრებულს დაინახავ. მაგრამ, **რომ მოხდეს გაუთვალისწინებელი „იალლიში“ და ერთ დღეს ეს ჩვენი ორი მეტრი სიგრძისა და მეტრა ოცი სიგანის X-კილოიანი ხელმწიფე ვირს გადააჯდეს, ხომ დააჭყლიტა საწყალი ცხოველი ახალდაგებულ ასფალტზე?!! ჯანდაბას ერთი ვირი, ვირების მეტი რაა საქართველოში, ოღონდ მერე იმას ნუ იტყვი, 350 კმ/სთ-ს ავითარებენ ქართული ვირებიო...**

## რომ მოხდეს გაუთვალისწინებელი «იალლიში» და ერთ დღეს ეს ჩვენი ორი მეტრი სიგრძისა და მეტრა ოცი სიგანის x-კილოიანი ხელმწიფე ვირს გადააჯდეს, ხომ დააჭყლიტა საწყალი ცხოველი ახალდაგებულ ასფალტზე?!

* * *

**ვინც პირველად „მოდელირებული“ შოუ მოაწყო და თქვა, პრეზიდენტი მოკლესო, ის არ მოესწროს პირადად მაგას.**

**ხომ ტყუილი გამოდგა ყველაფერი... ამოვისუნთქეთ შვებით ამ დაზაფრულმა ხალხმა. კაი და, მართალი ყოფილიყო?!**

**მაგრამ რას იზამ? „შუტკა“ „შუტკაა“.**

ისე, ერთი ქართული ზღაპარი თუ იგავ-არაკი გამახსენდა ახლა, პატარა ბიჭი რომ იყვირებდა „არიქა მგელიო!“, გამოცვივდებოდნენ გლეხები ყანებიდან თოხებით და ბარებით და... არაფერი. ასე გაიმეორა ამ ცრუპენტელა ბავშვმა რამდენჯერმე, ასე ატყუა გლეხები, მერე მართლა მოვარდა მგელი. გლეხებმა იფიქრეს, ისევ გვაბითურებს მაგი მამაძაღლიო, აღარ მიაქციეს ყურადღება და, თუ როგორ დაამთავრა იმ ბიჭმა, პატარებს ნუ მოუყვებით, თორემ ღამე აღარ დაეძინებათ.

რა მაგის პასუხია და, **ამასწინათ 16-17-18-19-ჯერ გადმოსცეს ტელევიზიით, რომ ჩვენებს კონტრდაზვერვის ოპერაცია ჩაუტარებიათ და 10-11-12-13 თუ მეტი ჯაშუში გამოუვლენიათ. გამოუვლენიათ და დაუჭერიათ კიდეც. ახლაო, ჩვენო ეს ამბავი კარგა ოთხი-ხუთი წლის წინათ ვიცოდითო, მაგრამ ხომ მაინც დავიჭირეთო?! ბორჯომის ხეობაში ჰყავდათ ქართველებს ჩამალულიო, იმას ათავისუფლებ?**

თანაც ტელეეკრანზე ეს კაცი ისეთი დალაგებული და არხეინი ტონით ლაპარაკობდა ყველაფერ ამაზე, გეგონებოდათ, მამიდაშვილს უყვება, — პანტიანში ხინკალს მარილი აკლდაო.

ვისაც გინდათ, დაიჯერეთ... მერე მეც მომიყევით უფრო გასაგებად და, თუ არ დავიჯერო, ვირიშვილი ვიყო... (ვირი აქაც დაგვჭირდა სათაურიდან გამომდინარე).

* * *

ომი და ომთან დაკავშირებული თემები წყალსაც წაუღია.

გული მიყუჩდება ამ ბოლო დროს. მგონი, სიბერემ იცის ეგ... თუმცა არც მთლად ეგრეა საქმე, ჩემზე უფროსებს კიდევ ვაჯობებ. რაზე ამიყუჩდა გული და ტელევიზორს ვუყურებდი ჩემთვის წყნარად და ლამაზად. რა რეკლამებს აკეთებენ ჩვენი „ტელერეკლამისტები“, პირდაპირ აგატირებენ სიხარულით.

**მეო,** — პატარა გოგო ამბობს, — **ძალიან ბედნიერი ბავშვობა მაქვსო, განსაკუთრებით ჩემი ბედნიერი ბავშვობა, სკოლაში რომ წავედი, იმან გააძლიერა, მაგრამ ეგ რაა იმასთან შედარებით, რასაც მანდატურები მანიჭებენო. მანდატური დეიდა ჩემი „პრიამოი დაქალი-მეგობარია“, შოკოლადს მაძლევს ყოველდღეო.** და იქვე აჩვენებენ, რომ არ ტყუის პატარა გოგო და ცქრიალა მანდატური დეიდა მართლაც აძლევს მოგრძო შოკოლადს (კილო 13-14-15 ლარი ღირს).

მომკალით და, რაღაც ეჭვი გამიჩნდა. არა, განა ჩვენს უშიშროებაზე? არა... ვიფიქრე, კიდევ რომ არ გვცდიან მაშინდელივით და კიდევ ხომ არ „გვამოდელირებენ“-მეთქი?

კაცმა რომ თქვას, ეჭვს საფუძველიც უნდა ჰქონდეს.

მერე და ვინ გითხრათ, რომ არ აქვს?

**ჯერ ერთი, შე დალოცვილო, თუ იცოდი, რომ ეს დაწყევლილი ჯაშუშები 2006 წლიდან მუშაობდნენ და გვიღრღნიდნენ ფესვებს, ამდენ ხანს რას უცდიდით? მაინცდამაინც ომი უნდა გაეჩაღებინათ 2008 წელს, რომ 2010 წლის ბოლოს აგეყვანათ?**

თანაცო, — აცხადებენ, — ვინც აღიარებს, რომ უცხოეთის დაზვერვასთან ჰქონდა „ტუდი-სუდი“ ამბები, პასუხისმგებლობიდან ვათავისუფლებთო.

აბსურდია, რადგანაც **სამშობლოს მოღალატეებს ყველა ქვეყანაში ისე ექცევიან, როგორც მოღალატეებს და ეს „მოქცევა“ ძალიან მკაცრია, როგორც გამიგონია. შენ კი კაცს, რომელიც აცხადებს, რომ გაგანია (2008 წ.) ომის დროს რუსებს ცნობებს ვაწვდიდი, რომ ჩვენი საფრენი აპარატები, ანუ „ვერტალიოტები“**

ახლა, რომ დავიანგარიშე, თუ რა ჯდება თითო ბავშვზე თითო შოკოლადი ყოველდღე (არადა, შენ რომ მანდატური ხარ, მარტო ერთს ხომ არ მისცემ, რა მაგალითია?!), იმხელა ციფრი მივიღე, რომ შემეშინდა და ტელევიზორი სასწრაფოდ გადავრთე სხვა არხზე.

გული რამ ამიჩუყა და იმან, რომ ის პატარა გოგო მტკიცე ხმითა და გამომეტყველებით გვეუბნება ეკრანიდან: **„რომ გავიზრდები (ნეტავ, მალე გავიზარდოო), ხომ არ გგონიათ, ან მარჯვნივ გავიხედავ, ან მარცხნივ? პირდაპირ მანდატური გამოვალ, იცოდეთ აქედანვეო!“. რომ წარმოვიდგინე, თუ რამდენი გოგო და ბიჭი გაიზრდება და ყველა გამანდატურდება. ცრემლები წამომივიდა და მამტყუნებთ?** ახლა იმას ვფიქრობ — ეს ტექსტი ზეპირად შეასწავლეს ტელევიზორში საჩვენებელ მომავალ მანდატურებს, თუ ფონოგრამა დაადეს?

გეტყვის ვინმე სიმართლეს?!

თქვენ გეშველათ და მეც, წავედი, მგონი, ბოლოსკენ, თუმცა საწერი და სამსჯელო იმდენია, რა „პასტა“ და რა ფურცელი გაუძლებს. ამდენ „საჯაყ“ რაღაცებში ჩაროზად სასიამოვნო ამბავი უნდა გაჯახოთ. რა და, **კვეზერელი როა, ჩვენი სოფლისა და ჭამის მინისტრი, იმას უთქვამს, ხორცი უნდა გაიაფდესო.**

ამ ჩვენმა ტელეჟურნალისტებმა ეს ნათქვამი აიტაცეს, „დადროუეს“, გააფუეს და ასე გადმოსცეს: ხორცი რომ ადრე 12 ლარი ღირდა, ახლა 11 გახდება და 25-30%-ით დავარდა ფასიო.

მე სკოლაში სულ სხვანაირად მასწავლეს. ვთქვათ, 12-დან ერთი მანათი სულაც არაა 25-30%, მაგრამ ჩემი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალი საუკუნე დადგა და, ალბათ, პროცენტობის მაჩვენებელიც შეიცვალა. ისე, **ჩვენს ტელეჟურნალისტებს, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ უმრავლესობას, მათემატიკასა და მიმატება-გამოკლებას როგორ მოვთხოვ, ოღონდ სიტყვების მიმატება-გამოკლება მოახერხონ წესიერად.**

ხორცი ხორცად, მაგრამ არც ამის დაჯერება შეიძლება მაინცდამაინც, იმიტომ, რომ... იმიტომ... და რატომაც? აგერაა, ბატონო, ეს თბილისი, აგერაა ეს ყასბები და ბაზრები და თქვენი თვალით ნახავთ ყველაფერს, ისე, ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე.

ან კი როგორ შევცდები, მიუხედავად ძმები „გრეჩიხების“ ქრონიკული ტრაბახისა: „აწი ჩვენ ვიცით, მიშააა!“, გრეჩიხა ბაზარზე 1,5-დან 6 ლარამდე ავიდა გრეჩიხული ცელსიუსით.

მომავალ შეხვედრამდე, „დამოდელირებულო“ მკითხველო!

**მურმან მერკვილიშვილი**

10 — 16 ნოემბერი, 2010 წელი. №41 (84)
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ანტონესკუ იონი — რუმინელი ფიურერი



**1882 წლის 25 ივნისს რუმინეთის ქალაქ პიტეშტში ქვეყნის მომავალი დიქტატორი დაიბადა. 1907 და 1918 წლებში, როგორც არმიის ოფიცერი, გლეხების აჯანყებების სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობდა. პირველი მსოფლიო ომისა და უნგრეთის სამხედრო ინტერვენციის (1919) პერიოდში სამხედრო მსახურების შემდეგ ჯერ პარიზში, შემდეგ კი ლონდონში სამხედრო ატაშეს მნიშვნელოვან თანამდებობაზე დაინიშნა. 1933 წელს ანტონესკუ რუმინეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი გახდა.**



იონი ჰიტლერთან ერთად განიხილავს რუმინეთთან საბჭოთა ჯარის მიახლოებას

ფაშიზმის გაძლიერება, ეკონომიკური სირთულეები, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა მრავალი ფაქტორი რუმინეთის მმართველ წრეს დიქტატურისკენ უბიძგებდა. **1937 წლის 29 დეკემბერს შექმნილ ნაციონალურ-ქრისტიანული პარტიის მთავრობაში ანტონესკუმ, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა ფაშისტურ ორგანიზაცია „რკინის გვარდიასთან“, სამხედრო მინისტრის თანამდებობა დაიკავა. 24 თებერვალს მიღებულმა კონსტიტუციამ დიქტატურა დააკანონა, მინისტრები მონარქს დაუქვემდებარა და პარლამენტი სათათბიროდ აქცია.**

ამ პერიოდში ევროპაში გერმანიის აგრესია ძლიერდებოდა. **მეფე კაროლ II საფრანგეთს, ბრიტანეთსა და გერმანიას ეწვია და ფიურერს გულწრფელი ლოიალობა შეჰფიცა,** მაგრამ ის ჯერ კიდევ ბრიტანეთში იყო, როდესაც რკინის გვარდიელები ანტონესკუს დახმარებით პუტჩისთვის უკვე მზად იყვნენ.

**ჰიტლერი განუწყვეტლივ ეძებდა საშუალებას, მეფე გაცილებით სანდო პოლიტიკური ფიგურით შეეცვალა. და იპოვა კიდეც — არჩევანი ანტონესკუზე შეჩერდა.**

სამხედრო მინისტრის პოსტიდან სამხედრო ოლქის სარდლად გადასვლის შემდეგ ანტონესკუ რუმინეთის მხრიდან ანგლო-ფრანგულ და გერმანო-იტალიურ ბლოკებს შორის დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებდა და მხოლოდ გერმანიაზე ორიენტირებას ითხოვდა. **გადატრიალების საბაბად კაროლ II-ის ხელისუფლების მიერ ვენის პირველი არბიტრაჟის პირობების მიღება და ჩრდილო ტრანსილვანიის უნგრეთისთვის გადაცემა გახდა. რკინის გვარდიელების ხელმძღვანელმა ხორია სიმამ პროტესტის ნიშნად დაუყოვნებლივ დატოვა მთავრობა, ანტონესკუმ კი მეფეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მას ქვეყნის მართვის უუნარობაში ადანაშაულებდა.**

ამასობაში ჰიტლერელებმა იზრუნეს, რომ ქვეყანაში ძალაუფლება „რკინის გვარდიისა“ და ანტონესკუს ხელში გადასულიყო. **5 სექტემბერს მეფემ ანტონესკუ მთავრობის მეთაურად დანიშნა და დიქტატორული უფლებები მიანიჭა, მეორე დღესვე ანტონესკუმ მეფე აიძულა, ტახტიდან გადამდგარიყო თავისი ვაჟის — მიხაის სასარგებლოდ და სამუდამოდ გამგზავრებულიყო რუმინეთიდან;** თავად კი საკუთარი მთავრობა ჩამოაყალიბა და მასში წამყვანი თანამდებობები, ცხადია, რკინის გვარდიელებს დაურიგა, სიმა პრემიერ-მინისტრის მოადგილე გახდა.

**მონარქია მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით შენარჩუნდა. 19 წლის მიხაიმ ანტონესკუს „ქვეყნის გარდაქმნაში“ წარმატებები უსურვა, თავად იონმა კი საკუთარ თავს რუმინელი ფიურერი უწოდა და გარდაქმნებიც დაიწყო.**

**გააუქმა რა 1938 წლის კონსტიტუცია და ამით ბოლო მოუღო ქვეყანაში პარლამენტარიზმის უკანასკნელ ნარჩენებს, ანტონესკუმ მიინიჭა უფლება, ქვეყანა ხელშეუხებელი საკუთარი დეკრეტებით ემართა.** ახლადგამომცხვარმა დიქტატორმა ბერლინში აფრინა წერილი, რომლითაც ჰიტლერს ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ ჰიტლერმა იცოდა, რომ ანტონესკუს დიქტატურა მისი მხარდაჭერის გარეშე ვერ გაძლებდა. ეს თავად დიქტატორმაც იცოდა და ამიტომ ჰიტლერს გერმანიის მექანიზებული და საავიაციო შენაერთების გაგზავნას სთხოვდა. **ოქტომბერში ჰიტლერის ჯარი უკვე რუმინეთში იდგა, დეკემბერში ამ ჯარის შემადგენლობა 500.000 კაცს აჭარბებდა.**

**ქვეყნის შიგნით ანტონესკუს რეჟიმი თავიდანვე ტერორისტული ხასიათისა იყო. ჯერ კიდევ 1940 წლის სექტემბერში რუმინეთში 35 საკონცენტრაციო ბანაკი და ციხე ფუნქციონირებდა.**

**ადამიანის უფლებები სრულ ლიკვიდაციას დაექვემდებარა,** სამრეწველო დაწესებულებების უმრავლესობა მილიტარიზებულ იქნა და წესების ყველა დამრღვევი სამხედრო ტრიბუნალით სამართლდებოდა. „რკინის გვარდია“ ახალი რეჟიმის მმართველ ძალად იქცა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მის მიმართ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თანამდებობიდან თავისუფლდებოდნენ და მკაცრად ისჯებოდნენ. **ხელისუფლებაში მოსულმა რკინის გვარდიელებმა მასობრივი ტერორი და ყველა პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ბანდიტური მეთოდებით ანგარიშსწორება დაიწყეს.**



ანტონესკუ იონი



ჰიტლერთან ერთად

„რუმინიზაციის“ კამპანიის ფარგლებში რკინის გვარდიელების პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და ებრაელებს ყველა საწარმო ჩამოერთვათ, დაიწყო „მართვადი ეკონომია“, ყველა სფეროში შექმნილმა დეფიციტმა კი ეკონომიკა სრული პარალიზების ზღვრამდე მიიყვანა. **ანტონესკუ იძულებული გახდა, გამოსულიყო განცხადებით, ამოეძირკვათ „ყველაფერი ცუდი სახელმწიფოს ადმინისტრაციიდან და ეკონომიკიდან“ და ამაში „რკინის გვარდიის“ არაკომპეტენტური და მავნე ჩარევა იგულისხმებოდა. კრიზისი პოლიტიკურ სფეროსაც მოედო — ლეგიონერები გახსნილად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კი ოდესმე ეწინააღმდეგებოდა მათ.**

იონმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც „საზოგადოებრივი წესრიგის“ დარღვევა სიკვდილით დასჯას ან 10 წლამდე კატორღულ შრომას ითვალისწინებდა. 1940 წლის 30 ნოემბერს კი ლეგიონერთა პოლიცია ოფიციალურად დაშალა, მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულებულა, სიმა ხშირად სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებდა. **კონფლიქტი იმდენად გამძაფრდა, რომ პოლიციის უფროსმა ლეგიონერმა, ვინმე გიკამ 1941 წლის იანვარში გასცა განკარგულება, არ შეესრულებინათ გენერალ ანტონესკუს ბრძანებები. ბოლოს და ბოლოს, ანტონესკუ ბერლინში წავიდა, რათა რკინის გვარდიელთა ასალაგმად ხელფეხი გახსნოდა და ჰიტლერისგან სრული მხარდაჭერა** მიიღო. **19 იანვრის ღამეს რკინის გვარდიელები აჯანყდნენ და სამი დღის განმავლობაში უმოწყალოდ ხოცეს ბუქარესტის მოსახლეობა. ანტონესკუმ სამი დღე იცადა და, როდესაც აჯანყება მთელ ქვეყანას მოედო, ჯარს მისი ჩახშობა უბრძანა.**

„რკინის გვარდია“ განადგურდა, სიმა დააპატიმრეს, მაგრამ ანტონესკუმ მისი სიკვდილით დასჯა ვერ გაბედა და იგი გერმანიაში გაგზავნა. თავად კი მხოლოდ თავისი მომხრეებისგან დააკომპლექტა მთელი მთავრობა. მინისტრის 12 თანამდებობიდან 9 გენერლებს ეკავათ. სხვა მხრივ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა.

ქვეყნის ეკონომიკაში დომინირებული მდგომარეობა გერმანულ კაპიტალს ეკავა. ოფიციალურად მის მფლობელობაში გადავიდა ქვეყნის ოთხი უმსხვილესი ბანკიდან ორი. **ანტონესკუს მიერ მოწვეულმა გერმანულმა დივიზიებმა, ფაქტობრივად, რუმინეთის ოკუპაცია განახორციელეს. ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა სულს ღაფავდა.**

1941 წლის 22 ივნისს ანტონესკუმ რუმინეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩააბა. 16 ოქტომბერს უდიდესი დანაკარგებით რუმინეთმა ოდესა აიღო, ანტონესკუმ ომი „მოგებულად“ გამოაცხადა და ნაწილობრივ დემობილიზაციას შეუდგა. მაგრამ 1942 წლის იანვრიდან ფრონტის ხაზებზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ჰიტლერმა რუმინეთისგან დამატებითი დივიზიები მოითხოვა. ამ დროს ანტონესკუ უკვე თვითგამოცხადებული მარშალი იყო და გერმანიას იმაზე ორჯერ მეტი ჯარი დაახმარა, ვიდრე ჰიტლერი ვარაუდობდა. **ცოტა ხანში რუმინეთის ჯარი თითქმის მთლიანად განადგურდა. ქვეყანაში ანტისამხედრო და ანტიფაშისტური გამოსვლები მატულობდა.**



ებრაელების დახვრეტა

1943 წელს რუმინეთის ხელისუფლებას საბოლოოდ ჩაუკვდა როგორც გერმანიის მიერ თვალდადგმული ჩრდილოეთ ტრანსილვანიის, ასევე აღმოსავლეთით მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების იმედი. **ომმა ანტონესკუს მთავრობა არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ სფეროშიც სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა. გარკვეული დროით მდგომარეობა საბჭოთა კავშირში ნაძარცვმა სიმდიდრემ გადაარჩინა, მაგრამ უმუშევრობა უკვე ყველანაირ საზღვრებს სცდებოდა. თუ ვინმე კიდევ მუშაობდა რომელიმე გასამხედროებულ საწარმოში, დღეში 18 საათი უწევდა საქმიანობა. უმნიშვნელო დარღვევისთვის კომენდანტები ყველას უსასტიკესად სჯიდნენ. მალე ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ ქვეყნის შიგნით მომხრეები აღარ მოეპოვებოდა. „ისტორიული“ პარტიების ცოცხლად გადარჩენილმა ლიდერებმა მთავრობაში მუშაობაზე უარი განაცხადეს. ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მწიფდებოდა.**

იონის ნებართვით, მისმა მოადგილემ დასავლეთის სახელმწიფოებთან სცადა მოლაპარაკება და მშვიდობის მიღწევის შემთხვევაში დიქტატორმა ძალაუფლების დათმობის პირობაც კი დადო. **მაგრამ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა ცხადყოფდა, რომ დასავლეთთან მშვიდობიანი შეთანხმება არაფერს შეცვლიდა — საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენას გახსნილად ვერავინ დაუპირისპირდებოდა.**

1944 წლის 1 იანვარს დიქტატორმა დასავლეთის ქვეყნებს მიმართა და ამ მიმართვისას ფაქტობრივად ევედრებოდა, შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარი. **იმავე წლის 12 აპრილს საბჭოთა კავშირმა რუმინეთს ულტიმატუმი წაუყენა და ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა მოსთხოვა. ანტონესკუმ უარი განაცხადა.**

პარალელურად მეფე მიხაი კომუნისტურ იატაკქვეშეთთან ერთად შეთქმულებას ამზადებდა. **23 აგვისტოს მიხაიმ ანტონესკუ სამეფო სასახლეში იხმო და ზავის დადება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამით მეფე მიხვდა, რომ მოლაპარაკება არ გამოვიდოდა და დაცვას დიქტატორის დაპატიმრება უბრძანა.**

იგივე ბედი გაიზიარეს მისმა მინისტრებმაც. მეფემ ტყვეები საბჭოთა კავშირს გადასცა, მათ კი უკან დაუბრუნეს რუმინეთის ახალ რეჟიმს. გაატარა რა ორი წელი ციხეში, იონ ანტონესკუ რუმინეთის კომუნისტური სასამართლოს წინაშე წარსდგა. სასიკვდილო განაჩენი 1946 წლის 1 ივნისს მოიყვანეს სისრულეში.

# დიდი ომების პროვოცირების იარაღი სპეცსამსახურებისთვის

**გლობალიზმს, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების იდეოლოგიას, მითების გარეშე თვითდამკვიდრების უნარი არ გააჩნია. ამ უკანასკნელთა კატეგორიას განეკუთვნება მითი მზარდი ტერორისტული საფრთხეების შესახებაც. ეს მითი „კონტრტერორისტული ოპერაციის“ საფარქვეშ პირდაპირი გენოციდის მყარი საფუძველია. მეორე მითი კი იმ მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობაა, რომელშიც სხვადასხვა ტრადიციების მიმდევრები „თანაარსებობენ და წარმატებით ურთიერთქმედებენ, თითქოსდა ვერც ამჩნევენ კულტურულ სხვადასხვაობებს“.**



პირველი მითი რომ წმინდა წყლის ტყუილია, ამაზე ხშირად მეცნიერებიც საუბრობენ და დამადასტურებელი მასალებიც არაერთხელ წარმოუდგენიათ. ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა თვითმკვლელი ტერორისტების პრობლემისადმი მიძღვნილი უდიდესი მსოფლიო აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ორი ხელმძღვანელის რ. პეიპისა და ჯ. ფელდმანის წიგნი სახელწოდებით **„პატრუქის გადაჭრა: თვითმკვლელი ტერორისტების მსოფლიო აღზევება და როგორ შევაჩეროთ ეს“.** ნაშრომში ღრმადაა გაანალიზებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით წლების მანძილზე დაგროვებული მონაცემები ტერაქტებზე, რომლებშიც თვითმკვლელი ტერორისტები მონაწილეობდნენ.

ამ თემაზე სპეციალიზებული მეცნიერების დასკვნები განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. **როგორც ირკვევა, 24 წლის მანძილზე, ანუ 1980-დან 2003 წლამდე მსოფლიოში თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმის სულ 350 შემთხვევაა აღწუსხული.**

ამ საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 15%-ის, ანუ 52,5 ტერაქტის შემთხვევაშია შესაძლებელი ვივარაუდოთ, რომ ისინი აშშ-ის მოქალაქეების წინააღმდეგ იყო მიმართული. სამაგიეროდ, უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მხოლოდ **6 წლის განმავლობაში, 2004-დან 2009 წლამდე, მსოფლიოში სულ 1833 ტერაქტი განახორციელეს თვითმკვლელმა ბოროტმოქმედებმა და მათგან 92%, ანუ დაახლოებით 1686 შემთხვევა, სწორედ ამერიკელების წინააღმდეგ იყო მიმართული.**

**თვითმკვლელი ტერორისტების ასეთი ტემპით გამრავლებისა და გამძვინვარების მიზეზი სხვა არაფერია, თუ არა აშშ-ისა და ნატოს ომები ავღანეთსა და ერაყში და ამ ქვეყნების პირდაპირი ოკუპაცია.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ტერორიზმი“ 2003 წლამდე (სწორედ 2003 წელს დაიწყო ამერიკული ინტერვენცია ერაყში) და მას შემდეგ შინაარსის მიხედვით ორი სხვადასხვა მცნებაა და ანტიტერორისტული კამპანია არანაირი დონით არ პასუხობს მის ღიად დეკლარირებულ მიზნებს. ანტიტერორისტული კამპანია სხვა არაფერია, თუ არა ნავთქურა, რომელიც წარმოუდგენელია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხანძრის ჩასაქრობად გამოდგეს. **როგორც პეიპი და ფელდმანი წერენ, სწორედ „სამხედრო ძალდატანებაა მთელ მსოფლიოში თვითმკვლელების მიერ განხორციელებული თითქმის ყველა ტერაქტის მიზეზი, უკიდურეს შემთხვევაში, 1980 წლიდან“.**

დასკვნების გაკეთებისას წიგნის ავტორები უფრო შორსაც წავიდნენ და განაცხადეს, რომ ინტერნაციონალური ტერორიზმის ნამდვილი მიზეზი „რეგიონალური პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ უცხოეთის მხრიდან მათ საქმეებში ჩარევისა და დამოუკიდებლობის შელახვისგან თავდაცვაა“. ამ ჩარევის უკიდურეს ფორმებად ომები და ოკუპაციები რჩება, ამგვარი ქმედებები კი, ცხადია, „ადეკვატურ პასუხს — თვითშეწირვას ითხოვს“.

დასკვნა „ანტიტერორისტული“ მითის მთელ სიცრუეს ააშკარავებს. მითისა, რომელიც გლობალიზმის აგენტების მიერ ვითომდა „სახალხო ფესვებს მოგლეჯილი“ ფანატიკოსების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების გასამართლებლად გამოიგონეს.

**აშშ კი არ აიძულეს ფანატიკოსმა ფუნდამენტალისტებმა „ტერორიზმთან გლობალური ომი“ წამოეწყო (ამ ომს მხოლოდ ერაყში ასი ათასზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები ემსხვერპლა), არამედ პირიქით — საზღვარგარეთულმა სამხედრო ინტერვენციამ არ დაუტოვა არჩევანი მათ, ვისაც დამპყრობლებმა ნაციონალური თვითგანსაზღვრის თავისუფლება წაართვეს. ამიტომ ისეთი ტერორისტული აქტების უკან, როგორიც „9/11“ ან მისი მსგავსი სხვა დანარჩენი იყო, დგანან სპეცსამსახურები, რომლებიც „დიდი ომის“ დასაწყისის ან შემდგომი ესკალაციის პროვოცირების ამოცანას ასრულებენ.**

მშვიდობიანი ობიექტების მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად აფეთქებით — სამხედრო მოქმედებებისკენ, სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან — ახალი შაჰიდების გენერაციისკენ, ტერორისგან, რომელიც ახდენს ობივატელის პროვოცირებას, გაამართლოს „საპასუხო სამხედრო დარტყმა“, — ტერორისკენ, რომელიც ახდენს მისგან დაზარალებულთა მაგრამ გადარჩენილთა პროვოცირებას, შური იძიონ თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად... **და გლობალური ომის მექანიზმიც ამუშავებულია, ოღონდ არავინ იცის, ვინ მოიყვანა მოქმედებაში ეს მექანიზმი და რა მიზნით.**

ისტორიული ანალოგიები თავისთავად მეტყველებს: XX საუკუნის ორივე მსოფლიო ომის მიზეზადაც ღია ტერორისტული პროვოკაცია იქცა და ორივე შემთხვევაში პროპაგანდის „წყალობით“ ისინი მშობლიურ ობივატელს სწორედ „კონტრტერორისტულ ოპერაციად“ წარუდგინეს.

**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი იძულებული გახდა, გლობალიზმის „ანტიტერორისტული“ მითი გამოემჟღავნებინა. პოტსდამში საკუთარი პოლიტიკური პარტიის — ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ) ახალგაზრდული ფრთის წინაშე გამოსვლისას მან აღიარა, რომ გერმანიის ტერიტორიაზე „მულტიკულტურული“ საზოგადოების მშენებლობის ცდები წარუმატებლად დასრულდა.** პრეტენზიები საბოლოო ჯამში იქამდე დავიდა, რომ მუსლიმანმა (უპირველეს ყოვლისა, საუბარია თურქებზე) „მიგრანტებმა, რომლებიც გერმანიაში სამუშაოდ ჩადიან, გერმანულ ენაზე უნდა ილაპარაკონ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ შრომის ბაზრის სრულფასოვან მონაწილეებად ქცევას“. **მიუხედავად ამგვარად გამოხატული უკმაყოფილებისა, ფრაუ მერკელის დასკვნები ძალიან ჰგავდა მთელი ევროპის მასშტაბით ძალზე გახმაურებული წიგნის „გერმანიის თვითგანადგურება“ სულისკვეთებას. ამ წიგნის ავტორი — ბუნდესბანკის დირექტორთა საბჭოს ყოფილი წევრი და ბერლინის ექს-სენატორი ტილო სარაცინი — მუსლიმანურ ემიგრაციას პირდაპირ უწოდებს გერმანული სახელმწიფოებრიობისთვის შექმნილ საფრთხეს.**



**ტილო სარაცინი: „მე არ უნდა ვაღიარო ისინი, ვინც სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს. სახელმწიფო უარყოფს რა ამას, არ ზრუნავს საკუთარი შვილების განათლებაზე და მუდმივად აწარმოებს ახალ თავსაფრიან (მუსლიმან) გოგონებს“.**

## ანგელა მერკელმა აღიარა, რომ გერმანიის ტერიტორიაზე „მულტიკულტურული“ საზოგადოების მშენებლობის ცდები წარუმატებლად დასრულდა



**ანგელა მერკელი: „1960-იანი წლების დასაწყისში ქვეყანამ მუშები მოიწვია და ისინი ახლა აქ ცხოვრობენ. გარკვეული დროის მანძილზე ჩვენ თავს ვიტყუებდით და საკუთარ თავსვე ვეუბნებოდით, რომ „ისინი ჩვენთან არ დარჩებიან, ოდესმე წავლენ“, მაგრამ ასე არ მოხდა. და, რა თქმა უნდა, ჩვენი მიდგომის არსი მულტიკულტურიზმში მდგომარეობდა, იმაში, რომ ჩვენ ვიცხოვრებდით გვერდიგვერდ და დავაფასებდით ერთმანეთს. ეს მიდგომა ჩავარდა, სრულებით ჩავარდა... ჩვენ არ გვსურს მათი ყურება, ვისაც არ შეუძლია უცბად გერმანულ ენაზე ალაპარაკება“.**

**ხორსტ ზეეხოფერი, ქრისტიან-სოციალისტური კავშირის ლიდერი: „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აღარ სჭირდება მიგრანტები თურქეთიდან და არაბული ქვეყნებიდან“.**

ციტირებული განცხადებები არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთიდან მოსული ჩაკეტილი ადამიანებით საყოველთაოდ შევიწროებული და გამოკითხვების თანახმად უკვე თუნდაც ახალი ფიურერის „ძლიერ ხელზე“ მეოცნებე ძირძველი გერმანელების ცნობიერებაში დაგროვილი უკმაყოფილების ანარეკლია, არამედ იმ ფაქტის თანდათანობითი გაცნობიერებაც, რომ **„მულტიკულტურული საზოგადოების“ შესახებ დემაგოგიის უკან „ჩანაცვლებითი“ დემოგრაფიის პოლიტიკა დგას.**

**თუ მუსლიმანური ცხოვრების წესს გლობალიზმის აგენტები „კონტრტერორისტული“ ოპერაციების დროს ტრადიციების მატარებელთა პირდაპირი ფიზიკური განადგურების მეთოდით უმკლავდებიან, სხვადასხვა რჯულის დაქირავებული „ინტელექტუალების“ მრავალწლიანი პროფანაციით დასუსტებული ევროპულ-ქრისტიანული კულტურა განსხვავებული მსოფლმხედველობის სულ სხვა ცივილიზაციის შეჭრით ნადგურდება.**

ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ ტიტანური შესაძლებლობებითა და მცდელობებით, რომლითაც მულტიკულტურალიზმი იდეოლოგიურად აღიჭურვა, მის ფუძემდებლებს „ყურადღების მიღმა დარჩენოდათ“ ის თვალხილული ფაქტი, რომ **სოციალური სისტემის მთლიანობის პრინციპი სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთათვის განცალკევებულ საცხოვრებელ სივრცეს, ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციასა და იმ სფეროს მკვეთრ განსაზღვრებას მოითხოვს, რომელშიც შესაძლებელია ისინი ერთმანეთისთვის სასარგებლონი იყვნენ.**

**მოცემული პირობების დარღვევა სხვადასხვა და ერთმანეთთან შეუთავსებელი კულტურული ტრადიციების მატარებლებს შორის შეზღუდული სოციალური რესურსის ფარგლებში „გადარჩენისთვის“ ბრძოლას განაპირობებს. ამ ბრძოლაში კი, როგორც დიდი ხანია ვიცით, ყოველთვის ყველაზე სიცოცხლისუნარიანები იმარჯვებენ. სიცოცხლისუნარიანი ამ შემთხვევაში ყველაზე მყარს, ენერგიულს, ნაყოფიერსა და, რაც მთავარია, „ახალი მსოფლიოს“ მომწყობთა ჩანაფიქრების შესაბამისს ნიშნავს. ევროპელები ასეთნი არ არიან.**

**თუ გავითვალისწინებთ, რომ „მულტიკულტურულობის“ დანერგვის შედეგად მუსლიმანები ევროპელებს მათ ძირძველ ტერიტორიაზევე ანაცვლებენ და თანაც მთელი ევროპული სივრცის მასშტაბით, გერმანელი ლიდერების „აღიარებითი ჩვენებები“ მულტიკულტურიზმის მცდარობის თაობაზე მთლიანად გლობალიზმის მხილებაა. გლობალიზმისა, რომელიც მთელი ძალით ცდილობს, დაგვაჯეროს მითი, თითქოს მხოლოდ კულტურული მრავალსახეობა თავისთავად საკმარისია მსოფლიო ერთობის აღმოსაცენებლად.**

fondsk.ru

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბერთის თევზები და სიძველენი

## თრიალეთი

**თრიალეთში მოგზაურობის მორიგი არეალი მოიცავს იმ მცირე ხეობას, რომლის თაობაზეც ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს გვეუბნება. ძნელი დასადგენია ისიც, თუ ვინ დაარქვა აქაურ სოფელს ბურნაშეთი. არა მგონია, რომ, როგორც აქაური, ისე ჯავახეთის ბურნაშეთის ნათლიები XIX საუკუნეში მოსული სომხები იყვნენ.**


ბერთის (ოლიანგის) ქვედა ეკლესია


ბერთის (ოლიანგის) ზედა ეკლესია

რაკი ამ პერიოდის მოახალშენეებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ იმ თემასაც უნდა შევეხოთ, რომელმაც წმინდა ილია მართალს „ქვათა ღაღადი“ დააწერინა.

მოახალშენე ეთნიკური სომხები და ურუმ-ბერძნები იმით განსხვავდებიან თრიალეთში, რომ ურუმები ქართველთაგან დარჩენილ ნასაყდრალებს შლიდნენ და მათი ქვებით თავიანთ საყდრებს აგებდნენ. სომხები ამ ნასაყდრალებს არ ანგრევდნენ, მხოლოდ შიგნით უმაღლებდნენ საკურთხეველს, ხშირად ჩრდილოეთ კედელში სანათლავ წალოს დგამდნენ და, თუ შემთხვევას იპოვნიდნენ, ქართულ წარწერებს ანადგურებდნენ. ბოლო დროს ასეთმა შემთხვევებმა იკლო.

ბურნაშეთელ სომხებს მხოლოდ ტაძრის საკურთხეველი აუმაღლებიათ და თავიანთი გემოვნებით მოურთავთ, წარწერებისთვის კი ხელი არავის უხლია. რაც დაზიანებულია, მხოლოდ ბუნების ნახელავია. აქაური საყდარი კარგად გათლილი ვეება კვადრების პერანგში ზის, მაგრამ აღმოსავლეთ ფასადზე ორ ასეთ ქვას ჩამოვარდნა ემუქრება... ტაძრის ინტერიერში — ჩრდილოეთ კედელში და ფასადზე — დასავლეთ ფრონტონში ერთნაირი, უცნაური სამკაულიანი ჯვრები ზის. გაცილებით რთული და დახვეწილი ჩუქურთმებითაა შემკული აღმოსავლეთის სარკმელი და ერთადერთი, სამხრეთის, კარის ბალავარი.

სწორედ აქ, ამ ბალავარზეა თავმოყრილი დიდი წარწერები. ჩუქურთმიანი არქივოლტის მარცხნივ წერია:

**„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებით წმიდისა ღმრთისმშობლისაითა მე ლაგუალე შაის ძემან ხელვყაავ და შეგამართე და ესე ეკლესიაი ავაგე. შემეწიე, მეოხად სულისა ჩემისთვინ და მშობელთათვინ და ძმათა ჩემთათვინ. ამინ“.**

ამის შემდეგ, ჯვრიდან მარცხნივ არსებულ მცირე სივრცეში, წარწერა დამდნარია, ჯვრიდან მარჯვნივ და არქივოლტიდან მარჯვნივ კი ასეთი ტექსტია: **„ძელი ცხოვრებისაი — მეოხი სულთა და ხორცთაე. მე ივანე ჯვრისა საყდრისა მამან დავასრულე ამის შანაღამევსა ესიასა. ამისცა ადიდენ გიორგი, სვიმონი მანხეკელი ოთხითა შვილითა და თავითა ჩემითა. ერთი მჭედელი იყო ყოველთა...“.**

ამავე სამხრეთ ფასადზე სარკმლის ქვევით დევს ერთი დიდი ქვა, რომელიც ადრე ამავე სარკმლის ანყოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ-ერთი შეკეთებისას ახლანდელ ადგილზე შეცდომით თარაზულად ჩაუდგამთ. მისი 14-სტრიქონიანი წარწერა ამჟამად სანახევროდაც ვერ იკითხება, 100 წლის წინათ და კი წმინდა ექვთიმეს ასე გაუშიფრავს: **„სახელითა ღმრთისაითა ესე ქვაი ჩვენ გაშატის ძეთა** (დავსუით) **და ოცი გორვა კირი შევსწირეთ წმიდასა ნათლისმცემელსა და ღმერთმან შეუნდვენ“.**

მოზრდილი წარწერაა აღმოსავლეთ სარკმლის მარჯვნივ: **„სახელითა უფლისათა და მეოხებითა წმიდისა ნათლისმცემლისათა მას ჟამსა ივანოზის ე** (ე.ი. 5) **დაიდვა ქვაი ესე სალოცველად სულთა ჩემთა გლახაკისა ივანისითა“.**

როგორც ირკვევა, ეკლესიის აგება დაუწყია ვინმე ლაგვალ შაის ძეს, ხოლო გაუსრულებია ჯვრის საყდრის წინამძღვარ ივანეს. მშენებლობის დასრულება დამთხვევია მამა ესაიას გარდაცვალებას, ანუ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, შანაღამევს. აქვე მოტანილია საყდრის მშენებლობის დამფინანსებლების სახელები: გიორგი და სვიმონ მანხეკელები. ჩამონათვალში ნახსენებია ვიღაც მჭედელიც.


ბურნაშეთის ეკლესია და მისი წარწერიანი ქვები





უნდა აღინიშნოს, რომ ნუსხურით შესრულებული ეს წარწერები ენობრივად საკმაოდ გაუმართავია, რისი მიზეზიც თავად ასოთმკვეთის გაუნათლებლობაა. ჩანს, მას კარგად ვერ ესმოდა თუ რას კარნახობდნენ ან უწერდნენ.

ბურნაშეთს ქვევით, ქციამდე ორი სოფელია: ოლიანგი და კუშჩი. ერთში აქამდე მხოლოდ ურუმები ცხოვრობდნენ, მეორეში — სომხები. არის თუ არა ეს სოფლები ძველი ბოჟანო და ლოშო, ვახუშტის რუკის მიხედვით, ძნელი დასადგენია. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ სოფელ ოლიანგს, სადაც დედათა და მამათა ძალიან გამართული ორი ქართული მონასტერი მოქმედებს, ახლახან თავისუფლად დაარქვეს ბერთა. ბერთა ნელ-ნელა მეორე ცენტრი ხდება წალკის რაიონში. ის, ვინც ერის ცხოვრებაში ასე თუ ისე ჩახედულია, იოლად მიხვდება რას ნიშნავს ამ მხარეში 30-ზე მეტი საეკლესიო მოღვაწე რომ დამკვიდრდა და ახლო-მახლო სოფლებში აჭარიდან და სვანეთიდან მოსული მოახალშენე ქართველობა რომ შემოიკრიბა. ამას გზის გაყვანაზე დასაქმებულ სპეციალისტთა ოჯახებიც ემატება ზაფხულობით და ა.შ.

დედათა მონასტერი სოფლის შემაღლებულ ადგილზეა, მამათა მონასტერი კი ოდნავ ქვევით, იქ, სადაც მდინარესავით წყარო მოედინება და მცირე სალოცავის დარბაზს გამოივლის. ამ სალოცავში მონასტრის წევრები ყოველდღე ხედავენ რამდენიმე თევზს, რომლებიც უცხოთა დანახვაზე უმეტესად საძირკვლის ქვებში იმალებიან. ეს ერთი მცირე ღვთიური ნიშანია ამ დიდი მონასტრისათვის.

ამ წყარო-მდინარის ქვედა დინებაში, სანამ იგი ქციას შეუერთდება, გაღმა ნაპირზე, მინდორში დგას კარგად გათლილი ვარდისფერი ქვით ნაგები ეკლესია, რომელსაც საბურველიც შეუნარჩუნებია და ლავგარდანის ნაწილიც. უამრავ ნატყუარ და ვანდალურ წარწერაში შეუძლებელია მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი წარწერის მიგნება. წარწერის ტექსტი კი ასეთი ყოფილა: **„ქრისტე შეიწყალე დედოფალი თამარი“.** ასევე ვერ ხერხდება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული მეორე წარწერის ნახვა. საბედნიეროდ, კუშჩის სომხურ მოსახლეობას სხვა მხრივ ხელი არ უხლია ამ მცირე ტაძრისთვის, რომელსაც საკურთხევლის აფსიდში დიდი და ღრმა ნიშები აქვს.


ლოშოს (კუშჩის) მინდვრის ეკლესია

სოფლის ცენტრში დგას ნაეკლესიარი, რომელიც პირვანდელი სახით შემორჩენილ თრიალეთის ტაძრებში უძველესი და ულამაზესია. ეს ადრეშუასაუკუნეების, დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისის ქართული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი ნიმუშია. ძეგლის ზუსტი აღდგენა შეუძლებელია და ამდენად დანაშაულიც იქნება. იგი უნდა დაკონსერვდეს და ჩარდახქვეშ მოექცეს.

მცირე, სხვადასხვა ფერის ქვების შერჩევით და წყობის სტილით იგი, თითქოს, პატარა დმანისის წმ. ბარბარეს ეკლესიას გვაგონებს, მაგრამ აქ კალატოზის ხელი უფრო მტკიცე და ბეჯითია. იგივე ითქმის სამხრეთ მინაშენზეც, რომელიც დიდი თლილი კვადრებითაა ნაგები და ნალისებრი ფორმის თაღედებიანი კარიბჭით გვირგვინდება. ამ თაღებზე და გვერდითა ქვებზე უამრავი წარწერა რომ იქნებოდა, ამას ნაკვალევი ადასტურებს. მოშურნესა და ბარბაროსს ეს წარწერები ცულით ამოუკაფავს...

...აქვე, ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან რომ ქვაა, რომელიღაც ღვთისმსახურის საფლავის ლოდი უნდა იყოს. მას ეკლესიის სახურავის ფორმა აქვს და საკმაოდ ორიგინალურია. მახლობლად ჯვრიანი სტელაა.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**




ლოშოს (კუშჩის) მე-6 საუკუნის ეკლესია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დამხმარე თურქული კორპუსის განადგურება

**რთული და უიმედო იყო რუსული კორპუსის მდგომარეობა ახალციხის კედლებთან. 5 აგვისტოს, მოიგერია რა თურქული კავალერიის შემოტევა, რომელიც მისთვის გზის გადაჭრას ცდილობდა, რუსულმა არმიამ ქალაქის აღმოსავლეთ კედელთან, ასე თუ ისე, ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. მაგრამ ეს წარმატება ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც წინ ელოდათ. რვა ათასი რუსი ჯარისკაცის წინ ძლიერი ციხესიმაგრე იყო აღმართული, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თურქთა ოცდაათიათასიანი არმიის შემოტევაც. პასკევიჩისა და მისი არმიის ბედი არასდროს ყოფილა ისეთ საეჭვო მდგომარეობაში, როგორც აქ, ახალციხის კედლებთან. აქ წყდებოდა რუსული არმიის მორიგი წარმატებების საკითხი აზიურ თურქეთში.**



საბედნიეროდ, პასკევიჩმა იპოვა კარგი მოკავშირე — ეს იყო თურქთა აუჩქარებლობა და ყოყმანი გადაწყვეტილების მიღებისას. **იმის ნაცვლად, რომ 6 აგვისტოს ახალი ძალებით განეხორციელებინა თავდასხმა, რაშიც თურქებს ხელს არაფერი უშლიდათ, კიოს მუჰამედ ფაშამ რუსულ ჯარებს მისცა შესაძლებლობა, რუსულ ჯარებს გაემაგრებინათ თავიანთი პოზიციები.** პასკევიჩმაც იმავე დღეს მოაგვარა ზურგისა და მარჯვენა ფლანგის დაცვის საკითხი. ახლა უკვე მშვიდად შეიძლებოდა დამხმარე ძალის დალოდება, რომელიც საქართველოდან უკვე მოიჩქაროდა. მართლაც, 7 აგვისტოს შუადღისას, როგორც იქნა, მოვიდნენ: ხერსონის გრენადერთა ექვსი ასეული, გრეკოვის დონელთა პოლკი და ოთხი ქვემეხი გენერალ-მაიორ პოპოვის საერთო ხელმძღვანელობით. **თურქული მხედრობა მეზობელ მთებში დაძრწოდა, მაგრამ პასკევიჩთან მისვლაში მათთვის ხელის შეშლას ვერ ბედავდა.**

უნდა ითქვას, რომ პოპოვის არც თუ ისე დიდი რაზმი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაეშურა ბორჯომის ხეობაში ახალციხისკენ გზის გასაყვანად. ბორჯომის ხეობა ერთ-ერთი ულამაზესია საქართველოში, მაგრამ იმ დროს ეს იყო ველური, უდაბური ადგილი, სადაც მხოლოდ ლეკები იმალებოდნენ. სამი გზიდან, რომლებიც საქართველოდან ახალციხისკენ მიდიოდა, ბორჯომისა იყო ყველაზე რთული. ის მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა და ისე იყო შევიწროებული თავსწამომდგარი კლდეებით, რომ მასზე ძლივს შეეძლო გავლა ქართულ ურმებს.

საჭირო გახდა გზის გაყვანა კლდეების კიდეებზე და ამისთვის 6000 ფუტ სიმაღლეზე ასვლა. ხეობიდან გამოსასვლელს დარაჯობდა ციხე აწყური. ეს იყო ბორჯომის ხეობის გასაღები. აქ გზა თითქმის ციხის ქვემეხებთან გადიოდა და აწყურის გარნიზონმა სცადა, ხერსონელებისთვის გზა გადაეღობა. გრენადერები ცეცხლის ქვეშ მტკვრით გადავიდნენ, მაგრამ 12 ჯარისკაცი დაკარგეს. 5 აგვისტოს, როცა პასკევიჩი ახალციხეს მიადგა, ხერსონის პოლკი, როგორც იქნა, მდინარე მტკვართან ველზე გამოვიდა და ორ დღეში პოპოვის რაზმი მთავარ რუსულ ბანაკს შეუერთდა.

**7-8 აგვისტომ მშვიდად ჩაიარა. მოწინააღმდეგე წყნარად იყო. ამ სამმა დღემ რუსებს დასვენებისა და ძალების მოკრების საშუალება მისცა. პასკევიჩი ყოველდღე დაზვერვას აწარმოებდა.** ახლოს ეცნობოდა იქაურ ადგილმდებარეობას, ერთმანეთს ადარებდა მისი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, მაგრამ ეს შედარება რუსების სასიკეთოდ არაფერს ამბობდა.

**8 აგვისტოს პასკევიჩმა მიიღო საგანგაშო ცნობა, რომ ახალციხის დასახმარებლად კიდევ 10000 ლაზი მოდიოდა და, რომ რამდენიმე დღეში ციხესთან იქნებოდნენ.** გაჩნდა მოსაზრება, რომ თურქები სწორედ ამიტომ იყვნენ უმოქმედოდ, ლაზებთან შეერთების შემდეგ ერთიანი ძალით მთელ რისხვას დაატეხდნენ თავს რუსთა კორპუსს. პასკევიჩმა შეკრიბა სამხედრო საბჭო. საკითხი ასე იდგა: დარჩენილიყვნენ ახალციხესთან, თუ ბორჯომის ხეობით უკან დაეხიათ საქართველოში, რათა იქ შეეკრიბათ დამხმარე ძალა და კვლავ წამოსულიყვნენ ახალციხისკენ. **არავითარ ეჭვს არ ბადებდა ის, რომ ნამდვილი ალყა იმ მომენტში შეიძლებოდა დაწყებულიყო, როგორც კი დამხმარე თურქული კორპუსი ახალციხის კედლებთან განადგურდებოდა.**

პასკევიჩის მიერ დასმულ საკითხში ეს თავისთავად იგულისხმებოდა. პუშკინი თავის ჩანაწერებში მოგვითხრობს, რომ იგი მონაწილეობდა ამ საბჭოს სხდომაში და პირველმა დაუჭირა მხარი შეტევაზე გადასვლას. **„ჩემი აზრით,** — თქვა მან, — **ამაღამ უნდა დავეცეთ თურქებს და გავთავისუფლდეთ მათი ბლოკადისაგან".** ამ აზრს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. პასკევიჩმა თავის გენერლებთან ერთად განიხილა თურქთა ოთხ ბანაკზე თავდასხმის შესაძლო ვარიანტები. არც ერთი გზა რუსებისთვის ხელსაყრელი არ იყო. **საბედნიეროდ, ვიღაც მუთაბეგმა — ციხის აღებისას დატყვევებულმა ახალქალაქის ერთ-ერთმა უფროსმა, — თავისი ნებით გაუწოდა რუსებს დახმარების ხელი. ეს მუსულმანი მთელი სულით და გულით მიენდო რუს მეთაურს და ახლა მის ერთგულებაზე იყო დამოკიდებული ექსპედიციის წარმატება.**

მუთა-ბეგი ბრწყინვალედ იცნობდა ამ მიდამოებს და რაზმი შემოვლითი გზით წაიყვანა, ციხესიმაგრის ჩრდილოეთ მხარეს ორი-სამი ვერსის დაშორებით.

ეს გზა ისე გადიოდა მთებს შორის, რომ თურქები ვერაფერს შეამჩნევდნენ. სავალი ცუდი არ იყო, მაგრამ ისე ბნელოდა, ერთ პოლკს გზა აებნა. სანამ მას ელოდნენ, ნახევარი საათი გავიდა. უკვე თენდებოდა. იმის ნაცვლად, რომ ჯარები უკვე ადგილზე ყოფილიყვნენ, მხოლოდ ახლა გადიოდნენ სოფელ ცირიდან. ამასთან, ჯარისკაცთა ფეხის ხმამ და ბორბლების ხრჭიალმა დიდი ხანია მიიქცია თურქული საგუშაგოების ყურადღება და სინათლეზე რომ გაარჩიეს რუსული ჯარი, სასიგნალო გასროლით ატეხეს განგაში და სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენეს ოთხივე თურქული ბანაკი.

**ახლა რუსული არმია წუთი წუთზე თავად ელოდა თავდასხმას, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა. იძულებულნი იყვნენ, ბრძოლა იქ მიეღოთ, სადაც მოწინააღმდეგე თავს დაესხმებოდათ.**

რაკი არჩევანი არ იყო, პასკევიჩმა რაზმი თავდაცვით პოზიციაში დააყენა. ძლივს მოასწრეს რუსებმა პოზიციებზე განლაგება, რომ თურქებმა შეუტიეს. დილის 6 საათი იყო. რუსული არტილერია დაუნდობელი ცეცხლით შეეგება. თურქები აირივნენ და უკან დახევა დაიწყეს. მარცხენა ფლანგზე თურქული კავალერია ცდილობდა რუსული ბანაკისკენ გაჭრას, მაგრამ წააწყდნენ ეგერთა არანაკლებ სიმამაცეს და დაინახეს რა ჩორთით მოახლოებული კაზაკთა პოლკი, უკან გაბრუნდნენ. ამ პირველი შეტაკების შემდეგ პასკევიჩმა გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა თავდაცვითი მდგომარეობა მანამდე, სანამ უშედეგო შეტაკებებით დაღლილი მოწინააღმდეგე თვითონ არ მისცემდა გამარჯვებისთვის ხელსაყრელ შემთხვევას.

**რუსთა მცირერიცხოვნება არ დაიმალა. გამძვინვარებულმა კიოს მუჰამედ-ფაშამ ბრძანა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაემარცხებინათ რუსული კორპუსი. დილის 7 საათზე დაიწყო მეორე შეტევა. თურქული კოლონები მოდიოდნენ რუსული ცენტრის წინააღმდეგ ღრმა ხრამიდან, დაცული არტილერიის ცეცხლისგან.** ისინი გაბედულად მოიწევდნენ დროშებითა და ალაჰის ძახილით. მათ შესაჩერებლად ხერსონის გრენადერთა პოლკმა წინ წაიწია და პირისპირ შეხვდა ხრამიდან ამომავალ თურქ ქვეითებს. დაიწყო ხიშტებით ბრძოლა.

ხრამიდან ამოსვლისა და რუსებზე ერთიანი ძალით შეტევის განხორციელებისთვის თურქებს გამბედაობა არ ეყოთ. ისინი წვრილმანებზე ხარჯავდნენ ძალას და ენერგიას.

**მთელი საათი გრძელდებოდა ბრძოლა. თურქებმა ვეღარ გაუძლეს და უკან დაიხიეს.**

ჩამოვარდა ნახევარსაათიანი სიჩუმე. თურქები მესამე შეტევისთვის ემზადებოდნენ. ამჯერად პასკევიჩმა გადაწყვიტა კონტრშეტევაზე გადასვლა და თავად დაძრა წინ სენიავინის პოლკი. ერევნის პოლკის მესამე ბატალიონი უტევდა პირველ ხაზზე, ეგერები — მეორეზე. ისინი მაღლიდან დაეშვნენ და ხიშტებით ეკვეთნენ თურქებს. გაჩნდა სისხლის მდინარეები. რამდენიმე წუთში ბატალიონებიდან ყველა ასეულის მეთაურები, ხუთი ოფიცერი და ასამდე დაბალი ჩინის ჯარისკაცი გამოვიდნენ მწყობრიდან. აქვე მოკლეს ფინეთის პოლკის ახალგაზრდა გვარდიის ოფიცერი, მსროლელთა ჯაჭვის ხელმძღვანელი, პოდპორუჩიკი დუბროვსკი, რომელმაც პირველმა გაკვალა გზა მოწინააღმდეგის რიგებში. **საშინელი დანაკარგის მიუხედავად, ერევნელები მეგობრულად, შეთანხმებულად მიიწევდნენ წინ და უკვე თურქებიც დათმობისთვის ემზადებოდნენ, რომ უცებ დამაყრუებელი ხმა გაისმა და ველი შეირყა. მოწინააღმდეგის ბომბი მოხვდა ტყვია-წამლის ყუთს და ააფეთქა. ირგვლივ უამრავი გვამი ეყარა.** ამ მომენტში მოწინააღმდეგის ყველა რეზერვი (აქამდე დამალული) მთებიდან ყვირილით გადმოეშვა, მაგრამ ერევნელებმა მოასწრეს შოკიდან გამოსვლა. ასეულის მეთაურები — შტაბს-კაპიტნები კალპინსკი, გურალევი და კირილოვი — სამივე დაჭრილი — ისევ გამოცხადდნენ თავიანთ ასეულებში. ამან ისეთი ძალა შეჰმატა ჯარისკაცებს, რომ თურქებმა უკან დაიხიეს. გრენადერებმა მათ ორი დროშა წაართვეს.

**იმაზე მეტის გაკეთება, რაც ერევნელებმა მოიმოქმედეს, შეუძლებელი იყო და ბატალიონი უკან გაიყვანეს. ისინი ამაყად მიდიოდნენ, რადგან თავიანთი ვალი პირნათლად მოიხადეს.**

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი"**

**დასასრული იქნება**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეთერთმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბინა 200 მილიონად

**ბინის ყიდვა ყოველთვის რთულ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ, თუ ბინას ლონდონში ეძებთ, სირთულეები, სულ მცირე, გაორმაგდება. ამ ქალაქშია თავმოყრილი დედამიწის ყველაზე ძვირადღირებული პენტჰაუზები. არქიტექტორ რიჩარდ როჯერსის პროექტით, უძვირეს ქალაქს წელს კიდევ ოთხი უძვირესი სახლი შეემატა. მაგრამ მათ შეძენაზე ოცნებაც კი დიდი ხნით დაგვიანებულია. აპარტამენტები ჯერ კიდევ 2007 წელს გაიყიდა. კომპლექსი 1,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგი, ანუ დაახლობით სამი მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდა. მის განხორციელებას კატარის საგარეო საქმეთა მინისტრი აფინანსებდა.**

დიზაინერის გადაწყვეტილებით, აპარტამენტები რამდენიმე უნიკალური ზონისგან შედგება და თითოეულ მათგანში განსაკუთრებული გარემოა შექმნილი. ბინები დაკომპლექტებულია უკლებლივ ყველაფრით, რაც კი შეიძლება ადამიანს დასჭირდეს. საყოფაცხოვრებო ტექნიკა და აპარატურა, ცხადია, მთლიანად პრემიუმ კლასისაა, უნიკალური ავეჯი, ისევე, როგორც თითქმის ყველაფერი სახლში, ნატურალური მასალებისგანაა დამზადებული.

ბინები განთავსებულია პრემიუმ კლასის მაღლივ შენობაში და თითოეული მათგანის ღირებულება 200 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამავე შენობის დანარჩენი 80 ბინა შედარებით იაფფასიანია — დაახლოებით 40 მილიონი დოლარი. უკლებლივ ყველა პენტჰაუსი მთლიანად ტყვიაგაუმტარი მასალისაა, ყველას ჰყავს დაცვა და ყველას აქვს საიდუმლო გასასვლელი, რომელიც გვირაბით ახლომდებარე სასტუმროს უერთდება.








# ინტერნეტსივრცის უცვლელი რეკორდსმენი

**ინტერნეტსივრცეში ყველაზე ძვირადღირებული დომეინი SEX.COM-ია და საინტერესო ისტორიაც აქვს. 1994 წელს სანფრანცისკოელმა ინჟინერმა გარი კრემენმა თავის სახელზე დაარეგისტრირა რამდენიმე დომეინი, რომლებშიც მაშინ ერთი ცენტის გადახდაც არ დასჭირვებია — სერვისი უფასო იყო. მათ შორის იყო SEX.COM-იც, თუმცა იმხანად მფლობელი სხვა პროექტით MATCH.COM–ზე ინტერნეტ-გაცნობების ამუშავებით იყო დაკავებული. 1995 წელს ბოროტმოქმედმა სტივენ კოენმა, რომელიც მაშინვე რეალურად აფასებდა ამ დომეინის უდიდეს პოტენციალს, იმ კომპანიის სახელით, რომელშიც კრემენი მუშაობდა, დომეინების რეგისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაცია „Network Solutions"-ში ყალბი წერილი გაგზავნა. წერილში ეწერა, რომ კრემენი სამსახურიდან დაითხოვეს და ავტორი დომეინის მისთვის გადაცემას ითხოვდა. მოთხოვნა დააკმაყოფილეს.**




როდესაც კრემენმა აღმოაჩინა, რომ დომეინი მას აღარ ეკუთვნოდა, ჯერ „Network Solutions"-ს მიმართა, მაგრამ, ვინაიდან დახმარება ვერ მიიღო, იძულებული გახდა, სასამართლოში ეძია სამართალი. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი კოენი მშვენივრად ცხოვრობდა SEX.COM-ზე სექსუალური მომსახურების რეკლამირებით მიღებული შემოსავლის ხარჯზე და, საიტის წყალობით, 40 მილიონი დოლარიც იშოვა.

სასამართლომ, ცხადია, კრემერის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება — კოენს დაზარალებულისთვის საიტიდან მიღებული შემოსავლის სრულად გადახდა და დამატებითი ჯარიმის სახით 25 მილიონის გადახდა დაეკისრა. გარდა ამისა, სასამართლო მის დაპატიმრებას მოითხოვდა, მაგრამ დამნაშავე ამერიკიდან გაიქცა. 2005 წელს კოენი ამერიკაში დაბრუნების მცდელობისას დააკავეს.

დომეინი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა, მან კი ის ფირმა „Escom"-ს სხვადასხვა მონაცემებით 12 ან 14 მილიონ ამერიკულ დოლარად მიჰყიდა. ამ დრომდე ეს ინტერნეტსივრცეში რეკორდულ ღირებულებად რჩება. ამის შემდეგ საიტი კომპანიის მფლობელობაში რჩება, თუმცა მოგვიანებით „Playboy"-ის იმპერიის ფუძემდებელმა ჰიუ ჰეფნერმა განაცხადა, რომ გარკვეული დროით საიტის მართვის ულება იყიდა.




# ქვის ბაღი



**ინდოეთში, ჩანდიგარხში, სახელმწიფო ჩინოვნიკმა ნეკ ჩანდმა ჯერ კიდევ 1957 წელს თავისუფალ დროს საიდუმლო ბაღის მშენებლობა დაიწყო.**

ახლა მისი ოცნების ბაღი 160 000 კვადრატულ მეტრს მოიცავს და მასში განლაგებული უკლებლივ ყველა სკულპტურა საყოფაცხოვრებო ან სამრეწველო ნარჩენებისგანაა აგებული. ბაღი ქვის ფიგურების ანთროპონოგენული ურთიერთკავშირის დემონსტრირებაა.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ინდოელთა საოცარი თავსაბურავი

**მიუხედავად იმისა, რომ, ტრადიციების თანახმად, უმრავლეს ქვეყანაში მძიმე ტვირთი, ძირითადად, ქალებს ხვდებათ ხოლმე წილად, ინდოეთში მამაკაცებსაც არ აქვთ იოლი ცხოვრება.**

ჩალმა თავზე დახვეული ნაჭერია, რომელსაც, როგორც წესი, ქუდის ზემოდან ატარებენ ინდოეთსა და პაკისტანში. ამ აქსესუარს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა — გზაში გარდაცვლილი მუსლიმანისთვის მას სუდარის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. სხვადასხვა ხალხებში ჩალმა განსხვავდება მატერიის ხარისხით, ფერით, სიდიდითა და თავზე მოხვევის ტექნიკით. მნიშვნელოვანია, რომ ის მხოლოდ ეროვნულობასა და რწმენაზე კი არა, მფლობელის სოციალურ სტატუსზეც მიუთითებს. მაგალითად, მოციქულის შთამომავლებად მიჩნეული ან მექაში ნამყოფი ადამიანები მწვანე ფორმის ჩალმას ატარებენ, დანარჩენი მუსლიმანები — თეთრს.









# ნარჩენების კუნძული



**კომპანია „WHIM Architecture“-მ გადამუშავებული ნარჩენებისგან, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მოგროვილი პლასტიკატის ნივთებისგან უზარმაზარი კუნძული ააშენა.** ამ გაბედული პროექტის წყალობით, არა მხოლოდ მსოფლიო ოკეანეები გაიწმინდება, არამედ აშენდება არაჩვეულებრივი თავშესაფრები „კლატური“ ლტოლვილებისთვის. ნარჩენებისგან 6437 კადრატული კილომეტრი გადამუშავებული პლასტიკი შეიქმნა და მასზე იმავე მასალის თავშესაფრები საერთო საცხოვრებლების სტილში აშენდება. კუნძულის საცხოვრებელი ფართი ქალაქის სტილში დაიგეგმება და მასზე სათანადო რაოდენობის მწვანე უბნებიც განთავსდება.



# ქალაქი-კონტეინერი

**რამდენიმე მექსიკელმა დიზაინერმა თავიანთი ნამუშევრის საფუძვლად კონტეინერების უტილიზაცია აქცია და მათგან „კონტეინერ სითი“ შექმნა.** ქალაქის ფართი 4500 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ის მექსიკის დედაქალაქ მეხიკოდან დაახლოებით 2 საათის სავალზეა განლაგებული. ქალაქის გასაშენებლად მეტალის 50 კონტეინერი გახდა საჭირო. მათგან ზოგიერთი სურსათის მაღაზიად გადაკეთდა, ზოგი — სამხატვრო გალერეად, ბარად, რესტორნად, საცხობად და ა. შ. კონტეინერების ქალაქში ჩვეულებრივი საქალაქო ინფრასტრუქტურა სრულადაა განვითარებული. მის მთავარ ნაწილს კი საცხოვრებელი და საოფისე კონტეინერები შეადგენენ.







# ბოთლების სეფა

**უტილიზაციის ეს საოცრება ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ უილმინგტონში მდებარე ეირლი გარდენის სიმდიდრეა.**

სეფა მთლიანად ცარიელი ბოთლებისგანაა აშენებული. იმისათვის, რომ ნაგებობა არ დაშლილიყო, ბოთლები ერთმანეთზე ჩვეულებრივი ბეტონითა და მავთულხლართითაა დამაგრებული. პროექტის ავტორიცა და შემსრულებელიც ადგილობრივი მხატვარი **ვირჯინია რეიტ ფრერსონია.**







# ბოთლების სოფელი

**ტრესა პრისბრეი ლუდის ცარიელი ბოთლებისგან სოფელს 25 წლის განმავლობაში აშენებდა. პროექტი ცამეტ სრულმასშტაბიან სტრუქტურას, რამდენიმე ტაძარსა და ულამაზეს მოზაიკურ ბილიკებს მოიცავს.**





გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მსოფლიოში უხუცესი ქალი 114 წლის ასაკში გარდაიცვალა



**დედამიწაზე ყველაზე ხანდაზმული ქალი ფრანგი მონაზონი ეჟენი ბლანშარი 114 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბლანშარს მსოფლიო თავისი მისიონერული მოღვაწეობით იცნობდა. იგი სენ-ბართელემის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მისმა შვილთაშვილმა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ამავე კუნძულის მერად მუშაობდა, განაცხადა, რომ მის დიდ ბებიას სიცოცხლე ღვთისმსახურებამ გაუხანგრძლივა.**

ეჟენი ბლანშარი 1896 წელს დაიბადა და მონაზვნად ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა. ის ჰოლანდიის კოლონია კურაკაოში მსახურობდა, სენ ბართელემში კი მხოლოდ პენსიაზე გასვლის შემდეგ დაბრუნდა და სიცოცხლის უკანასკნელი 30 წელი იქ გაატარა.

ბლანშარი ღვთისმსახურებას ქადაგებდა და ბავშვებს ტკბილეულსაც კი ურიგებდა, რომ ეკლესიის მსახურებაში ჩაება. იგი მსოფლიოს უხუცესი ქალბატონის ტიტულს მას შემდეგ დაეუფლა, რაც 2010 წლის მაისში იაპონელი კამა ჩინენი თავისი 115 წლის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა.

# დისკო-კლუბი ძაღლებისთვის





**ნიუ იორკში, მანჰეტენის საქმიან რაიონში, ძაღლებისთვის დისკოკლუბი გაიხსნა.** დაწესებულების დამაარსებელთა განმარტებით, კლუბი იმისთვის გაიხსნა, რომ სახლში მარტო დარჩენილმა ძაღლებმა არ მოიწყინონ, ვიდრე მათი პატრონები სამსახურიდან, რესტორნიდან ან კინოდან დაბრუნდებიან. ამ კლუბში ძაღლები ხალიჩებზე კოტრიალის გარდა მუსიკას მოუსმენენ ან მასაჟის სალონს ესტუმრებიან. თავისთავად ცხადია, კლუბში ძაღლებისთვის უგემრიელესი მენიუა მომზადებული თევზისა და ხორცის პროდუქტებისგან.

# გასაყიდი ქალები




**ისრაელში, თელავივის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრში გაიხსნა მაღაზია, რომელშიც ქალები იყიდებიან. სავაჭრო ცენტრის მომხმარებლები შოკში იყვნენ, როდესაც ამ მაღაზიას გადააწყდნენ.**

ვიტრინაში მდგარ ქალებს ზედ იარლიყები ეკიდათ. ამ იარლიყებზე „გასაყიდი პროდუქტის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია იყო მითითებული — სიმაღლე, წონა, ასაკი, წარმომავლობა, ზომები და ასე შემდეგ.

ორგანიზატორების განმარტებით, ეს კამპანია დაიწყეს ხელმოწერების შესაგროვებლად კანონპროექტისთვის, რომლის თანახმადაც მამაკაცებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მომსახურებით სარგებლობა უნდა აეკრძალოთ. ისრაელის მოქალაქეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პროსტიტუცია დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. კანონი ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ძლიერი იარაღი იქნებოდა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე თანამედროვე მონებად ისრაელში 10.000-ზე მეტი ქალი გაიყიდა.

# ბოროტების ტექნოლოგია ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ, ანუ აბსოლუტური ნულის მიღწევის ამერიკული გზები

**ოქტომბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების მთავარი სიუჟეტი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აავადებბდნენ 60 წლის წინათ ამერიკელი „მკვლევარები“ ვენერიული დაავადებებით გვატემალელებს. აშშ-მა ამისთვის ოფიციალურად მოიხადა ბოდიში, მაგრამ ესაა სწორედ უცნაური: რატომ იხდის ბოდიშს აშშ ესოდენ შორეული წარსულის დანაშაულებრივი ქმედებებისთვის? მით უფრო, რომ ამ ექსპერიმენტზე არავინ არაფერი იცოდა, ვიდრე მასაჩუსეტსის ველსლი-კოლეჯის პროფესორი სიუზან რევერბაი ალაბამაში განხორციელებულ სამედიცინო ექსპერიმენტებზე წიგნისთვის მასალების შეგროვებისას შემთხვევით არ გადააწყდა ზემოხსენებულ ამბავს.**


სუზან რევერბაი

„უნებლიე აღმოჩენის“ შემდგომი ისტორიის თანახმად, რევერბაის ალაბამელებზე სამარცხვინო ცდების შესახებ წიგნში ამ თემაზე არც კი მიუნიშნებია, მაგრამ სოლიდური არხები იტყობინებოდნენ, რომ გვატემალაში განხორციელებული ცდების შესახებ კვლევის დასრულების შემდეგ რევერბაი ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ყოფილ დირექტორს — დევიდ სენსერს დაუკავშირდა და „უნებლიე აღმოჩენამაც“ ამის წყალობით იხილა დღის სინათლე.

**ამერიკულ მასმედიას კომენტარი არ გაუკეთებია ამ საქმეში დევიდ სენსერის გამოჩენის შესახებ. არადა, იგი სიფილისის შესასწავლი ექსპერიმენტების ყოფილი კონტროლიორია და, დიდი ხანია, იმ ამერიკელ მაღალჩინოსნებთან ერთად მოიხსენიება, ვინც დაავადებული ალაბამელების უწამლოდ დატოვებას დასთანხმდა. მასმედიას არც იმაზე დასცდენია სიტყვა, რომ აბსოლუტურად ნეიტრალური სახელწოდების დაავადებათა კონტროლის ცენტრის უკან ამერიკის ეკოლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ზესაიდუმლო სამხედრო ქვედანაყოფების მომცველი დატოტვილი ქსელი იმალებოდა. ამ ორგანიზაციას თვით ამერიკულ სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად „სამედიცინო ცსს“-ს უწოდებენ და მის სახელს გლობალური ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებული არაერთი ცრუ პანდემია თუ ფართომასშტაბიანი ფობიის გამოყენებით საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება უკავშირდება.**

სწორედ ამ ორგანიზაციის თითქმის გასაიდუმლოებული განყოფილებაა ეპიდემიოლოგიური დაზვერვის სამსახური (EIS), რომლის შტატის გასაზრდელად, საჭირო თანხების მისაღებად და ლობირებული კომპანიის ვაქცინის გასაყიდადაც იმავე დევიდ სენსერმა არაერთხელ იმართლა თავი სენატზე ზეწოლის გამო. **ზეწოლა, ძირითადად, „ლეგიონერის დაავადების“ ან „ღორის გრიპის“ პანდემიების ისტერიული გაბერვით ხორციელდებოდა.** ამ საქმეებზე პირდაპირ გამოაშკარავებულ მაღალჩინოსნებს საზოგადოებისთვის ბოდიში არასდროს მოუხდიათ.

**მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ისტორიაში საკმარისზე მეტი ფაქტია XX ან XXI საუკუნის შავი ჭირის წინააღმდეგ იმ ინსაიდერული პანაცეების ტესტირების შესახებ, რომლებიც იძულებითი „პაციენტების“ სამუდამო უშვილოებით ან მასობრივი ლეტალური შედეგით მთავრდებოდა, გვატემალას შემთხვევამდე ცნობილი იყო ერთადერთი ფაქტი, როდესაც აშშ-მა „ადამიანებზე ცდებისთვის“ ბოდიში მოიხადა — 1997 წელს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ეს სწორედ ალაბამას ექსპერიმენტებთან დაკავშირებით გააკეთა.**

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ უკვე ორი პრეზიდენტისა და ზესაიდუმლო ორგანოების პოზიციებზე მასაჩუსეტსის კოლეჯის მოკრძალებული მასწავლებლის „გამოაშკარავებამ“ იქონია ესოდენ დიდი ზემოქმედება. მით უფრო, რომ გვატემალის შესახებ რევერბაის აღმოჩენის მეტი ინფორმაცია მსოფლიოს არ გააჩნია. როგორც ჩანს, ალაბამასა და გვატემალაში ერთი და იმავე „მკვლევარების“ მიერ ჩატარებული ცდების შესახებ ინფორმაციის არარსებობამ უკარნახა ობამას მრჩევლებს იდეა, ამერიკისა და გლობალური მედიცინის უმთავრესი პრობლემის „გადატვირთვის“ შესახებ, რაც შემდეგ გაერომ „ათასწლეულის მიზნებშიც“ შეიტანა. **მასობრივი ტრანსნაციონალური სამედიცინო მომსახურებების მესამე მსოფლიოს ქვეყნებში დანერგვის ეს დაუძლეველი პრობლემა კი „ტასკიჯის ეფექტი“, ანუ შავკანიანი მოსახლეობის „თეთრების“ მედიცინისადმი სრული უნდობლობაა.**

რევერბაის ახალი ნაშრომი 2011 წელს გამოვა, მაგრამ სათაური უკვე ცნობილია — **„დაავადების ნორმალური მიმდინარეობა და სიფილისის აცრა: ტასკიჯის ეფექტი გვატემალაში 1946-1948 წლებში“. გვატემალაში სიფილისითა და გონორეით „პაციენტები“ შეგნებულად დააავადეს, ალაბამაში კი მხოლოდ უწამლოდ დატოვეს.** ამ სათაურის ავტორი შავკანიანების რწმენას, რომ ისინი ალაბამაშიც განგებ დააავადეს, გვატემალას შესახებ ხმებით შექმნილ მითს მიაწერს. **გვატემალის დაგვიანებული პიარ-ისტორიის პროპაგანდული მიზნებიც ნათელია: აფროამერიკელების ცნობიერებაში აშშ-ის „ჩვეულებრივი რასიზმის“ მტკიცებულებად დარჩენილი მოვლენების სხვა კალაპოტში გადატანა; საკუთარ ქვეყანაში არაადამიანური პრაქტიკის ჩანაცვლება 60 წლისწინანდელი გაცილებით უფრო არაადამიანური ქმედებებით სხვა ქვეყანაში; „შორეული ცდების“ წარმოჩენა იმ ერთეული „მკვლევარების“ ნამოქმედარად, რომლებიც მშობლიურ აშშ-ში გაცილებით „ჰუმანურები“ იყვნენ.**

გვატემალის მოვლენები იმ ლოგიკაში ჯდება, რომელიც „როკფელერებისა და კომპანიის“ მიერ გასული საუკუნის დასაწყისში „სანიტარული ბიუროების“ სხვა ეპიდემიებსა და პანდემიებსაც ახლდა თან, მაგრამ ამერიკის პარალელური განვითარებისთვის „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების ყველა „ეგზოტიკური“ დაავადება არ გამოდგებოდა. **გაეროს „ათასწლეულის მიზნებში“ მცირედი ცვლილებებით შეტანილია ყველა ის დაავადება, რომლებსაც როკფელერის ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, მისივე წითელი ჯვრის სტრუქტურებში შეისწავლიდნენ ან ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ბელგიის, შვედეთის, დანიის, ჰოლანდიის „ინტერესთა საზოგადოების“ წევრი ცნობილი ადამიანები აფინანსებდნენ — ყვითელი ციებ-ცხელება, მალარია, ყვავილი, ტეტანუსი, ტუბერკულოზი, კიბო; ხოლო სიფილისი, როგორც მას გასული საუკუნის ექიმები უწოდებდნენ, სხვა დაავადებათა „დიდი იმიტატორი“, სხვა „დიდი იმიტატორით“ — შიდსით ჩანაცვლდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ როკფელერები იმ გლობალური სამედიცინო ბრენდების სიღრმეებში, რომლებმაც უამრავ ადამიანს მედიცინისადმი რწმენა მოუკლა, უფრო განზოგადებული სახელია, ვიდრე საკუთარი. **ფსევდოფილანტროპიის იდეა მოიცავდა ყველაფერ საშინელს, პირქუშსა და არაადამიანურს, რამაც XX საუკუნე ორ მსოფლიო ომამდე მიიყვანა და რაც დღევანდელობაზე კოლექტიური როკფელერების ლაბორატორიიდან გამოქცეული კიბოს, პოლიომიელიტის, ჰეპატიტ-ვ-ს, ღორის ან ქათმის გრიპისა თუ შიდსის სახით ვრცელდება.**

„ფილანტროპიაში“ ინვესტირება „ინტერესთა საზოგადოების“ დედამიწის მოსახლეობაზე კონტროლის კაპიტალიზაციას ნიშნავდა. პრაგმატული კუთხით კაპიტალიზაცია გახდა დედამიწის ხალხებისა და სახელმწიფოების მთელი ინტელექტუალური რესურსის მითვისება — პატენტი ყველა იმ სამეცნიერო გამოგონებაზე, რომელიც უკიდურეს სიტუაციებში ადამიანის გადარჩენას, „ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებისა“ და კაცობრიობის უსარგებლო ნაწილის შემცირების ლოზუნგით „ინტერესთა საზოგადოების“ ლაბორატორიებში შექმნილ სასიკვდილო ინფექციების ანტიდოტებს შეეხებოდა.

**როკფელერების, კარნეგისა და მსგავსი ფონდები გასული საუკუნის დასაწყისიდან არ იშურებდნენ ინვესტიციებს ექიმ მენგელეს საქმის გაგრძელებისა და ევგენიკის განშტოებებისთვის. ფსიქიატრიაში, ცნობიერების კონტროლში, სისხლში, ვირუსებში, იმუ-** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# გვატემალაში სიფილისითა და გონორეით „პაციენტები“ შეგნებულად დააავადეს, ალაბამაში კი მხოლოდ უწამლოდ დატოვეს

◀ **ნიტეტზე პასუხისმგებელ ფაქტორებსა და ყველაფერ იმაში, რამაც შეიძლება ადამიანის ხელოვნური მუტაცია, ფიზიკური და ზნეობრივი საფუძვლების კოროზია გამოიწვიოს, ფული არ დაუზოგიათ.** ამერიკაში ენდრიუ კარნეგიმ, რომელმაც ტასკიჯის პირველი აფროამერიკული ინსტიტუტი დააარსა, 1902 წელს გახსნა ევგენიკური რეგისტრაციის ოფისი. ნიუ იორკში სოციალური დარვინიზმის ლაბორატორიას, რომლის საშუალებითაც ევგენიკური რეგისტრატორები რასობრივი სელექციისა და იძულებითი სტერილიზაციის პოლიტიკას ახორციელებდნენ, ასევე კარგად ნაცნობი როკფელერები, ჰარიმანები და მისთანანი აფინანსებდნენ.

**როკფელერმა აშკარად გაუსწრო პარტნიორ კარნეგის „ევგენიკური ინვესტირების“ საქმეში. მან თავისი „ფილანტროპიული“ როკფელერული წითელი ჯვრის ნიღაბქვეშ არა მხოლოდ გლობალური „სისხლის ბანკი“ შეიძინა, არამედ ფროიდის სატანისტური ფანტაზიებიც განახორციელა.**

ლონდონის ტავისტოკსკის ინსტიტუტის მიერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოსტსტრესული ფსიქიატრიის გამოკვლევა, რაც სექსუალური გარყვნილების ტაბუს მოხსნითა და ცნობიერებაზე კონტროლით ხორციელდებოდა, სწორედ ამ „ფილანტროპის“ ფულით ფინანსდებოდა.

**როკფელერების ფონდების გრანტებით იკვებებოდა ამერიკის მორალის დამანგრეველი „სექსუალური რევოლუციის“ მამა, სოდომისტი, ჰომოსექსუალი და პედოფილი ალფრედ კინსი, რომელმაც ღვთისმოშიშ ამერიკელებს ადრეული ბავშვობის სექსუალობის, კაცობრიობის ბისექსუალობისა და სექსის საკითხთა პირვლხარისხოვნების სამედიცინო იდეები ჩაუნერგა. როკფელერის ქვეგანყოფილებები აფინანსებდა კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტის — ნაცისტური ევანგელიკის ცენტრის პროექტებს, რომლებმაც დასაბამი დაუდო გერმანიაში ადამიანების მასობრივ ძალადობრივ სტერილიზაციას.**

მაგრამ, თუ გერმანული ნაციზმის შესახებ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, საეჭვოა, „ცივილიზებული დასავლეთის“ სხვა ქვეყნებში ანალოგიური მოვლენების თაობაზე ბევრმა იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსები მაღალი ტრიბუნებიდან ასე გულახდილად არ იქადაგებდნენ ევგენიკის ციტატებს „ოჯახის დაგეგმვის“, „შობადობის კონტროლის“, სკოლებში „სექსუალური განათლებისა“ და სხვათა შესახებ.

**შობადობის კონტროლი, „გენდერული“ (ესეც ევგენიკის „ტერმინია“) პრობლემები და თეზისი „ბავშვთა უფლებების“ შესახებ, რომელიც ტრადიციული ოჯახის დასანგრევ ხელჯოხად გამოიყენება და ბავშვებზე ტოტალური კონტროლის განხორციელებას ემსახურება, დიდი ხანია, დასავლური დემოკრატიის უპირატესობათა და ცივილიზაციურ ღირებულებათა სოუსით მოგვეწოდება.**

1940 წელს ამერიკის შობადობის კონტროლის ფედერაციამ და ოჯახის დაგეგმვის კომიტეტმა მოაწყვეს კონფერენცია, რომლის განცხადებაშიც ნათქვამი იყო: **„ჩვენც (ისევე, როგორც ჰიტლერის რეჟიმი) ვაღიარებთ რასობრივი წყობის პრობლემას, მაგრამ პრობლემის ჩვენეული გაგება აქცენტს ჩვენი ხალხის ხარისხზე აკეთებს და არა მხოლოდ რაოდენობაზე...“**

როგორ აგვარებდნენ რაოდენობის ხარისხში გადატანის პრობლემას ამერიკელი „მეცნიერები“, ამის შესახებ „ოფიციალური ბოდიშების“ ის იშვიათი შემთხვევები მეტყველებს, რომლებიც 60-80 წლის შემდეგ გამოჩნდა. მაგალითად, **2002 წელს ვირჯინიის გუბერნატორმა მარკ უორნერმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში ათასობით ადამიანს, რომლებსაც ამერიკის ხელისუფლებამ 1924-1979 წლებში სტერილიზაციის განაჩენი გამოუტანა. გუბერნატორის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამგვარ სტერილიზაციას დაახლოებით 60.000 ადამიანი ემსხვერპლა.**

გასული საუკუნის ამერიკის სპეციალიზებულ სამედიცინო გამოცემებში მოსახლეობის კონტროლი, „ოჯახის დაგეგმვა“ და სტერილიზაცია ეპიდემიების, პანდემიებისა და ადამიანისთვის სასიკვდილო დაავადებების გვერდით უმთავრესი თემებია. მაგალითად, 1927 წლის 16 დეკემბრის ჯანდაცვის კომიტეტის „Publichealthreports“-ში თითქოსდა ამერიკაში მალარიის მძვინვარების შესახებ შემაშფოთებელი სტატისტიკის შემცველი როკფელერის ფონდის რეკლამის გვერდით განთავსებულია ანგარიში ყველა სახეობის პარაზიტის ლიკვიდაციისთვის ციკლონ-ბ-ს ფართო გამოყენების შესახებ. **გერმანული კომპანია „I.G. Farben“ ციკლონ-ბ-ს, ფოსგენის, იპრიტის, ანტივირუსული ვაქცინის, სინთეტიკური საწვავისა და რეზინის, სასუქისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების, საღებავებისა და წამლების მწარმოებელია, რომელიც იყო და რჩება „ინტერესთა საზოგადოების“ პარტნიორად. იდუმალი ინიციალები „I.G.“ კი სხვა არაფერია, თუ არა „Interessen Gemeinschaft“ — „ინტერესთა საზოგადოება“.**

**ოსვენციმზე საუბრისას არავის ახსენდება, რომ ციკლონ-ბ-ს ეფექტურობა პირველად, ვირთხებზე კი არა, ადამიანებზე გამოიცადა 1941 წელს, როცა ცდის ობიექტებად 500 საბჭოთა სამხედრო ტყვე გამოიყენეს.**

გლობალიზატორების ეფექტურობა მათ გონიერებაში კი არა, იმაშია, რომ ქრისტიანულ ცივილიზაციას არ სურს, დაიჯეროს, რომ მის წინააღმდეგ ყველაზე პირდაპირი გაგებით იყენებენ „ბოროტების ტექნოლოგიას“.

როდესაც 1946-1948 წლებში ამერიკულ ლაბორატორიებში მიღებული გვატემალური ვენეროლოგიის „სინთეტიკურმა“ ლიდერმა ხუან ფიუნესმა „სამიზნე აუდიტორიაზე“ თავისი რასისტულ-სადისტური ცდები დაიწყო, ნიურნბერგის პროცესის გამოძახილები ჯერ კიდევ ისმოდა მსოფლიოში. გვატემალელ „ექიმებს“ დიდად არაფერზე უდარდიათ — მათ უმაღლესი დონის დაცვა ჰქონდათ გარანტირებული ფაშიზმის დამმარცხებელი ქვეყნებისგან. **როკფელერის „UNITED-FRUITCOMPANY“-ის აქციონერები, რომლებმაც გვატემალა „ბანანის რესპუბლიკად“ აქციეს, ჯანდაცვის ეროვნული კომიტეტი კი — აშშ-ის ჯანდაცვის კომიტეტის ვირტუალურ ქვეგანყოფილებად, ძმები დალესები გახლდნენ, რომელთაგან ერთი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გახდა, მეორე კი — ცსს-ს დირექტორი.**

დანაშაული, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია, აშშ-მა მრავალი წლის შემდეგ ოფიციალური ბოდიშით „გამოისყიდა“ და დასძინა, რომ ექსპერიმენტების ჩატარების უფლება თავად გვატემალის ხელისუფლებისგან მიიღო. „ათასწლეულის მიზნების“ განხორციელებისთვის კი ფრონტის ხაზზე თავად მილიარდელები გამოდიან. **როდესაც ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ თავისი ქონების ნახევარს ქველმოქმედებისთვის გაიღებდა და მიბაძვისკენ მოუწოდა უორენ ბაფეტსა და ტედ ტერნერს, ყველა მიხვდა — მოსახლეობის კონტროლის ძველი სცენარი უცვლელად გამეორდებოდა.**

გეიტსის სქემების მიხედვით, ნახშირმჟავა აირის გამონაბოლქვის რაოდენობა პირდაპირ კავშირშია პლანეტის მოსახლეობის რაოდენობასთან და, მისი თეზისის თანახმად, „იდეაში ნახშირმჟავა გაზი ნულის ტოლი უნდა იყოს“. **გლობალური დათბობის „კატასტროფის“ თავიდან ასაცილებლად ფილანტროპის სასწაულებრივი ვაქცინა, მისივე სასწაულებრივი თესლი და ცივილიზებული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება იყო შემოთავაზებული. და საიდანაც არ უნდა შემოგევლო გეიტსის ამ „ევგენიკური გამოსვლისთვის“, გამოდიოდა, რომ ყველა ეს სასწაულებრივი ზომა სწორედ აფრიკელი მოსახლეობის სასურველ ნულამდე დაყვანას გულისხმობდა. და თუ მსოფლიო დროზე არ მოვა გონს და კიდევ ერთხელ გაასულელებინებს თავს „გლობალიზმის“ აგენტებს, სამოციოდე წლის შემდეგ აღარავინ დარჩება, ვის წინაშეც როკფელერის საჯიშეში გამოყვანილი „ფილანტროპები“ და სხვა მეომარი ნანოტექნოლოგები გულწრფელად და ოფიციალურად მოიხდიან ბოდიშს.**

fondsk.ru



როკფელერების ოჯახი

**როკფელერის ქვეგანყოფილებები აფინანსებდა ნაცისტური ევანგელიკის ცენტრის პროექტებს, რომლებმაც დასაბამი დაუდო ადამიანების მასობრივ ძალადობრივ სტერილიზაციას**

# გამნაღმველი ცხვრები



**საფრანგეთის ქალაქ ვიმის ადმინისტრაციამ მინდვრების განაღმვის ორიგინალური მეთოდი გამოძებნა. ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს, გამნაღმველებად ცხვრები გამოეყენებინათ.**

საუბარია ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილ ნაღმებზე. 1917 წელს ქალაქის შემოგარენში ბრძოლები მიმდინარეობდა, ახლა კი ამ მინდვრებზე საძოვრებია. გეგმის თანახმად, ცხოველები შეჭამენ ბალახს, გაივლიან ბომბებზე და აფეთქდებიან.

ქალაქის მოსახლეობა თვლის, რომ ეს ძალზე სასტიკი მეთოდია, მაგრამ ცხვრების შეწირვა გაცილებით ჰუმანური საქციელია, ვიდრე ადამიანი გამნაღმველების სიცოცხლის რისკი.

# შრილანკელის მუცელში 2060 ბრილიანტი აღმოაჩინეს



**ინდოეთის პოლიციამ დააპატიმრა შრი-ლანკას მკვიდრი მამაკაცი, რომელმაც 2060 ცალი ბრილიანტი და სხვა ძვირფასი ქვები გადაყლაპა. მამაკაცი ამ „ტვირთით“ საზღვარზე გადასვლას აპირებდა, მაგრამ სამხრეთის ქალაქ მადრასის აეროპორტში დააკავეს.**

ქვების საერთო ღირებულება 340-დან 670 ათას ამერიკულ დოლარამდე მერყეობდა. როგორც მადრასის პოლიციის უფროსმა განაცხადა, მან ბოროტმოქმედის თაობაზე ინფორმაცია სანდო წყაროდან მიიღო. მამაკაცმა უმარტივესად გაიარა საბაჟო შემოწმება, მისი ჩანთის შემოწმებამ კი დანაშაულის რაიმე კვალი ვერ გამოავლინა. ყველაფერი იმის წყალობით გამოვლინდა, რომ დაკითხვისას მამაკაცს მოუსვენრობა ეტყობოდა და ჯდომა უჭირდა. ამის გამო სამართალდამცავებს ეჭვი გაუჩნდათ და საავადმყოფოში წაიყვანეს შესამოწმებლად, ექიმებმა კი მუცელში მთელი ქონება აღმოუჩინეს.

# პოლიციის 20 წლის შეფი



**გვადალუპეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ამიერიდან კრიმინოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, 20 წლის მარისოლ უოლესი იზრუნებს; იგი ერთადერთი ადამიანია, ვინც მექსიკის საზღვარზე მდებარე ამ პატარა ქალაქის პოლიციის უფროსობას დათანხმდა.**

ამ ქალაქში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნარკობიზნესში ჩაბმული ბანდიტური დაჯგუფებების შეტაკებათა შედეგად დაახლოებით 6500 ადამიანი დაიღუპა, ორიოდე თვის წინათ კი ქალაქის მერი, რამდენიმე პოლიციელი და უშიშროების სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი მოკლეს. მხოლოდ გასულ კვირას ქალაქში რვა მკვლელობა მოხდა.

ამჟამად გვადალუპეში საზოგადოებრივ წესრიგს სამხედროები აკონტროლებენ. პოლიციას მხოლოდ ერთი საპატრულო მანქანა ჰყავს.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ
www.saqinform.ge

# ᲒᲣᲨᲘᲜ «ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ» ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ



ᲛᲖᲘᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲨᲘ. ᲞᲐᲐᲢᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო

ლეგენდარულ ანსამბლ „მზიურის" იუბილესთან დაკავშირებით გუშინ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში პაატა ბურჭულაძის ფონდ „იავნანას" ეგიდით გალაკონცერტი გაიმართა. შემოსული თანხა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს მოხმარდება.

გუშინვე თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ „მზიურის" პირველი თაობის ვარსკვლავი გაიხსნა.

8 ნოემბერს მზიურელებს სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ უმასპინძლა.





# ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ „ᲘᲡᲘᲓᲐ"



## ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

სუფრის წყალი „ᲘᲡᲘᲓᲐ" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ᲘᲡᲘᲓᲐ" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ᲝᲤᲘᲡᲘ); ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ: 890-11-50-99; 895-91-24-14.



# ᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝ

| | |
|---|---|
| ს.ს „ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ" | 602602 |
| შპს „ᲐᲮᲢᲔᲚᲘ" | 700818 |
| შპს „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘ" | 200320 |
| შპს „ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲘ" | 700305 |
| შპს „ᲑᲘᲚᲐᲘᲜᲘ" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ — ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ —
ᲬᲛ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ
ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ
ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ,
ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐᲡ:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მედიანიუსი
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

FACT
www.fact.ge
ACM Group

საქართველო
ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲚᲔᲕᲐᲜ ᲖᲐᲜᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ვებრედაქტორი ᲒᲝᲩᲐ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ
რეალიზაციის მენეჯერი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲣᲐᲫᲔ, ოფისმენეჯერი ᲗᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net